

გიორგი დავითური
გიორგი დავითაშვილი

**საერთო სასამართლოს
კონსტიტუციური წარდგინების
ინსტრუმენტის გამოყენების
პრაქტიკული სახელმძღვანელო**

თბილისი
2021

ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



COUNCIL OF EUROPE



CONSEIL DE L'EUROPE

ევროპის საბჭო

წინამდებარე დოკუმენტი შედგენილია ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტის „სასამართლო რეფორმის მხარდაჭერის“ პირველი კომპონენტის, „სასამართლო სისტემის ანგარიშვალდებულებისა და ეფექტიანობის გაუმჯობესება და ადვოკატთა პროფესიონალიზმის ამაღლება საქართველოში“, რომელიც ხორციელდება „პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის“ ფარგლებში. დოკუმენტში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის პოზიციას.



USAID
ამერიკელი ხალხისათვის

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE

კანონის უზენაესობის მხარდაჭერა
საქართველოში (PROLoG)

წინამდებარე სახელმძღვანელო შეიქმნა ამერიკელი ხალხის კეთილი ნებით, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით. მასში განთავსებულ ინფორმაციაზე პასუხისმგებელი არიან ავტორები. იგი არ წარმოადგენს ამერიკის მთავრობის ოფიციალურ მოსაზრებას და არ ასახავს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ან აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის შეხედულებებს.

გიორგი დავითური
გიორგი დავითაშვილი

საერთო სასამართლოს
კონსტიტუციური წარდგინების
ინსტრუმენტის გამოყენების
პრაქტიკული სახელმძღვანელო



გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2021

რედაქტორი: თეიმურაზ ტულუში

კორექტორი: ზაალ ჩხეიძე

© გ. დავითური, გ. დავითაშვილი, 2021

© East-West Management Institute, Inc.

გამომცემლობა „**უნივერსალი**“

თბილისი, 0186, ა. ჰოლიბროუსკისაძის №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-933-2

შინაარსი

შესავალი	7
მეთოდოლოგია და სამიზნე აუდიტორია	9
ნაწილი I: საერთო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებების პრაქტიკის ანალიზი	13
1. კონსტიტუციური წარდგინებების რაოდენობ- რივი და დროითი ანალიზი	13
2. კონსტიტუციური წარდგინებების თვისებრივი ანალიზი.....	16
ნაწილი II: კონსტიტუციური წარდგინების ინსტრუმენტის არსი და მნიშვნელობა	21
3. სასამართლო ხელისუფლების ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები	21
4. საქართველოს კონსტიტუციით დამკვიდრებუ- ლი სასამართლო ხელისუფლების მოდელი	23
5. საერთო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინების ინსტიტუტის მიზანი და დანიშნულება.....	26
6. კონსტიტუციური წარდგინების მნიშვნელობა საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ წესრიგში	31
ნაწილი III: კონსტიტუციური წარდგინების გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები და პრაქტიკული დილემები	40
7. საერთო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინების სამართლებრივი საფუძვლები...	40

7.1.	საერთო სასამართლოს წარდგინების შეტანაზე უფლებამოსილი პირი/ორგანო	41
7.2.	სადავო ნორმატიული აქტი საკონსტიტუციო სამართალწარმოების მიზნებისთვის.....	46
7.3.	გამოსაყენებელი ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობის „საფუძვლიანი ვარაუდის“ სტანდარტი.....	50
7.4.	ტერმინის – „ნორმატიული აქტი რომელიც უნდა გამოიყენოს სასამართლომ“ – შინაარსი.....	51
8.	კონსტიტუციური წარდგინების გამოყენება: საქმის განმხილველი მოსამართლის უფლება თუ ვალდებულება	67
9.	საქართველოს კონსტიტუციის პირდაპირი მოქმედება v. კონსტიტუციური წარდგინება ..	70
10.	განმარტებები კონსტიტუციური წარდგინების შედეგად საქმის განხილვის შეჩერების თაობაზე	75
10.1.	საქმის განხილვის შეჩერების საფუძველი და შეჩერების ვადის დასასრული.....	76
10.2.	საქმის განხილვის შეჩერების ინსტიტუტის მიზანი	78
10.3.	საქმის განხილვის შეჩერება და შეჩერებული საქმის განხილვის შესაძლებლობა.....	80
11.	საერთო სასამართლოს მიერ წარდგენილ კონსტიტუციურ წარდგინებაზე უარის თქმა ..	83
12.	საქმის განხილვის შემჭიდროვებული ვადები და კონსტიტუციური წარდგინების გამოყენება ...	84

13. კონსტიტუციური წარდგინების პრიორიტეტულად განხილვის შესაძლებლობა.....	87
ნაწილი IV: კანონმდებლობის მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს კონსტიტუციური წარდგინება	89
14. კონსტიტუციური წარდგინების დასაბუთებულობის მოთხოვნა.....	90
14.1. კონსტიტუციური წარდგინების დასაბუთებულობის მოთხოვნა	91
14.2. კონსტიტუციური წარდგინება და გამოსაყენებელი კანონის შინაარსის სწორად იდენტიფიცირება.....	92
14.3. საქართველოს კონსტიტუციის დებულებების სწორად იდენტიფიცირება.....	94
14.4. კონსტიტუციის დებულებები, რომლებთანაც ფასდება წარდგინებაში იდენტიფიცირებული ნორმა.....	97
15. კონსტიტუციური წარდგინება შეტანილი უნდა იყოს უფლებამოსილი სუბიექტის მიერ	99
16. მითითებული საკითხები არ არის საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი...	103
17. საკითხი გადაწყვეტილია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ.....	107
18. საკითხი არ არის გადაწყვეტილი საქართველოს კონსტიტუციით.....	113
19. კონსტიტუციური წარდგინების შეტანის ვადების დარღვევა	114

20.	ე.წ. სუბსიდიურობის დაცვის მოთხოვნა	114
21.	კონსტიტუციური წარდგინების ფორმალური მოთხოვნები და პრაქტიკული რჩევები.....	116
21.1.	რაიონული/საქალაქო, სააპელაციო ან უზენაესი სასამართლოს იდენტიფიკაცია ..	117
21.2.	გასაჩივრებული ნორმატიული აქტის იდენტიფიკაცია.....	118
21.3.	სადავო ნორმ(ებ)ისა და საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისი დებულებების იდენტიფიკაცია.....	120
21.4.	კონსტიტუციური წარდგინების სამართლებრივი საფუძვლები.....	121
21.5.	განმარტებები კონსტიტუციური წარდგინების არსებითად განსახილველად მიღებასთან დაკავშირებით	122
21.6.	სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინების არსი და დასაბუთება	124
21.7.	კონსტიტუციური წარდგინების შუამდგომლობები.....	126
	დასკვნა.....	128

შესავალი

საქართველოს კონსტიტუცია სასამართლო ხელი-სუფლებას ორ ნაწილად ყოფს. საქართველოს ძირითადი კანონი მართლმსაჯულებას ანდობს საერთო სასამართლოებს, ხოლო კონსტიტუციურ კონტროლს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებად განიხილავს.

კონსტიტუციის უზენაესობის დაცვა ნებისმიერი სახელმწიფო ორგანოს/თანამდებობის პირის ვალდებულებაა, თუმცა საქმის განმხილველი მოსამართლე ასევე შეზღუდულია ნორმატიული აქტების მოთხოვნებით. იგი ვერ იტყვის უარს კანონის გამოყენებაზე მისი სავარაუდოდ არაკონსტიტუციურობის მოტივით და საერთო სასამართლოში ალტერნატიულ კონსტიტუციურ კონტროლს ვერ შექმნის. ამ სამართლებრივი დილემის ადამიანის უფლებათა და კონსტიტუციის უზენაესობის სასარგებლოდ გადაწყვეტის ინსტრუმენტი კონსტიტუციური წარდგინებაა. მისი გამოყენებით მოსამართლეს შეუძლია, თავიდან აირიდოს სავარაუდოდ არაკონსტიტუციური კანონის გამოყენება. სახელდობრ, კონსტიტუციური წარდგინების ინსტრუმენტი საერთო სასამართლოს მოსამართლეს აძლევს შესაძლებლობას, შეაჩეროს საქმის განხილვა და პრობლემური ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის შემოწმების მოთხოვნით მიმართოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს.

აღსანიშნავია, რომ არაერთი ევროპული ანალოგისგან (მაგალითად, გერმანია, ავსტრია) განსხვავებით, საქართველოს კონსტიტუცია ტექსტობრივად საერთო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრების მექანიზმს არ ითვალისწინებს. სხვაგვარად, თუ საერთო სასამართლოს მოსამართლე დავას არაკონსტიტუციური ნორმის საფუძ-

ველზე გადაწყვეტს, არსებითად გართულდება, რიგ შემთხვევებში კი შეუძლებელი იქნება, დარღვეული უფლების გამოსწორება. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კონსტიტუცია მხოლოდ ადამიანის ძირითად უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებს არ აწესრიგებს. მისი ძირითადი ნაწილი სახელმწიფო ხელისუფლების ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ გამიჯვნას შეეხება. ნორმატიული აქტი ფორმალურად და შინაარსობრივად უნდა შეესაბამებოდეს არა მხოლოდ კონსტიტუციით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, არამედ სახელმწიფოს ძირითადი კანონით განმტკიცებულ ხელისუფლების დანაწილების მოდელის ძირითად მოთხოვნებს. ამდენად, საერთო სასამართლოს მიერ წარდგინების ინსტრუმენტის ეფექტიანად გამოყენება საციცოცხლოდ მნიშვნელოვანია მართლმსაჯულების კონსტიტუციურობის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად.

სახელმძღვანელოს ძირითად ნაწილში გამოკვლეულია საერთო სასამართლოების მიერ კონსტიტუციური წარდგინების ინსტრუმენტის გამოყენების პრაქტიკა. წარმოდგენილია ამ ინსტრუმენტის გამოყენების ტენდენციები და ძირითადი სამართლებრივი პრობლემები. დამატებით, სახელმძღვანელო შეეხება ისეთ სამართლებრივ პრობლემებს, რომლებიც ჯერ არ გამოვლენილა, თუმცა მოსალოდნელია, რომ წარდგინების ინსტრუმენტის გამოყენების რაოდენობრივი ზრდა ამ პრაქტიკულ/სამართლებრივ პრობლემებს გამოიწვევს. სახელმძღვანელოს ძირითად ნაწილში წარმოდგენილია განმარტებები ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც ექსკლუზიურად კონსტიტუციურ წარდგინებას არ უკავშირდება, თუმცა მათი ცოდნა მნიშვნელოვანია კონსტიტუციური წარდგინების ინსტრუმენტის ეფექტურად გამოსაყენებლად.

მეთოდოლოგია და სამიზნე აუდიტორია

კონსტიტუციური წარდგინების ინსტრუმენტის გამოყენების პრაქტიკის საკვლევად ჩვენ გამოვიყენეთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული საკონსტიტუციო სამართალწარმოების მასალები და საკონსტიტუციო სასამართლოს აქტები.¹ სახელდობრ, ჩვენ შევისწავლეთ 2010 წლის შემდგომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში რეგისტრირებული კონსტიტუციური წარდგინებები, აგრეთვე ამ წარდგინებებზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული აქტები. წარდგინების ინსტრუმენტის გამოყენების პრაქტიკის ეფექტურობის გამოსარკვევად გამოვიყენეთ შემდეგი მეთოდოლოგია.

ა. რაოდენობრივი და დროითი ანალიზი: საკონსტიტუციო სასამართლოში რეგისტრირებული საერთო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებების რაოდენობა დროის კონკრეტულ პერიოდში, მათი პროცენტული წილი საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განსახილველ საკითხებთან მიმართებით;

ბ. წარდგინებების თვისებრივი ანალიზი: საერთო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებების სამართლის სფეროების მიხედვით განაწილება და მათი შინაარსობრივი მრავალფეროვნება.

¹ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად სავალდებულოა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული ყველა აქტის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნება. ამავე დროს, საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნებულია 2012 წლის 5 ივნისის შემდგომ შეტანილი კონსტიტუციური სარჩელები და წარდგინებები.

გ. შედეგების ანალიზი: შესაბამისი კონსტიტუციურ წარდგინებათა განხილვით/გადაწყვეტით დამდგარი სამართლებრივი შედეგები და მათი გავლენა ახალი კონსტიტუციური სტანდარტების ჩამოყალიბებაზე.

საერთო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინების გამოყენებასთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირებისთვის გამოვიყენეთ საქართველოს კანონმდებლობაში არსებული სამართლებრივი პრობლემები და ბუნდოვანებები. აგრეთვე რეგისტრირებული კონსტიტუციური წარდგინებებისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი აქტების შესწავლის შედეგად გამოვლენილი პრაქტიკული პრობლემები. ამავ დროს, კონსტიტუციურ წარდგინებასთან დაკავშირებული სამართლებრივი და პრაქტიკული პრობლემების გამოვლენის მიზნით, ჩატარდა თვისებრივი სოციალური კვლევა. სახელდობრ, ფოკუს ჯგუფების ფორმატში, გამოვიკვლიეთ კონსტიტუციური წარდგინების ინსტრუმენტის გამოყენებასთან ასოცირებული სამართლებრივი და პრაქტიკული პრობლემები. აღსანიშნავია, რომ ფოკუს ჯგუფები იყო წარმომადგენლობითი და მასში მონაწილეობას იღებდნენ პირველი ინსტანციის და სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეები. მოსამართლეებს ჰქონდათ როგორც სისხლის, ისე ადმინისტრაციულ და სამოქალაქო სამართლებრივ საქმეებზე მუშაობის გამოცდილება. ამასთან, ზოგიერთ მათგანს ჰქონდა გამოყენებული კონსტიტუციური წარდგინების ინსტრუმენტი ან ირიბად იყო ჩართული აღნიშნული ინსტრუმენტის გამოყენებაში.

იდენტიფიცირებული სამართლებრივი პრობლემების შემოთავაზებული გადაწყვეტები ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის ინტერპრეტაციას. აგრეთვე საქართველოს საკონსტიტუციო

სასამართლოს პრაქტიკით მყარად დამკვიდრებულ კონსტიტუციურ სტანდარტებს და საქართველოში კონსტიტუციური კონტროლის განვითარების ტენდენციებს. თუ აღნიშნული მეთოდები არ პასუხობს დასმულ სამართლებრივ პრობლემას, წარმოვადგენთ დასაბუთებულ პოზიციებს შესაბამისი დილემის გადასაწყვეტად.

სახელმძღვანელოს შემუშავებისას ძირითადი ყურადღება მის პრაქტიკულობასა და ეფექტურობაზე არის გამახვილებული. მასში ნაკლებად შევხვდებით წმინდად თეორიულ მსჯელობებს. მკითხველს არ მოეთხოვება საკონსტიტუციო სამართალწარმოებასთან დაკავშირებულ სპეციფიკურ საკითხებზე მუშაობის გამოცდილება. თუმცა, სახელმძღვანელოში წარმოდგენილი საკითხების ჯეროვნად გასააზრებლად მნიშვნელოვანია, მას ჰქონდეს სამართლებრივი განათლება და იცნობდეს საქართველოს კონსტიტუციით დამკვიდრებულ სასამართლო ხელისუფლების მოდელს.

სახელმძღვანელო განსაკუთრებით საინტერესო იქნება საერთო სასამართლოს მოსამართლეებისთვის, აგრეთვე მოსამართლეთა თანამემნეების ან/და საერთო სასამართლოს აპარატის სხვა თანამშრომლებისთვის, რომლებიც მონაწილეობას იღებენ კონსტიტუციური წარდგინების შემუშავებაში, ევალუატი მისამართლეთათვის სამართლებრივი მოსაზრებების მიწოდება ან/და სასამართლოს საქმიანობის სამართლებრივი მხარდაჭერა. ამასთან, სახელმძღვანელო მნიშვნელოვნად დაეხმარება იუსტიციის უმაღლესი სკოლის მასწავლებლებს, რათა უკეთ მოამზადონ მოსამართლეთა კანდიდატები კონსტიტუციური წარდგინების გამოყენებასთან დაკავშირებული პრაქტიკული პრობლემებისთვის.

მართალია, სახელმძღვანელო შემუშავდა საერთო სა-

სამართლოს სისტემის წარმომადგენლებისთვის, თუმცა იგი საინტერესო იქნება ადვოკატებისა და სამართლის სხვა პრაქტიკოსებისთვისაც. სახელდობრ, სახელმძღვანელოში გამოკვლეულია არაერთი სამართლებრივი საკითხი, რომლებმაც არსებითი გავლენა შეიძლება მოახდინოს სამართალწარმოების სტრატეგიაზე. მაგალითად, რას შეიძლება ელოდეს ადვოკატი, როდესაც აყენებს შუამდგომლობას კონსტიტუციური წარდგინების გამოყენების თაობაზე? როგორ გავლენას ახდენს კონსტიტუციური წარდგინების შეტანა სამართალწარმოების მონაწილის სამართლებრივ მდგომარეობაზე და ა.შ.

დამატებით, სახელმძღვანელოს სრული ან ნაწილობრივი გამოყენება შესაძლებელია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სპეციალური სალექციო კურსების ფარგლებში.

ნაწილი I:

საერთო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებების პრაქტიკის ანალიზი

1. კონსტიტუციური წარდგინებების როდენობრივი და დროითი ანალიზი

საერთო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინების ინსტიტუტი საქართველოს კონსტიტუციის პირველივე რედაქციაში იქნა გათვალისწინებული.² სახელმწიფოში კონსტიტუციური კონტროლის განხორციელება 1996 წლიდან დაიწყო. საერთო სასამართლოს პირველი კონსტიტუციური წარდგინება³ საკონსტიტუციო სასამართლოში 1997 წელის 5 მაისს დარეგისტრირდა. ეს თარიღი საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოებს შორის ოფიციალური სამართლებრივი დიალოგის დაწყების თარიღად უნდა მივიჩნიოთ.⁴

² საქართველოს კონსტიტუციის პირველადი (1995 წლის 24 აგვისტოს) რედაქციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტი. გამოქვეყნების წყარო, თარიღი; საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995.


³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე, კონსტიტუციური სარჩელებისა და წარდგინებების გამოქვეყნება 2012 წლიდან დაიწყო. სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნებულია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული ყველა აქტი. აღნიშნული აქტები იძლევა საშუალებას გამოვითვალოთ სასამართლოში რეგისტრირებული წარდგინებების რაოდენობა. საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე შეგიძლიათ გაეცნოთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საერთო სასამართლოს კონსტიტუციურ წარდგინებებთან დაკავშირებით მიღებულ ყველა აქტს. აქტების სრული სიის სანახავად მიჰყევით ამ ბმულს: <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?quantity=10&type%5B0%5D=278&type%5B1%5D=279&type%5B2%5D=281&competence%5B0%5D=368&page=1>

⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 27 მაი-

დროითი ანალიზი მიუთითებს, რომ პირველი წარდგინების რეგისტრაციიდან 7 წლის გასვლის შემდგომ საკონსტიტუციო სასამართლოში წელიწადში 2 კონსტიტუციური წარდგინება რეგისტრირდებოდა. საერთო სასამართლოს წარდგინებებთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული აქტები კი საერთო რაოდენობის დაახლოებით 9%-ს შეადგენდა.⁵ ეს მაჩვენებელი შეიძლება არ იყოს იდეალური, თუმცა იყო საკმარისი საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოებს შორის დიალოგის დასაწყებად. სამწუხაროდ, დიალოგის ეს ფორმა 2004 წელს შეწყდა და მომავალი 10 წლის განმავლობაში საერთო სასამართლოს არცერთ მოსამართლეს არ უსარგებლია კონსტიტუციური წარდგინების ინსტრუმენტით.

სის №2/49/1 განჩინება საქმეზე ქ. თბილისის დიდუბის რაიონის სასამართლოს წარდგინება საქმეზე „ქ. თბილისის დიდუბის რაიონის სასამართლოს წარდგინება“.

⁵ 2004 წლის 30 იანვრამდე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ სულ მიიღო 170 აქტი (იხ. <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?quantity=10&fullsearch=&nameing=&type%5B%5D=278&type%5B%5D=279&type%5B%5D=281&number=&intext=&dateFrom=&dateTo=30-01-2004&isenglish=&competence%5B%5D=368&different=&preceding=>). მათგან 15 შეეხებოდა კონსტიტუციური წარდგინების განხილვა/გადაწყვეტასთან დაკავშირებულ საკითხებს. (იხ. 2004 წლის 30 იანვრამდე წარდგინებებთან დაკავშირებით მიღებული ყველა აქტი <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?quantity=10&fullsearch=&nameing=&type%5B%5D=278&type%5B%5D=279&type%5B%5D=281&number=&intext=&dateFrom=&dateTo=30-01-2004&isenglish=&competence%5B%5D=368&different=&preceding=>).



გრაფიკული გამოსახულება №1

აღნიშნული 10 წლის განმავლობაში საკონსტიტუციო სასამართლომ დაამკვიდრა ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური სტანდარტები, რაშიც საერთო სასამართლოებს მონაწილეობა არ მიუღიათ. სახელმძღვანელოს მიზნებისთვის არ არის მნიშვნელოვანი, რამ გამოიწვია წარდგინების ინსტრუმენტის გამოყენებაზე მასობრივად უარის თქმა, თუმცა, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ დინამიკის არსებითმა ვარდნამ ხელი შეუწყო წარდგინების ინსტიტუტის გაუცხოებას. კონსტიტუციური წარდგინების ინსტრუმენტის გამოყენებლობის 10 წლიანი პერიოდი, 2014 წლის პირველ აპრილს, ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის, დავით მამისეიშვილის, კონსტიტუციური წარდგინების რეგისტრაციით დასრულდა.⁶ ამ თარიღის შემდგომ საერთო სასამართლოებმა 62-ჯერ გამოიყენეს კონსტიტუციური

⁶ იხ. ბათუმის საქალაქო მოსამართლის, ბატონი დავით მამისეიშვილის კონსტიტუციური წარდგინება.

წარდგინების ინსტრუმენტი,⁷ რამაც ხელი შეუწყო ახალი კონსტიტუციური სტანდარტების დამკვიდრებას. ამავდროს, გამოვლინდა კონსტიტუციურ წარდგინებასთან დაკავშირებული არაერთი სამართლებრივი და პრაქტიკული პრობლემა.

2. კონსტიტუციური წარდგინებების თვისებრივი ანალიზი


2014 წლიდან 2019 წლის ჩათვლით (საანგარიშო პერიოდი), საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში სულ 59 კონსტიტუციური წარდგინება იქნა შეტანილი, თუმცა ყველა წარდგინება არ არის უნიკალური. სხვაგვარად, ბევრი მათგანი ერთსა და იმავე შინაარსობრივ საკითხს უკავშირდებოდა. მაგალითად, №1 გრაფიკულ გამოსახულებაზე 2016 წელს დაფიქსირებულია კონსტიტუციური წარდგინებების ანომალიურად მაღალი რაოდენობა – 42 წარდგინება. მათგან 36 შეეხებოდა ნარკოტიკულ დანაშაულებს⁸ და საქართველოს საკონსტიტუ-

⁷ 2014 წლის პირველი იანვრიდან 2020 წლის 15 დეკემბრამდე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში რეგისტრირებული კონსტიტუციური წარდგინებების სიის სანახავად მიჰყევით ამ ბმულს: <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?quantity=10&fullsearch=&nameing=&type%5B%5D=1829&number=&intext=&dateFrom=01-01-2014&dateTo=15-12-2020&isenglish=&competence%5B%5D=368&different=&preceding=>.

⁸ ნარკოტიკულ დანაშაულებთან დაკავშირებული კონსტიტუციური წარდგინებების სანახავად მიჰყევით ამ ბმულს: <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?quantity=10&fullsearch=&nameing=&type%5B%5D=1829&number=&intext=&dateFrom=01-01-2014&dateTo=31-12-2019&isenglish=&competence%5B%5D=368&rights2%5B%5D=1194&rights2%5B%5D=1195&rights2%5B%5D=1196&rights2%5B%5D=1197&rights2%5B%5D=1198&rights2%5B%5D=1199&rights2%5B%5D=1200&rights2%5B%5D=1201&different=&preceding=>.

ციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილების გამოძახილს წარმოადგენდა.⁹

კონსტიტუციური წარდგინებების შინაარსობრივი მრავალფეროვნების თაობაზე ნათელ სურათს მათზე საკონსტიტუციო სასამართლოს რეაგირების ანალიზი გვაჩვენებს.



გრაფიკული გამოსახულება №2

⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №14/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა ნიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. აღნიშნული ისტორიული გადაწყვეტილებით, საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობა მარხუანას პირადი მოხმარების მიზნით შექმნა შენახვის გამო. ნარკოტიკულ დანაშაულთან დაკავშირებით, საკონსტიტუციო სასამართლოში სულ 41 კონსტიტუციური წარდგინება დარეგისტრირდა, მათგან 36 2016 წელს (იხ. კონსტიტუციური წარდგინებების სია [17](https://constcourt.ge/ka/judicial-acts?quantity=10&fullsearch=&nameing=&type%5B%5D=1829&number=&intext=&dateFrom=01-01-2014&dateTo=15-12-2020&isenglish=&competence%5B%5D=368&rights2%5B%5D=1194&rights2%5B%5D=1195&rights2%5B%5D=1196&rights2%5B%5D=1197&rights2%5B%5D=1198&rights2%5B%5D=1199&rights2%5B%5D=1200&rights2%5B%5D=1201&different=&preceding=). არც ერთი მითითებული კონსტიტუციური წარდგინება არ ყოფილა უნიკალური, სახელდობრ, ყველა მათგანზე მიღებულ იქნა განჩინება – ან შეწყდა სამართალწარმოება, ან სადავო ნორმები არსებითი განხილვის გარეშე გამოცხადდა ძალადაკარგულად.</p>
</div>
<div data-bbox=)

№2 გრაფიკული გამოსახულებიდან ირკვევა, რომ რეგისტრირებული 59 კონსტიტუციური წარდგინებიდან საკონსტიტუციო სასამართლოს აბსოლუტური უმრავლესობა უკვე განხილული აქვს, თუმცა მათგან მხოლოდ 10-მა გადალახა განწმესრიგებელი სხდომის ეტაპი.¹⁰ დასრულებულ კონსტიტუციურ წარდგინებებთან დაკავშირებით კი საკონსტიტუციო სასამართლოს მხოლოდ 4 გადაწყვეტილება აქვს მიღებული.¹¹

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველო ორგანული კანონის თანახმად, გადაწყვეტილება არის შემაჯამებელი აქტი,¹² რომელშიც დგინდება ძირითადი კონსტიტუციური სტანდარტები. გადაწყვეტილება თავისთავად არის დასმული სამარ-

¹⁰ საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი საოქმო ჩანაწერების სანახავად მიჰყევით ამ ბმულს: <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?quantity=10&fullsearch=&nameing=&type%5B%5D=281&number=&intext=&dateFrom=01-01-2014&dateTo=15-12-2020&isenglish=&competence%5B%5D=368&different=&preceeding=>.

10-დან ერთ კონსტიტუციურ წარდგინებაზე (№649) მიღებულ იქნა ჯერ საოქმო ჩანაწერი, ხოლო შემდეგ განჩინება და შეწყდა სამართალწარმოება.

¹¹ №633 და №634, აგრეთვე №608 და №609 კონსტიტუციური წარდგინებები გაერთიანდა 2 საქმედ და ისე იქნა მიღებული გადაწყვეტილება. №601 და №641 საქმეები გადაწყვეტილ იქნა დამოუკიდებლად. წარდგინებების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების სრული სიის სანახავად მიჰყევით ამ ბმულს: <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?quantity=10&fullsearch=&nameing=&type%5B%5D=278&number=&intext=&dateFrom=01-01-2014&dateTo=15-12-2020&isenglish=&competence%5B%5D=368&different=&preceeding=>

¹² „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლი. ამავე მუხლის პირველი და მე-ნ პუნქტების თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლო შემაჯამებელი აქტის სახით, აგრეთვე იღებს „დასკვნას“ იმპიჩმენტთან დაკავშირებულ საკითხებზე. თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული აქტის მიღების საჭიროების წინაშე ჯერ არ დამდგარა.

თლებრივი პრობლემის უნიკალურობის საზომი. სახელდობრ, პროცესის ეკონომიურობის პრინციპიდან გამომდინარე, სადავო ნორმა ძალადაკარგულად შეიძლება გამოცხადდეს განჩინებით, თუ სასამართლოს იგივე საკითხი წარსულში უკვე აქვს გადანყვეტილი.¹³ თუმცა, თუ საკონსტიტუციო სასამართლო შესაბამის სამართლებრივ პრობლემაზე პირველად მსჯელობს, იგი იღებს გადანყვეტილებას.¹⁴ ამ თვალსაზრისით, კონსტიტუციურ სარჩელზე/წარდგინებაზე გადანყვეტილების მიღება მიუთითებს, რომ შესაბამის სარჩელში დასმული იყო ახალი სამართლებრივი პრობლემა. როგორც აღვნიშნეთ, 2014 წლის შემდგომ განხილული წარდგინებების საფუძველზე მიღებულ იქნა მხოლოდ 4 გადანყვეტილება, რაც ამავე პერიოდში საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადანყვეტილებების 3.8%-ს შეადგენს. ამავე დროს, ყველა წარდგინება, გარდა ერთისა,¹⁵ შეეხებოდა საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.

ეს, ბუნებრივია, არ აკნინებს რეგისტრირებული კონსტიტუციური წარდგინებების მნიშვნელობას. მეტიც,

¹³ იხ. ნაწილი 17.

¹⁴ გამონაკლის წარმოადგენს, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საკუთარი პრაქტიკის დაძლევა. კერძოდ, სასამართლოს შეიძლება კონსტიტუციური სარჩელით/წარდგინებით დასმულ სამართლებრივ პრობლემაზე უკვე ჰქონდეს ნამსჯელი, თუმცა იგი უფლებამოსილია დაძლიოს საკუთარი პრაქტიკა.

¹⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 სექტემბრის №3/4/641 გადანყვეტილება საქმეზე „ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე“.

არსებითად განსახილველად არმიღებულ კონსტიტუციურ წარდგინებათა უმრავლესობას შედეგად სადავო ნორმების ძალადაკარგულად გამოცხადება მოჰყვა.

წარდგინების ინსტრუმენტის გამოყენების პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ კონსტიტუციური წარდგინებების უმრავლესობა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ უკვე მიღებული გადაწყვეტილებების ექოს წარმოადგენდა. მათი ძირითადი ნაწილი მსგავს შინაარსობრივ საკითხებს შეეხებოდა. ამასთან, ერთი გამონაკლისის გარდა, ყველა კონსტიტუციური წარდგინება უკავშირდებოდა საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა არაერთი სამართლებრივი და პრაქტიკული პრობლემა, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქმის განმხილველი მოსამართლის გადაწყვეტილებაზე, გამოიყენოს კონსტიტუციური წარდგინების ინსტრუმენტი.

ნაწილი II:

კონსტიტუციური წარდგინების ინსტრუმენტის არსი და მნიშვნელობა

3. სასამართლო ხელისუფლების ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები

ადამიანის უფლებების დაცვა და მათი სრულყოფილი რეალიზების უზრუნველყოფა, დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს მთავარი მიზანი, მისი უპირველესი დანიშნულებაა. შესაბამისად, სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს ყველა ზომა/დონისძიება, რომელიც უფლებების დარღვევის პრევენციას უზრუნველყოფს. თუმცა, სახელმწიფოს ამგვარი ვალდებულების სათანადოდ განხორციელების პირობებშიც კი, ბუნებრივია, ვერ გამოირიცხება ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტი. კერძოდ, ალოგიკურია იმის მტკიცება, რომ რომელიმე ქვეყნის მართლწესრიგი აბსოლუტურად აზღვევს ფუნდამენტური უფლებების დარღვევის ალბათობას. განვითარებულ დემოკრატიულ სახელმწიფოებშიც კი ვხვდებით სახელმწიფო ხელისუფლების ცდუნებას თუ უნებლიე ქმედებას, რომელსაც შედეგად ფუნდამენტური უფლებების დარღვევა მოჰყვება. შესაბამისად, ამ თვალსაზრისით, სახელმწიფო ვალდებულია, ერთი მხრივ, შექმნას ყველა სათანადო მექანიზმი/ბერკეტი, რომლებიც შეამცირებს ადამიანის უფლებათა დარღვევის რისკებს, ხოლო, მეორე მხრივ, აუცილებელია, არსებობდეს ამგვარი დარღვევების გამოვლენისა და მათზე რეაგირების ეფექტიანი სამართლებრივი ინსტრუმენტები.

ადამიანის ძირითადი უფლებების დარღვევის ალბათობა

თობა, მისი მოსალოდნელობა, თავად კონსტიტუციითვეა ნაგულისხმები, რაც გამოიხატება იმაში, რომ, სხვა ქვეყნების კონსტიტუციების მსგავსად, საქართველოს კონსტიტუციაც განამტკიცებს ყოველი ადამიანის უფლებას, თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს.¹⁶ სასამართლოსათვის მიმართვა და უფლებათა დარღვევის ფაქტებზე სამართლებრივი დავის შესაძლებლობა სწორედ ის *sui generis* მექანიზმია, რომელიც უფლებების დაცვას ყველაზე ეფექტიანად უზრუნველყოფს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, „სამართლიანი სასამართლოს უფლება, პირველ რიგში, ნიშნავს სახელმწიფო ხელისუფლების ყველა იმ გადაწყვეტილების (ქმედების) სასამართლოში გასაჩივრებას და სამართლებრივ შეფასებას, რომელიც ადამიანის უფლებებს არღვევს“.¹⁷

ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ სასამართლოსათვის მიმართვის კონსტიტუციური უფლების განმტკიცების მიღმა, აუცილებელია, ეს უფლება რეალურად უზრუნველყოფდეს ადამიანის უფლებების სრულყოფილ სამართლებრივ დაცვას.¹⁸ სამართლიანი სასამართლოს უფლება არ უნდა იყოს ილუზორული, უნდა ქმნიდეს პირის უფლების დაცვისა და დარღვეული უფლების აღ-

¹⁶ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის №1/466 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, სამოტივაციო ნაწილი, პარ. 14.

¹⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის №3/2/577 გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, სამოტივაციო ნაწილი, პარ.4.

დგენის ეფექტურ საშუალებას.¹⁹ სწორედ ამ მიზნით, აუცილებელია, სასამართლოები აღჭურვილი იყოს ყველა იმ სამართლებრივი მექანიზმით/ბერკეტით, რომლებიც მათ ადამიანის უფლებების დარღვევის პრევენციის ან/და დარღვევის ფაქტებზე ეფექტიანი რეაგირების შესაძლებლობას მისცემს. მნიშვნელოვანია, კანონმდებლობამ მოიცვას ყველა ინსტრუმენტი, რომლებიც საჭირო და აუცილებელია ამ უფლებით ეფექტიანად სარგებლობისათვის. სწორედ ერთ-ერთ ასეთ მექანიზმს წარმოადგენს საერთო სასამართლოების მიერ საკონსტიტუციო სასამართლოსათვის კონსტიტუციური წარდგინებით მიმართვის შესაძლებლობა.

4. საქართველოს კონსტიტუციით დამკვიდრებული სასამართლო ხელისუფლების მოდელი

სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა ერთმანეთისაგან განსხვავებულ სასამართლო სისტემას ქმნის და მათ განსხვავებული ბერკეტებით აღჭურავს. შესაბამისად, საერთო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინების მნიშვნელობის გასააზრებლად აუცილებელია, შეფასდეს საქართველოს კონსტიტუციით დამკვიდრებული

¹⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის №3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალაია, ლევან ბეჟაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი), საქართველოს მოქალაქეები – ერასტი ჯაკობია და კარინე შახპარონიანი, საქართველოს მოქალაქეები – ნინო კოტიშაძე, ანი დოლიძე, ელენე სამადბეგიშვილი და სხვები, აგრეთვე, საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (ლევან ბეჟაშვილი, გიორგი ლვინიაშვილი, ირმა ნადირაშვილი, პეტრე ცისკარიშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, სამოტივაციო ნაწილი, პარ. 133.

სასამართლო ხელისუფლების არქიტექტურა. „კონსტიტუციით აღიარებული სამართლიანი სასამართლოს უფლება არსებობს სწორედ კონსტიტუციით დამკვიდრებულ ინსტიტუციურ სისტემაში. კერძოდ, უფლება სამართლიან სასამართლოზე არ არის აბსტრაქტული და მოიაზრებს უფლების დაცვის შესაძლებლობას კონსტიტუციის ინსტიტუციური სისტემით განსაზღვრული სასამართლო ხელისუფლების ორგანოების მეშვეობით, კონსტიტუციაში მოცემული ინსტიტუციური მოთხოვნების გათვალისწინებით“.²⁰

საქართველოს კონსტიტუცია სასამართლო ხელისუფლების ფარგლებში ქმნის ორ, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ სასამართლო სისტემას.²¹ კერძოდ, მართლმსაჯულებას ახორციელებენ საერთო სასამართლოები²², ხოლო კონსტიტუციური კონტროლის ორგანოა საკონსტიტუციო სასამართლო.²³ საერთო სასამართლოების მიერ მართლმსაჯულების განხორციელება ნიშნავს, რომ ისინი კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე წყვეტენ მათ წინაშე არსებულ სამართლებრივ დავას. ბუნებრივია, ამ პროცესში არსებობს მოსამართლეების ზოგადი ვალდებულება, ესა თუ ის ნორმა განმარტონ კონსტიტუციის ძირითადი პრინციპების გათვალისწინე-

²⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის №3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს პარლამენტი ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალია, ლევან ბეჟაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) და საქართველოს მოქალაქეები ერასტი ჯაკობია და კარინე შახპარონიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, სამოტივაციო ნაწილი, პარ. 68.

²¹ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 59-ე მუხლის პირველი პუნქტი.

²² საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 59-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

²³ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 59-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

ბით. თუმცა მათ არ აქვთ კომპეტენცია, გასცდნენ ნორმატიული აქტის რეალურ შინაარსს. ინტერპრეტაციის გზით კანონის „გაკეთილშობილების“ ფარგლები მკაცრად არის ლიმიტირებული დავის კანონის შესაბამისად გადაწყვეტის კონსტიტუციური მოთხოვნით.

აღნიშნულის საპირისპიროდ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო თავად სამართალშემოქმედის ნების კონსტიტუციურობას ამონმებს. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლო აფასებს, რამდენად თავსებადია ესა თუ ის ნორმატიული აქტი კონსტიტუციასთან, კონსტიტუციით დამკვიდრებულ ღირებულებათა წესრიგთან, შედეგად, უზრუნველყოფს საქართველოს კონსტიტუციის უზენაესობას, კონსტიტუციურ კანონიერებას და ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას.²⁴ ამდენად, საქართველოს კონსტიტუცია პირთა უფლებების დაცვას კონსტიტუციით გათვალისწინებული ზემოაღნიშნული ორი სასამართლო სისტემის ფარგლებში ადგენს, იმგვარად, რომ თან იქმნებოდეს დარღვეულ უფლებებზე ეფექტიანი რეაგირების სრულყოფილი შესაძლებლობა და თან არ დაირღვეს კონსტიტუციის უზენაესობის პრინციპი.

5. საერთო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინების ინსტიტუტის მიზანი და დაწინაურება

სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კონსტიტუციითა და კანონით დადგენილ ფარგლებში.²⁵ როგორც

²⁴ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტი.

²⁵ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 4, პუნქტი 4.

აღვნიშნეთ, საქართველოს კონსტიტუციით შექმნილ სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუციურ დიზაინში მხოლოდ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესწევს კონსტიტუციური კომპეტენცია, შეამონშოს ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობა და გააუქმოს ისინი არაკონსტიტუციურობის მოტივით:²⁶ „...კონსტიტუციის თანახმად, ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით გადანყვეტილების მიღების უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს“.²⁷ ხოლო საერთო სასამართლოების ვალდებულება კი კანონების აღსრულებაში მდგომარეობს. სამართლიანი სასამართლოს უფლებისა და კონსტიტუციის უზენაესობის ეფექტიანად რეალიზების უზრუნველსაყოფად, საქართველოს კონსტიტუციამ საერთო სასამართლოები აღჭურვა მექანიზმით, რომელიც მათი მხრიდან არაკონსტიტუციური კანონის საქმის გადანყვეტისას გამოყენების პრევენციას ახდენს. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „საკონსტიტუციო სასამართლო ორგანული კანონით დადგენილი

²⁶ Hans Kelsen, *Judicial Review of Legislation: A Comparative Study of the Austrian and the American Constitution*, *The Journal of Politics* Vol. 4, №0. 2 (მაისი, 1942), Published by: The University of Chicago Press on behalf of the Southern Political Science Association. გვ. 185-186. ხელმისაწვდომია აქ: <https://www.journals.uchicago.edu/doi/abs/10.2307/2125770> [უკანასკნელად გადამოწმდა 2020 წლის 20 დეკემბერს].

²⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის №3/1/608, 609 გადანყვეტილება საქმეზე „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე“, სამოტივაციო ნაწილი, პარ. 7.

ნესით, საერთო სასამართლოს წარდგინების საფუძველზე იხილავს იმ ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის საკითხს, რომელიც კონკრეტული საქმის განხილვისას უნდა გამოიყენოს საერთო სასამართლომ და რომელიც, მისი საფუძვლიანი ვარაუდით, შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციას“.

საკონსტიტუციო სასამართლოსთვის კონსტიტუციური წარდგინებით მიმართვის გადაწყვეტილებას იღებს საერთო სასამართლოებში საქმის განმხილველი მოსამართლე/მოსამართლეები. კონსტიტუციური წარდგინების გამოყენების პროცესუალური ასპექტები გადაწყვეტილია „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტით, რომლის თანახმადაც: „თუ საერთო სასამართლოში კონკრეტული საქმის განხილვისას სასამართლო დაასკვნის, რომ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რათა ის ნორმატიული აქტი, რომელიც სასამართლომ ამ საქმის გადაწყვეტისას უნდა გამოიყენოს, მთლიანად ან ნაწილობრივ მიჩნეულ იქნეს კონსტიტუციის შეუსაბამოდ, იგი შეაჩერებს საქმის განხილვას და მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს. საქმის განხილვა განახლდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ საკითხის გადაწყვეტის შემდეგ“.

კონსტიტუციური წარდგინების დანიშნულებაზე მნიშვნელოვანი განმარტება აქვს გაკეთებული საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს: „... კონსტიტუციური წარდგინების ინსტიტუტი ქვეყნის სამართლებრივ სისტემაში კონსტიტუციის უზენაესობის უმნიშვნელოვანესი გარანტიაა, რომელიც საშუალებას აძლევს საერთო სასამართლოებს, თავიდან აიცილონ სავარაუდოდ არაკონსტიტუციური ნორმატიული აქტის

გამოყენება. ამასთან, კონსტიტუციური წარდგინებით მიმართვის შესაძლებლობა კონსტიტუციურ ღირებულებებს პრაქტიკულ და რეალურ ძალას სძენს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში და საერთო სასამართლოების საქმიანობაში კონსტიტუციის მოთხოვნების გათვალისწინებას და დაცვას უზრუნველყოფს. ... კონსტიტუციური წარდგინების ინსტიტუტის არსი ნათლად აჩვენებს, რომ ის არ ემსახურება წარდგინების ავტორის ინტერესების დაცვას, არამედ ორიენტირებულია კონსტიტუციის მოთხოვნებისა და დანაწესების დაცვის ობიექტურ ინტერესზე სამართლებრივ სახელმწიფოში. საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ წარდგინებით მიმართვის მიზანი არის სამართალწარმოების მონაწილე პირების და ინსტიტუტების კონსტიტუციური გარანტიების დაცვა. ამის ნათელი პრაქტიკული გამოვლინებაა საერთო სასამართლოების წარდგინების განხილვის პროცესი საკონსტიტუციო სასამართლოში, რომელიც მიმდინარეობს წარდგინების ავტორისა და სადავო ნორმატიული აქტის მიმღები ორგანოს მონაწილეობის გარეშე.²⁸ წარდგინების ავტორ საერთო სასამართლოს არ შეუძლია უარი თქვას კონსტიტუციური წარდგინების განხილვაზე და მოითხოვოს საქმის შეწყვეტა.²⁹ ეს პროცესუალური ნორმები მიუთითებს, რომ საერთო სასამართლოები კონსტიტუციური წარდგინების ინსტიტუტის ფარგლებში მოქმედებენ საჯარო ინტერესის დასაცავად და ისინი არ წარმოადგენენ პროცესის დამოუკი-

²⁸ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი.

²⁹ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

დებელ მონაწილეებს, რომლებსაც გააჩნიათ საკუთარი ინტერესი. კონსტიტუციური წარდგინების არსი ორ სასამართლო სისტემას შორის თანამშრომლობაა კონსტიტუციური ღირებულებების დასაცავად, სადაც საერთო სასამართლოები კონკრეტული სამართალწარმოების მაგალითზე ახდენენ პრობლემის იდენტიფიცირებას და საკონსტიტუციო სამართალწარმოების ინიცირებას, საკონსტიტუციო სასამართლო კი უზრუნველყოფს სადავო ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის შეფასებას და კონსტიტუციასთან შეუსაბამობის დადგენის შემთხვევაში არაკონსტიტუციური ნორმის გაუქმებას“.³⁰

ამდენად, კონსტიტუციური წარდგინების ინსტიტუტი საერთო სასამართლოების მიერ მართლმსაჯულების კონსტიტუციის შესაბამისად განხორციელების უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანეს გარანტიას ქმნის. კონსტიტუციური წარდგინების ინსტიტუტი საერთო სასამართლოს მოსამართლეს საშუალებას აძლევს, თავიდან აიცილოს სავარაუდოდ არაკონსტიტუციური ნორმატიული აქტის გამოყენება. სწორედ ამ მიზნით, საერთო სასამართლოს მოსამართლე (*judge a quo*) აჩერებს საქმის წარმოებას და მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს (*judge ad quem*) გამოსაყენებელი კანონის კონსტიტუციურობის შეფასების მოთხოვნით. კონსტიტუციური

³⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის №31/608, 609 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე“, სამოტივაციო ნაწილი, პარ. 5, 6.

წარდგინების ინსტრუმენტის გამოყენებას არაერთი დადებითი ეფექტი გააჩნია, თუმცა მისი უმთავრესი მიზანი და დანიშნულება საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლით აღიარებული სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის რეალიზაცია, კერძოდ, ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვა და საქართველოს კონსტიტუციის უზენაესობის უზრუნველყოფაა.

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლების დარღვევის რისკი ან/და უფლების დარღვევის ფაქტის გამოვლენის ყველაზე კარგი, რეალური შესაძლებლობა სწორედ საერთო სასამართლოების მოსამართლეებს გააჩნიათ. კერძოდ, საერთო სასამართლოს მოსამართლეები ყოველდღიურად განიხილავენ ინდივიდუალურ დავებს სამართლებრივი ურთიერთობის ყველა სფეროში. შესაბამისად, მათ ამა თუ იმ ნორმატიული ქცევის წესის გამოყენება უწევთ სხვადასხვა შემთხვევასთან კავშირში, ნორმის, ფაქტობრივად, ყველა ნორმატიული შინაარსით. სწორედ ასეთ შემთხვევებში ვლინდება ნორმიდან მომდინარე პრობლემები, მათ საფუძველზე კონსტიტუციური უფლებების დარღვევის რისკი. შედეგად, საერთო სასამართლოების მოსამართლეებს აქვთ ყველაზე რეალური ინფორმაცია და არგუმენტები, ნორმათა არაკონსტიტუციურობის თაობაზე. ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ რიგ შემთხვევაში, შესაძლოა, დავის მონაწილე მხარე ვერ იაზრებდეს ნორმატიული აქტის საფუძველზე მისი უფლებების დარღვევის შესაძლებლობას, ან პირიქით, კანონით მხარის სასარგებლოდ გადანყვეტილი მატერიალური თუ საპროცესო საკითხი არ იყოს თავსებადი საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებულ ხელისუფლების დანაწილების, ჰორიზონტალურ თუ ვერტიკალურ მოდელთან. ამგვარ შემთხვევებში, სწორედ კონსტიტუ-

ციური წარდგინება არის ის მექანიზმი, რომელიც პირის უფლებების დარღვევის პრევენციასა და კონსტიტუციის უზენაესობას უზრუნველყოფს.

6. კონსტიტუციური წარდგინების მნიშვნელობა საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ წესრიგში

კონსტიტუციური წარდგინების ინსტიტუტი ფართოდ არის გავრცელებული სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში (მაგ., ალბანეთში³¹, ავსტრიაში³², ბელგიაში³³, ხორვატიაში³⁴, ლიეტუვის რესპუბლიკაში³⁵, პოლონეთ-

³¹ ალბანეთის საკონსტიტუციო სასამართლოს ორგანიზაციისა და ფუნქციონირების შესახებ კანონი, მუხლი 68, ხელმისაწვდომია აქ: http://www.gjk.gov.al/web/constitutional_court_law_1855.pdf [უკანასკნელად გადამოწმდა 2020 წლის 20 დეკემბერს].

³² ავსტრიის კონსტიტუცია, მუხლები 139(1), 140, ხელმისაწვდომია აქ: <https://www.ris.bka.gv.at/GeltendeFassung.wxe?Abfrage=Bundesnormen&Gesetzesnummer=10000138> [უკანასკნელად გადამოწმდა 2020 წლის 20 დეკემბერს].

³³ ბელგიის კონსტიტუცია, მუხლი 142, ხელმისაწვდომია აქ: https://www.constituteproject.org/constitution/Belgium_2014.pdf?lang=en [უკანასკნელად გადამოწმდა 2020 წლის 20 დეკემბერს].

³⁴ ხორვატიის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კონსტიტუციური აქტი, მუხლი 37, ხელმისაწვდომია აქ: https://www.usud.hr/sites/default/files/dokumenti/The_Constitutional_Act_on_the_Constitutional_Court_of_the_Republic_of_Croatia_consolidated_text_Official_Gazette_No_49-02.pdf [უკანასკნელად გადამოწმდა 2020 წლის 20 დეკემბერს].

³⁵ ლიეტუვის რესპუბლიკის კონსტიტუცია, მუხლი 106, ხელმისაწვდომია აქ: <https://www.lrkt.lt/en/about-the-court/legal-information/the-constitution/192> [უკანასკნელად გადამოწმდა 2020 წლის 20 დეკემბერს].

ში³⁶, ესპანეთში³⁷ და სხვ.).³⁸ ამავე დროს, ეს ინსტიტუტი სხვადასხვა ქვეყნის სამართლებრივ სისტემაში გვხვდება განსხვავებული ფარგლებითა და ინსტიტუციური მოწყობით. მაგალითად, ბულგარეთში³⁹, საბერძნეთში⁴⁰, მოლდოვაში⁴¹ მხოლოდ უმაღლესი სასამართლოები არიან უფლებამოსილი, კონსტიტუციური წარდგინებით მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს. კვიპროსში, მხოლოდ იმ სასამართლოებს, რომლებსაც აქვთ საოჯახო საქმეებზე იურისდიქცია, გააჩნიათ ამგვარი კომპეტენცია. ხოლო იმ ქვეყნებში, რომლებშიც არსებობს დიფუზიური საკონსტიტუციო კონტროლის სისტემა, კონსტიტუციური წარდგინება არის შედარებით უჩვეუ-

³⁶ პოლონეთის კონსტიტუცია, მუხლი 193. ხელმისაწვდომია აქ: <https://trybunal.gov.pl/en/about-the-tribunal/legal-basis/the-constitution-of-the-republic-of-poland/> [უკანასკნელად გადამოწმდა 2020 წლის 20 დეკემბერს].

³⁷ ესპანეთის კონსტიტუცია, მუხლი 163, ხელმისაწვდომია აქ: <http://www.tribunalconstitucional.es/en/tribunal/normativa/Normativa/CONSTITUCION.pdf> [უკანასკნელად გადამოწმდა 2020 წლის 20 დეკემბერს].

³⁸ იხ. Bericht des Schweizerischen Bundesgericht für die VII. Konferenz der europäischen Verfassungsgerichte, p. 17, ხელმისაწვდომია აქ: <http://www.confcoconsteu.org/reports/Zwitslerland-DE.pdf>, [უკანასკნელად გადამოწმდა 2020 წლის 20 დეკემბერს].

³⁹ ბულგარეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია, მუხლი 150, ხელმისაწვდომია აქ: <https://www.wipo.int/edocs/lexdocs/laws/en/bg/bg033en.pdf> [უკანასკნელად გადამოწმდა 2020 წლის 20 დეკემბერს].

⁴⁰ საბერძნეთის კონსტიტუცია, მუხლი 100 (5), ხელმისაწვდომია აქ: <https://www.wipo.int/edocs/lexdocs/laws/en/gr/gr220en.pdf> [უკანასკნელად გადამოწმდა 2020 წლის 20 დეკემბერს].

⁴¹ მოლდოვის რესპუბლიკის კონსტიტუცია, მუხლი 135 (1)(გ). ხელმისაწვდომია აქ: https://www.constcourt.md/public/files/file/Baza%20legala/Constitutia_engl_13.11.17.pdf [უკანასკნელად გადამოწმდა 2020 წლის 20 დეკემბერს].

ლო, რადგან საერთო სასამართლოებს თავად შეუძლიათ შეაფასონ გამოსაყენებელი აქტის კონსტიტუციურობა.⁴²

ამავე დროს, კონსტიტუციური წარდგინების მნიშვნელობაზე მიუთითებს არაერთი საერთაშორისო ავტორიტეტული ორგანიზაცია. მაგალითად, ვენეციის კომისიის განმარტებით, ხშირად სწორედ ნორმის გამოყენება არის არაკონსტიტუციური, რაც ქმნის არაკონსტიტუციურ ვითარებას, რომლის წინააღმდეგაც სამართლებრივი დაცვა მოითხოვება. საერთო სასამართლოს მოსამართლეს უნდა ჰქონდეს უფლება, არ გამოიყენოს საქმის გადაწყვეტისას ნორმა, რომელსაც არაკონსტიტუციურად მიიჩნევს და წარდგინებით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებისათვის. ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა *erga omnes* ეფექტით კი რჩება მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებად.⁴³

აღსანიშნავია, რომ საერთო სასამართლოების მიერ საკონსტიტუციო სასამართლოსათვის კონსტიტუციური წარდგინების მიმართვის შესაძლებლობა განსაკუთრე-

⁴² CDL-AD(2010)039rev., Study on individual access to constitutional justice, European Commission for Democracy through Law (Venice Commission), adopted by the Venice Commission at its 85th Plenary Session (Venice, 17-18 December 2010), paragraph 56, ხელმისაწვდომია აქ: [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2010\)039rev-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2010)039rev-e) [უკანასკნელად გადამოწმდა 2020 წლის 20 დეკემბერს].

⁴³ CDL-AD(2011)038, Opinion on the draft code of constitutional procedure of Bolivia, European Commission for Democracy through Law (Venice Commission), adopted by the Venice Commission at its 88th Plenary Session (Venice, 14-15 October 2011), paragraph 32, ხელმისაწვდომია აქ: [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2011\)038-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2011)038-e) [უკანასკნელად გადამოწმდა 2020 წლის 20 დეკემბერს].

ბულ მნიშვნელობას იძენს ქართულ სამართლებრივ რეალობაში, კონსტიტუციაში მოცემული სასამართლო სისტემისა და კომპეტენციის გათვალისწინებით. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუცია ინდივიდუალური პირების დაცვის მექანიზმად ითვალისწინებს მათ შესაძლებლობას, კონსტიტუციური სარჩელით მიმართონ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და მოითხოვონ იმ ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა, რომელიც, მათი აზრით, არღვევს მათ კონსტიტუციურ უფლებას.⁴⁴ საქართველოს კონსტიტუცია არ ითვალისწინებს პირის ინდივიდუალური სარჩელის საფუძველზე საკონსტიტუციო სასამართლოზე წვდომის სხვა ბერკეტს. ამდენად, კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული პირთა შესაძლებლობა, გაასაჩივრონ საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში⁴⁵, ეს მოვლენა საერთაშორისო სამართალში რეალური კონსტიტუციური კონტროლის⁴⁶ სახელით არის ცნობილი.

კერძოდ, რეალური კონსტიტუციური კონტროლი, როგორც წესი, გულისხმობს საკონსტიტუციო სასამართლოში შემდეგი აქტების გასაჩივრების შესაძლებლობას: 1. საერთო სასამართლოების კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებები; 2. საჯარო ხელისუფლების გადაწყვეტილებები, იმ პირობით, რომ ისინი ვერ განიხილება ადმინისტრაციული სასამართლოების მიერ; 3. ლო-

⁴⁴ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 40, პუნქტი 4 (ა).

⁴⁵ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 7 ოქტომბრის №2/8/302 განჩინება საქმეზე „მოქალაქე ნელი ნებეირიძე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა საკასაციო პალატის შემადგენლობის წინააღმდეგ“; ასევე, იხ. საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 60, პუნქტი 4.

⁴⁶ ე.წ. “full constitutional complaint”.

ნისძიებები, ანუ შესაბამისი ორგანოების მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტები ან სხვა აქტები, რომლებიც არ აკმაყოფილებს გადანყვეტილების ფორმალურ კრიტერიუმებს, მაგრამ პირდაპირ გავლენას ახდენს ან შეიძლება მოახდინოს ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებებზე, იურიდიულად დაცულ ინტერესებსა ან მოვალეობებზე; 4. ზოგიერთ სისტემაში აქტები, რომლებიც ზოგადი ნორმები არ არის, მაგრამ კონკრეტულად მხოლოდ ერთ პირს ან ფაქტთა ერთობლიობას ეხება („ინდივიდუალური კანონი“).⁴⁷ რეალური კონსტიტუციური კონტროლის უპირატესობა შემდეგში, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო მივა დასკვნამდე, რომ დაირღვა ადამიანის უფლებები, მას შეუძლია გააუქმოს კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილება ან საბოლოო ინსტანციის აქტი იმის მიუხედავად, არაკონსტიტუციურობა მომდინარეობს ნორმიდან თუ ამ ნორმის გამოყენების პრაქტიკიდან. სისტემების თავისებურების გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია პირდაპირ გადანყვეტოს საქმე ან იგი განსახილველად დაუბრუნოს საერთო სასამართლოებს, ან სხვა უფლებამოსილ ორგანოს. რეალური კონსტიტუციური კონტროლი საკონსტიტუციო სასამართლოზე ეფექტიანი წვდომისა და კონსტიტუციური უფლებების ფართო დაცვის შესაძლებლობას იძლევა.⁴⁸

⁴⁷ CDL-AD(2018)012, Amicus curiae brief for the Constitutional Court of Georgia on the effects of Constitutional Court decisions on final judgments in civil and administrative cases, European Commission for Democracy through Law (Venice Commission), Adopted by the Venice Commission at its 115th Plenary Session (Venice, 22-23 June 2018), paragraph 25, ხელმისაწვდომია აქ: [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2018\)012-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2018)012-e) [უკანასკნელად გადამოწმდა 2020 წლის 20 დეკემბერს].

⁴⁸ იხ., მაგალითად, CDL-AD(2010)039rev, Study on individual ac-

სწორედ ის გარემოება, რომ სასამართლო სისტემის ფარგლებში, სასამართლოთა კომპეტენციის გათვალისწინებით, საქართველოს კანონმდებლობა არ ნერგავს საერთო სასამართლოების გადანყვეტილების საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრების მოდელს,⁴⁹ დამატებით წარმოაჩენს საერთო სასამართლოების მხრიდან კონსტიტუციური წარდგინების გამოყენების საჭიროებასა და პრაქტიკულ მნიშვნელობას მაშინ, როდესაც არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი დავის გადანყვეტისას გამოსაყენებელი აქტის არაკონსტიტუციურობის შესახებ. სხვა შემთხვევაში, დავის არაკონსტიტუციურ სამართლებრივ აქტზე დაყრდნობით გადანყვეტისას, ქართულ სამართლებრივ სივრცეში შეუძლებელი ხდება ან მნიშვნელოვნად რთულდება არაკონსტიტუციურად შეზღუდული უფლების აღდგენა. ხოლო თუ საკითხი შეეხება საქართველოს კონსტიტუციის ისეთ მოთხოვნას, რომელიც არ არის ადამიანის ძირითადი უფლებების ნაწილი, არსებითად ილახება საქართველოს კონსტიტუციის უზენაესობის პრინციპი.

სახელდობრ, საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საერთო სასამართლოების კანონიერ ძალაში შესულ გადანყვეტილებებზე საქმის წარმოების განახლების შესაძლებლობას იმ შემთხვევისათვის, როდესაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო კანონს, რომლის საფუძველზეც საერთო სასამართლოების მიერ

cess to constitutional justice, European Commission for Democracy through Law (Venice Commission), adopted by the Venice Commission at its 85th Plenary Session (Venice, 17-18 December 2010), paragraphs 3, 79, 80, ხელმისაწვდომია აქ: [https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD\(2010\)039rev](https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2010)039rev) [უკანასკნელად გადამოწმდა 2020 წლის 20 დეკემბერს].

⁴⁹ იხ. *supra* სქოლიო 41.

გადანყვეტილება არის გამოტანილი, არაკონსტიტუციურად ცნობს (გამონაკლისია სისხლის სამართლის საქმეები⁵⁰). საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად (რომელიც ასევე ვრცელდება ადმინისტრაციულ საქმეებზე⁵¹), კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილების გაუქმება ან შეცვლა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმ წესით, რომელიც დადგენილია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით.⁵² შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი⁵³ განსაზღვრავს კანონიერ ძალაში შესულ გადანყვეტილებებზე საქმის წარმოების განახლების ამომწურავ საფუძვლებს და ასეთ საფუძვლად არ ითვალისწინებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებას. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებას არ გააჩნია რეტროაქტიული ეფექტი და არ წარმოადგენს მის გამოტანამდე არაკონსტიტუციურად ცნობილ ნორმაზე დაყრდნობით მიღებული გადანყვეტილების გახსნის საფუძველს.

უფრო კონკრეტულად, საერთო სასამართლოების გადანყვეტილებები, რომლებიც არაკონსტიტუციურ აქტებს ეფუძნება, როგორც წესი, არ ექვემდებარება გადასინჯვას საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილების საფუძველზე. ამ მხრივ, ქართული სამართლებრივი რეალობის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო

⁵⁰ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 310, ქვეპუნქტი „დ“.

⁵¹ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მუხლი 1, ნაწილი 2.

⁵² საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 265.

⁵³ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე და 423-ე მუხლები.

სასამართლოს გადაწყვეტილებას *ex nunc* ეფექტი გააჩნია და უპირატესობა ენიჭება სასამართლო გადაწყვეტილების საბოლოოობის პრინციპს (*res judicata*). ამდენად, იმ შემთხვევაში, თუ საერთო სასამართლოს მოსამართლეები კონსტიტუციური წარდგინებით არ მიმართავენ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და საკუთარ გადაწყვეტილებას დააფუძნებენ არაკონსტიტუციურ ნორმას, შემდგომში დასახელებული ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა ვერ გახდება კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე საქმის წარმოების განახლების საფუძველი, თუ საკითხი სისხლის სამართლის საქმეებს არ შეეხება.

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელებისა და წარდგინებების 99%-ზე მეტი შეტანილია ფიზიკური და იურიდიული პირების, საქართველოს სახალხო დამცველისა და საერთო სასამართლოების მიერ. ამ სუბიექტთაგან მხოლოდ სასამართლოს აქვს უფლებამოსილება, მოითხოვოს ნორმატიული აქტის შესაბამისობის შემოწმება საქართველოს კონსტიტუციის იმ დებულებებთან, რომლებიც ადამიანის ძირითად უფლებებს არ უკავშირდება. ამ მონაცემების გათვალისწინებით, ცხადი ხდება, რამდენად მნიშვნელოვანია საერთო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინების როლი საქართველოს კონსტიტუციის უზენაესობის უზრუნველსაყოფად.

მამასადამე, საკონსტიტუციო სასამართლოსათვის კონსტიტუციური წარდგინებით მიმართვით საერთო სასამართლოს მოსამართლეები აზღვევენ ადამიანის უფლებების დარღვევისა და კონსტიტუციის უზენაესობის შელახვის რისკებს. კონსტიტუციური წარდგინების

არსებობა საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოებს შორის სამართლებრივი ინტერაქციის დამკვიდრებას ემსახურება და უზრუნველყოფს, რომ სასამართლო სისტემებს შორის, ურთიერთთანამშრომლობითა და დიალოგით, ეფექტიანად იყოს დაცული სამართლებრივი სახელმწიფოს მოთხოვნები.

ნაწილი III:

კონსტიტუციური წარდგინების გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები და პრაქტიკული დილაგია

7. საერთო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინების სამართლებრივი საფუძვლები

კონსტიტუციური წარდგინების შეტანის უპირველესი სამართლებრივი საფუძველია საქართველოს კონსტიტუცია. სახელდობრ, სახელმწიფოს ძირითადი კანონის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი. საერთო სასამართლოს ეს უფლებამოსილება აღიარებულია, აგრეთვე „საერთო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტით და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტით. აღნიშნული ნორმები ადგენს საერთო სასამართლოს წარდგინების ძირითად სამართლებრივ საფუძვლებს, ამავე დროს, შეიცავს არაერთ მატერიალურ და ფორმალურ მითითებას, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს კონსტიტუციური წარდგინება.

საქართველოს კონსტიტუციის მითითებული ნორმის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლო „საერთო სასამართლოს წარდგინების საფუძველზე იხილავს იმ ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის საკითხს, რომელიც კონკრეტული საქმის განხილვისას უნდა გამოიყენოს საერთო სასამართლომ და რომელიც, მისი საფუძვლიანი ვარაუდით, შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციას“. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კა-

ნონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, „თუ საერთო სასამართლოში კონკრეტული საქმის განხილვისას სასამართლო დაასკვნის, რომ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რათა ის ნორმატიული აქტი, რომელიც სასამართლომ ამ საქმის გადანყვეტისას უნდა გამოიყენოს, მთლიანად ან ნაწილობრივ მიჩნეულ იქნეს კონსტიტუციის შეუსაბამოდ, იგი შეაჩერებს საქმის განხილვას და მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს. საქმის განხილვა განახლდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ საკითხის გადანყვეტის შემდეგ“.

აღნიშნული, ერთი შეხედვით, ცხადი ნორმები არაერთ ფორმალურ/მატერიალურ მოთხოვნასა და სამართლებრივ პრობლემას აერთიანებს. სახელმძღვანელოს ამ ნაწილში ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას გავამახვილებთ შემდეგ საკითხებზე:

ა) ვის აქვს უფლებამოსილება, მიიღოს გადანყვეტილება კონსტიტუციური წარდგინების ინსტრუმენტის გამოყენების თაობაზე?

ბ) რა ითვლება ნორმატიულ აქტად საკონსტიტუციო სამართალწარმოების მიზნებისთვის?

გ) რას გულისხმობს არაკონსტიტუციურობის „საფუძვლიანი ვარაუდის“ სტანდარტი?

დ) რას გულისხმობს ტერმინი „ნორმატიული აქტი, რომელიც უნდა გამოიყენოს სასამართლომ“?

7.1. საერთო სასამართლოს წარდგინების შეტანაზე უფლებამოსილი პირი/ორგანო

კონსტიტუციურ წარდგინებათა სამართლებრივი საფუძვლების დამდგენი ნორმები, წარდგინების ინსტრუმენტის გამოყენებაზე უფლებამოსილი სუბიექტის გან-

საზღვრისას გამოყოფს „სასამართლოს“. მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი მიუთითებს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო „საერთო სასამართლოს წარდგინების საფუძველზე იხილავს იმ ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის საკითხს...“. ხოლო „საერთო სასამართლოების შესახებ“ და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონთა შესაბამისი ნორმები იწყება სიტყვებით: „თუ საერთო სასამართლოში კონკრეტული საქმის განხილვისას სასამართლო დაასკვნის“.

სასამართლოზე მითითება არ გულისხმობს, რომ წარდგინების გამოყენების თაობაზე რაიმე გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო, როგორც საჯარო დაწესებულება.

კონსტიტუციური წარდგინების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საქმის განმხილველი მოსამართლე ან სასამართლოს შემადგენლობა. ამასთან, აღნიშნული მოთხოვნის დაცულობას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ამონებს როგორც ფორმალური, ისე მატერიალური თვალსაზრისით.

7.1.1. ფორმალური მხარე: კონსტიტუციური წარდგინების სააპლიკაციო ფორმა

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31¹ მუხლის მე-13 პუნქტის თანახმად, „საერთო სასამართლოს მიერ შეტანილი კონსტიტუციური წარდგინება ხელმოწერილი უნდა იყოს საქმის ერთპიროვნულად განმხილველი მოსამართლის ან საქმის განმხილველი სასამართლოს კოლეგიუ-

რი შემადგენლობის წევრთა მიერ...“. ციტირებული საკანონმდებლო მოთხოვნა ასახულია საერთო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინების სააპლიკაციო ფორმაში.⁵⁴ აღნიშნული პირობის დაცვას მოითხოვს დასახელებული კანონის 42-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები. პირველი პუნქტის მიხედვით, კონსტიტუციური წარდგინება შეტანილი უნდა იქნეს საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ, ხოლო მეორე პუნქტის თანახმად, საქმის განმხილველი სასამართლოს წარდგინებად ითვლება „საქმის ერთპიროვნულად განმხილველი მოსამართლის ან საქმის განმხილველი სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის გადაწყვეტილებით მიღებული წარდგინება“.

სააპლიკაციო ფორმა მოითხოვს, რომ მასში მითითებული იყოს როგორც სასამართლოს დასახელება, აგრეთვე კონსტიტუციური წარდგინების ინიციატორი მოსამართლის/მოსამართლეების საიდენტიფიკაციო მონაცემები და მათივე ხელმოწერა.⁵⁵

7.1.2. მატერიალური მხარე: არგუმენტაცია და წარდგინების სამართლებრივი საფუძვლები

მატერიალური თვალსაზრისით, საკონსტიტუციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს/გაამახვილებს წარდგინებაში არსებულ დასაბუთებასა და სამართლებრივ მოთხოვნაზე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 10 ივლისის №9/189 განჩინება შეე-

⁵⁴ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2019 წლის 17 დეკემბრის №119/1 დადგენილებით დამტკიცებული „საერთო სასამართლოს წარდგინების სააპლიკაციო ფორმა“. სააპლიკაციო ფორმის ჩამოსატვირთად მიჰყევით ამ ბმულს <https://constcourt.ge/ka/court/app-forms> .

⁵⁵ იხ. ნაწილი 22.1.

ხება საკონსტიტუციო სასამართლოს წარდგინებას, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილ იქნა საქმის განხილვისას მხარის შუამდგომლობის დაკმაყოფილების საფუძველზე. საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციური წარდგინება არ მიიღო არსებითად განსახილველად და განმარტა, რომ „იგი არ გამოორიცხავს საერთო სასამართლოებში კონკრეტული საქმეების განხილვისას მსგავსი შუამდგომლობების არსებობას, თუმცა, ამასთან ერთად აღნიშნავს, რომ კონსტიტუციური წარდგინების აუცილებლობამდე სასამართლო დამოუკიდებლად მიდის და არა პროცესის მონაწილეთა შუამდგომლობების დაკმაყოფილების გზით. იმ კანონის თუ სხვა ნორმატიული აქტის განსაზღვრა, რომელიც კონკრეტული საქმის გადაწყვეტისას უნდა იქნეს გამოყენებული, სწორედ სასამართლოს მიერაა შესაფასებელი“.⁵⁶

საკონსტიტუციო სასამართლოს ეს განჩინება არ უნდა გავიგოთ, როგორც სასამართლოს სხდომაზე კონსტიტუციური წარდგინების შეტანასთან ან გამოსაყენებელი ნორმის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით მხარეთა პოზიციების გამორკვევის აკრძალვა. აღნიშნული განჩინების მთავარი მიზანია წარდგინების არსის შენარჩუნება. სახელდობრ, მოსამართლეს უნდა ესმოდეს, რომ წარდგინების ინსტრუმენტის გამოყენება არის მისი, როგორც საქმის განმხილველი სასამართლოს, გადაწყვეტილება. მოსამართლე საკუთარ პასუხისმგებლობას ვერ გადაიტანს საქმის განხილვის მონაწილეებზე.⁵⁷

⁵⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 10 ივლისის №9/189 განჩინება საქმეზე „ქ. თბილისის კრწანისი – მთაწმინდის რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება“.

⁵⁷ სანიმუშოდ იხილეთ №1430 კონსტიტუციური წარდგინება <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1540>. წარდგინებაში მითითებულია, რომ ადვოკატმა წარდგინების გამოყენების თაობაზე დააყენა შუ-

მაგალითად, თუ კონსტიტუციური წარდგინების სა-
აპლიკაციო ფორმაში მოსამართლე მიუთითებს, რომ მას
არ შეუფასებია გამოსაყენებელი ნორმატიული აქტის
არაკონსტიტუციურად ცნობის შესაძლებლობა, მაგრამ
კონსტიტუციური წარდგინების ინსტრუმენტს იყენებს,
ვინაიდან ამას ითხოვს სამართალწარმოების მონაწილე,
საკონსტიტუციო სასამართლო, მაღალი ალბათობით,
უარს იტყვის ამ კონსტიტუციური წარდგინების არსები-
თად განსახილველად მიღებაზე. საპირისპიროდ, მსგავსი
პრობლემა არ შეიქმნება, თუ სასამართლოსთვის მესამე
პირების მიერ მიწოდებულ არგუმენტებს დამხმარე ხასი-
ათი გააჩნია. მაგალითად, საქმის განმხილველი მოსამარ-
თლე იზიარებს მესამე პირთა მიერ წარმოდგენილ არგუ-
მენტებს და მათი დახმარებით უჩნდება საფუძვლიანი ვა-
რაუდი, რომ გამოსაყენებელი ნორმა მართლაც შეიძლება
იქნეს ცნობილი არაკონსტიტუციურად.

7.1.3. უზენაესი სასამართლოს პლენუმის კომ- პეტენცია წარდგინების გამოყენებასთან დაკავშირებით

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს
ორგანული კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვე-
პუნქტის თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამარ-
თლოს პლენუმი უფლებამოსილია: „საქართველოს კონ-
სტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნ-
ქტის თანახმად, კონკრეტული საქმის განხილვასთან და

ამდგომლობა. სასამართლომ მართლაც გამოიყენა კონსტიტუციური
წარდგინების ინსტრუმენტი. აღნიშნული წარდგინება საკონსტიტუ-
ციო სასამართლომ განიხილა საერთო წესით და ეჭვქვეშ არ დაუყუ-
ნებია, რომ კონსტიტუციური წარდგინება მატერიალური თვალსაზრი-
სით საქმის განმხილველი მოსამართლის მიერ იყო შემოტანილი.

სასამართლო პრაქტიკის განზოგადებასთან დაკავშირებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანოს წარდგინება ნორმატიული აქტის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის თაობაზე“.

ციტირებული ნორმა შეიცავს სამართლებრივ ხარვეზს. სახელდობრ, საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების შემდგომ სახელმწიფოს ძირითად კანონს 89-ე მუხლი საერთოდ არ გააჩნია. ამავე დროს, ბუნდოვანია აღნიშნული ორგანოს მიერ კონსტიტუციური წარდგინების გამოყენების სამართლებრივი საფუძველი. სახელმძღვანელოს მიზნებისთვის მნიშვნელოვანია, განიმარტოს, რომ უზენაესი სასამართლოსთვის მინიჭებული ეს კომპეტენცია არ აბრკოლებს საქმის განმხილველი მოსამართლის/სასამართლოს შემადგენლობის უფლებამოსილებას, სათანადო საფუძვლების არსებობისას გამოიყენოს კონსტიტუციური წარდგინების ინსტრუმენტი.

7.2. სადავო ნორმატიული აქტი საკონსტიტუციო სამართალწარმოების მიზნებისთვის

ზოგადად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციათა უდიდესი ნაწილი ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის შემოწმებას შეეხება. ამ მხრივ, გამონაკლისი არც საერთო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებაა. შესაბამისად, როგორც საქართველოს კონსტიტუციით, ისე „საერთო სასამართლოების შესახებ“ და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონებით განსაზღვრული კონსტიტუციური წარდგინების

სამართლებრივი საფუძვლები მოითხოვს, სავარაუდოდ არაკონსტიტუციური ნორმატიული აქტის იდენტიფიცირებას. ამდენად, მნიშვნელოვანია, განიმარტოს, რა ითვლება ნორმატიულ აქტად საკონსტიტუციო სამართალწარმოების მიზნებისთვის.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში ფართოდ არის დამკვიდრებული ე.წ. კონსტიტუციური ტერმინების ავტონომიური შინაარსის დოქტრინა. სახელდობრ, საქართველოს კონსტიტუციაში მოხსენიებულ ტერმინებს ავტონომიური სამართლებრივი მნიშვნელობა გააჩნია და მათი შინაარსის განსაზღვრაზე გავლენას ვერ მოახდენს ამ ტერმინთა ქვემდგომ ნორმატიულ აქტებში არსებული დეფინიცია.⁵⁸ მეტი სიცხადისთვის, როდესაც საქართველოს კონსტიტუცია გარკვეული მოთხოვნის დეკლარირებისას იყენებს ტერმინს, „ნორმატიული აქტი“, ეს არ გულისხმობს, რომ ტერმინში მხოლოდ ანდა აუცილებლად ის სამართლებრივი აქტები მოიაზრება, რომლებსაც „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი ნორმატიული აქტის სტატუსს ანიჭებს.⁵⁹

საკონსტიტუციო სასამართლოს მყარად დამკვიდრებული პრაქტიკით, საკონსტიტუციო სამართალწარმოების მიზნებისთვის ნორმატიული აქტის შინაარსი არ

⁵⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 16 ნოემბრის №2/5/658 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, სამოტივაციო ნაწილი, პარ. 19.

⁵⁹ მაგალითად, იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 30 აპრილის №1/7/1431 განჩინება საქმეზე „არჩილ ფულარიანი ქალაქ ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის წინააღმდეგ“. ამ საქმეში გასაჩივრებულ იყო ინდივიდუალურ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი, თუმცა საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი ინიციატივით იმსჯელა, შინაარსობრივად ხომ არ უნდა მიჩნეული-

ამოიწურება ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული დეფინიციით.⁶⁰ აღნიშნულიდან გამომდინარე, უფლებამოსილი პირების მიერ გამოცემული ნებისმიერი სამართლებრივი აქტი, თუნდაც ფორმით ინდივიდუალურ-სამართლებრივი, მაგრამ შინაარსობრივად ნორმატიულ-სამართლებრივი, ექვემდებარება კონსტიტუციურსამართლებრივ გადამოწმებას საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ.⁶¹

სადავო ნორმატიული აქტი, საკონსტიტუციო სამართალწარმოების მიზნებისთვის, გულისხმობს როგორც „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ ნორმატიულ აქტს, ისე სხვა, მათ შორის, ფორმით ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს, რომელსაც ნორმატიული ბუნება აქვს. შესაბამისად, საერთო სასამართლო უფლებამოსილია, მოითხოვოს ფორმით ინდივიდუალური, მაგრამ შინაარსით ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის შემოწმებაც. უფრო კონკრეტულად, საერთო სასამართლოს წარდგინებით შეიძლება გასაჩივრდეს ნორმატიული რეგულირე-

ყო ნორმატიულ აქტად.

⁶⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 9 ნოემბრის №1/7/436 განჩინება საქმეზე „შპს „კავკასუს ონლაინი“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ“.

⁶¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 26 ივლისის №2/5/700 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“, „შპს კასტელ ჯორჯია“ და სს „წყალი მარგებელი“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის წინააღმდეგ“, სამოტივაციო ნაწილი. პარ. 26. ამავე საკითხზე იხილეთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/4/614,616 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – გიგა ბარათაშვილი და კარინე შახპარონიანი საქართველოს თავდაცვის მინისტრის წინააღმდეგ“ სამოტივაციო ნაწილი პარ. 18.

ბის/ქცევის წესის დამდგენი ნებისმიერი აქტი, რომელიც მოსამართლემ საქმის განხილვისას უნდა გამოიყენოს. თუ არსებობს მოლოდინი, რომ კონსტიტუციური წარდგინებით გასაჩივრებული აქტის ნორმატიული ბუნება შეიძლება გახდეს მსჯელობის საგანი, სასურველია, საერთო სასამართლომ წარმოადგინოს არგუმენტაცია სადავო აქტის ნორმატიული ბუნების დასასაბუთებლად.⁶²

⁶² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, ნორმატიული აქტის მატერიალურ მოთხოვნებზე მსჯელობისას აღნიშნა, რომ „ნორმატიულ აქტს აქვს საყოველთაობის პრეტენზია, იგი მიმართულია პირთა განუსაზღვრელი წრისადმი და ასეთად რჩება ამ წრის გვარეობითი ნიშნით იდენტიფიკაციის შემთხვევაშიც. ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი ეხება როგორც კონკრეტულ პირს, ისე მისი გამოცემის მომენტში განსაზღვრულ ან განსაზღვრებად პირთა ჯგუფს. ნორმატიული აქტი, თავისი ბუნებით, აბსტრაქტულ, საერთო ნორმას წარმოადგენს და დაკავშირებულია არა რაიმე კონკრეტულ მოვლენასთან ან შემთხვევასთან, არამედ თავის იურიდიულ მნიშვნელობას ინარჩუნებს მთელი რიგი ანალოგიური შემთხვევების მიმართ. მის საფუძველზე შესაძლებელია წარმოიშვას კონკრეტული შემთხვევის განუსაზღვრელი რაოდენობა. სწორედ ამაში მდგომარეობს ნორმატიული აქტის მრავალჯერადი გამოყენების თვისება. ამდენად, ნორმატიული აქტი, როგორც ქცევის ზოგადი წესი, მიმართულია მისი გამოცემის დროს განუსაზღვრელი ოდენობის ურთიერთობის განუსაზღვრელი რაოდენობის მონაწილეებისაკენ. განსხვავებით ნორმატიული აქტისგან, ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტი ხასიათდება თავისი შინაარსის კონკრეტულობით. იგი კონკრეტულ ურთიერთობას (შემთხვევას) ეხება“ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 9 ნოემბრის №1/7/436 განჩინება საქმეზე „შპს „კავკასუს ონლაინი“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ“, სამოტივაციო ნაწილი, პარ. 5.

7.3. გამოსაყენებელი ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობის „საფუძვლიანი ვარაუდის“ სტანდარტი

საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ადგენს არა მხოლოდ კონსტიტუციური წარდგინების ინსტრუმენტის სამართლებრივ საფუძველს, არამედ განსაზღვრავს მისი გამოყენების რამდენიმე ძირითად პირობას. ერთ-ერთი მათგანია არაკონსტიტუციურობის საფუძვლიანი ვარაუდის სტანდარტი. კერძოდ, კონსტიტუციის მითითებული ნორმის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლო „საერთო სასამართლოს წარდგინების საფუძველზე იხილავს იმ ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის საკითხს, რომელიც კონკრეტული საქმის განხილვისას უნდა გამოიყენოს საერთო სასამართლომ და რომელიც მისი საფუძვლიანი ვარაუდით შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციას“.

საერთო სასამართლოების წარდგინებათა განხილვისას მოსამართლის საფუძვლიანი ვარაუდის სტანდარტი საკონსტიტუციო სასამართლოს ეჭვქვეშ არც ერთხელ არ დაუყენებია. სხვაგვარად, საკონსტიტუციო სასამართლო სწავლობს წარდგინებაში წამოჭრილ სამართლებრივ პრობლემებს და აკეთებს შესაბამის სამართლებრივ შეფასებებს. თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოს არ შეუფასებია, ჰქონდა თუ არა მოსამართლეს საკმარისი სამართლებრივი არგუმენტები სადავო ნორმის არაკონსტიტუციურობის თაობაზე საფუძვლიანი ვარაუდის გასაჩენად. სხვაგვარად, საკონსტიტუციო სასამართლო ეჭვქვეშ არ აყენებს აღნიშნული სტანდარტის დაცულობას და აფასებს მის დასაბუთებულობას.

მიუხედავად ამისა, აღნიშნული სტანდარტის შინა-არსის განსაზღვრა არსებითად მნიშვნელოვანია საქმის განმხილველი მოსამართლის პერსპექტივიდან, ვინაიდან საფუძვლიანი ვარაუდის სტანდარტის დაკმაყოფილება კონსტიტუციური წარდგინების ინსტრუმენტის გამოყენების აუცილებელი წინაპირობაა. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, უპირველესად, უნდა განვიხილოთ საფუძვლიანი ვარაუდის სტანდარტს აყალიბებს მხოლოდ სუბიექტური შეხედულებები, ობიექტური გარემოებები თუ ორივე ერთად.

7.3.1. არაკონსტიტუციურობის საფუძვლიანი ვარაუდი და მოსამართლის სუბიექტური შეხედულებები

საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადების თანახმად „მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს“. სხვაგვარად, მოსამართლე დამოუკიდებელია იმდენად, რამდენადაც იგი იცავს საქართველოს კონსტიტუციისა და კანონის მოთხოვნებს. მოსამართლე ყოველთვის დამოუკიდებელია სამართლებრივი შეფასებებისას, თუმცა მას მოეთხოვება, რომ შეფასებისას გამოიყენოს სწორი სამართლებრივი მსჯელობა. იგივე პრინციპი ვრცელდება კონსტიტუციური წარდგინების საკითხის გადაწყვეტისას, სახელდობრ, მოსამართლე კონკრეტულ სამართლებრივ არგუმენტებზე დაყრდნობით აფასებს საფუძვლიანი ვარაუდის არსებობას.

მაგალითად, 2015 წელს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა სასჯელის სახით თავი-

სუფლების აღკვეთის გამოყენება 70 გრამამდე გამომშრალი მარიხუანის პირადი მოხმარების მიზნით შექმნა-შენახვისთვის. საქართველოს პარლამენტმა, საკუთარი ინიციატივით, არ განახორციელა სისხლის სამართლის კოდექსის ჰარმონიზაცია ახალ კონსტიტუციურ სტანდარტებთან. შესაბამისად, კანონმდებლობაში დარჩა ნორმები, რომლებიც თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებდა უფრო ნაკლები ოდენობის იმავე სახის ნარკოტიკული საშუალების შექმნა-შენახვისთვის. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოში 40-ზე მეტი კონსტიტუციური წარდგინება დარეგისტრირდა. ბუნებრივია, აღნიშნული წარდგინებების ავტორები შეიძლება იყვნენ მოსამართლეებიც, რომელთაც არ იზიარებდნენ საქართველოს კონსტიტუციის ამგვარ ინტერპრეტაციას, თუმცა მათ კარგად ესმოდათ, რომ საქართველოს კონსტიტუციის ავტორიტეტული ინტერპრეტაცია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაა და მათი შეხედულებები ვერ გადანონიდა კონსტიტუციური წარდგინების შეტანისთვის არსებულ მყარ სამართლებრივ არგუმენტებს.

ნიშანდობლივია, რომ ირიბად სწორედ ამგვარ ობიექტურ გარემოებებზე მიუთითებს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი. კერძოდ, ეს ნორმები საერთოდ არ ახსენებს ტერმინს „მოსამართლე მიიჩნევს“. კანონმდებლობა ყურადღებას ამახვილებს **საკმარის საფუძველზე/საფუძვლიან ვარაუდზე, რომ** გამოსაყენებელი ნორმატიული აქტი **შესაძლოა მიჩნეულ იქნეს საქართველოს კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ.**

სხვაგვარად, რამდენად არსებობს სამართლებრივი არგუმენტები, რომლებიც საფუძვლიანი ვარაუდის სტანდარტით მიუთითებს, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ გამოსაყენებელი კანონი შესაძლოა ცნოს არაკონსტიტუციურად?

ამდენად, საქმის გადანყვეტისას, გამოსაყენებელი კანონის სავარაუდო არაკონსტიტუციურობის შეფასებისთვის, საქმის განხილველმა მოსამართლემ/სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს ობიექტური სამართლებრივი არგუმენტებით. მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული საქმის განხილვისას მოსამართლეს არ მოეთხოვება წარდგინების გამოუყენებლობის თაობაზე წერილობითი არგუმენტაციის წარმოდგენა, კეთილსინდისიერებისა და საქმიანობის კონსტიტუციის შესაბამისად განხორციელების პრინციპი მოითხოვს, რომ მან გამოსაყენებელი ნორმის არაკონსტიტუციურობის თაობაზე არსებული არგუმენტები არ უგულებელყოს სუბიექტური შეხედულებების გამო.

ეს არ გულისხმობს, რომ წარდგინების ინსტრუმენტის გამოყენების საკითხის შეფასებისას კონსტიტუცია არ ტოვებს ადგილს მოსამართლის ღირებულებითი შეხედულებების გამომჟღავნებისთვის. აღნიშნულზე ვრცლად ქვემოთ ვისაუბრებთ.

7.3.2. არაკონსტიტუციურობის საფუძვლიანი ვარაუდი: საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილების დამძლევი ნორმები

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „საკონსტიტუციო სასა-

მართლოს უფლება არა აქვს იმსჯელოს მთლიანად კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობაზე, თუ მოსარჩელე ან წარდგინების ავტორი ითხოვს კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის მხოლოდ რომელიმე ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას“. ციტირებული ნორმა საკონსტიტუციო სასამართლოს ბოჭავს სასარჩელო მოთხოვნით, რაც გულისხმობს, რომ იგი ვერ იმსჯელებს იმ ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის თაობაზე, რომლებიც არავის გაუსაჩივრებია. ხშირია შემთხვევები, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო აუქმებს ნორმას, თუმცა გაუქმებულის მსგავსი/იდენტური შეზღუდვა კვლავ რჩება სხვა ნორმატიულ აქტებში. ამგვარი ნორმები კონსტიტუციური კონტროლის დოქტრინაში ე.წ. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დამძლვეი ნორმების სახელით არის ცნობილი.

საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ-ერთ გადანყვეტილებაში⁶³ აღნიშნა, რომ იგი „წყვეტს პრობლემას და თუ ის სხვა ნორმებშიც მეორდება, ამ ნორმებს სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგად ეცლება ნორმატიული შინაარსი. შესაბამისად, კანონმდებლობაში იდენტური შინაარსის და პრობლემის გამომწვევი ნორმის (ნორმების) შენარჩუნების შემთხვევაში, ის გადანყვეტილების უგულებელმყოფელ და დამძლევ ნორმად ჩაითვლება“. ეს ჩანაწერი არ უნდა გავიგოთ იმგვარად, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ ირიბად საკუთარი კომპეტენცია გაიფართოვა და ე.წ. დამძლვეი ნორმები ავტომატურად არაკონსტიტუციურად გამოაცხადა.

⁶³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის №1/3/534 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, სამოტივაციო ნაწილი. პარ. 34.

„საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის 4¹ პუნქტის თანახმად: „თუ საკონსტიტუციო სასამართლო განმწესრიგებელ სხდომაზე დაადგენს, რომ სადავო ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი შეიცავს იმავე შინაარსის ნორმებს, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლომ უკვე ცნო არაკონსტიტუციურად... და თუ არ არსებობს ამ კანონის 21¹ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძველი, მას გამოაქვს განჩინება საქმის არსებითად განსახილველად მიუღებლობისა და სადავო აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ“. სხვაგვარად, ე.წ. დამძლველი ნორმები კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების გზით საჩივრდება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში. საკონსტიტუციო სასამართლო განმწესრიგებელი სხდომის ფორმატში ადგენს, რამდენად გააჩნიათ გასაჩივრებულ ნორმებს უკვე გაუქმებული ნორმატიული აქტის იდენტური/არსებითად მსგავსი შინაარსი და დადასტურების შემთხვევაში, არსებითი განხილვის გარეშე აცხადებს ნორმებს ძალადაკარგულად.⁶⁴

ამდენად, როდესაც საერთო სასამართლოს მიერ გამოსაყენებელი ნორმა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ უკვე არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის იდენტური ან არსებითად მსგავსი შინაარსის მატარებელია, ეს საკმაოდ მყარი სამართლებრივი არგუმენტია „გამოსაყენებელი კანონის არაკონსტიტუციურობის საფუძვლიანი ვარაუდის ჩამოსაყალიბებლად“. აღსანიშ-

⁶⁴ ალტერნატიულად, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21¹ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, საკითხი გადასცეს საკონსტიტუციო სასამართლო პლენუმს და მოითხოვოს საკუთარი პრაქტიკის დაძლევა.

ნავია, რომ 2014-2019 წლებში საერთო სასამართლოების მიერ შეტანილი კონსტიტუციური წარდგინებების დაახლოებით 80% საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ უკვე განხილულ სამართლებრივ პრობლემებს შეეხებოდა.

არსებობს მოსაზრება, რომ საერთო სასამართლოებმა თავად უნდა შეაფასონ, რამდენად აქვს გამოსაყენებელ ნორმატიულ აქტს, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის იდენტიფირი შინაარსი. ჩვენ ამ პოზიციას არ ვიზიარებთ. სახელდობრ, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი „იგივე შინაარსის“ განსაზღვრის და ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების ფორმალურ უფლებამოსილებას საკონსტიტუციო სასამართლოს ანიჭებს. ამავე დროს, საკონსტიტუციო სასამართლოს აქვს შესაძლებლობა, საქმე გადასცეს პლენუმს და სადავო ნორმის გაუქმების ნაცვლად, დაძლიოს საკუთარი წინა პრაქტიკა. შესაბამისად, გამოსაყენებელი ნორმატიული აქტის შინაარსობრივი მსგავსება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ უკვე გაუქმებულ ნორმასთან, მოსამართლეს არ აძლევს კანონის გამოყენებაზე უარის თქმის შესაძლებლობას.⁶⁵

⁶⁵ დამატებით აღნიშვნას იმსახურებს ისიც, რომ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის მსგავსი ან თუნდაც იდენტიფირი შინაარსი ხშირად მარტივის განსასაზღვრე ნამდვილად არ არის. მაგალითად, მას შემდეგ, რაც საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობა 70 გრამამდე მარიხუანის პირადი მოხმარების მიზნით შექენა-შენახვისთვის, საკონსტიტუციო სასამართლოში დარეგისტრირდა კონსტიტუციური წარდგინება, რომლითაც მოთხოვნილ იქნა ბევრად ნაკლები ოდენობის მარიხუანის შექენა-შენახვის არაკონსტიტუციურად ცნობა. (სსკ 273-ე მუხლი). საკონსტიტუციო სასამართლომ განსახვევულ გარემოებად დაინახა „აკრძალული ქმედების განმეორებით ჩადენა“ და ვრცლად მოუწია მსჯელობა, თუ რამდენად უნდა

7.3.3. არაკონსტიტუციურობის საფუძვლიანი ვარაუდი: პირდაპირი კონსტიტუციური გადაწყვეტები

საქართველოს კონსტიტუციის ნორმები შეიცავს არაერთ პირდაპირ კონსტიტუციურ გადაწყვეტას, რომლებიც ინტერპრეტაციისთვის ნაკლებ არეალს ტოვებს. კონსტიტუციის პირდაპირ გადაწყვეტებში მოვიაზრებთ აბსოლუტურად განსაზღვრებად მითითებებს. მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე 40 წლის ასაკიდან. კანონი, რომელიც ზრდის ან ამცირებს აღნიშნულ ასაკობრივ ცენზს, ბუნებრივია, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას.

მსგავს დანაწესებს იშვიათად შევხვდებით ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დამდგენ კონსტიტუციურ ნორმებში, თუმცა ისინი მრავლადაა ხელისუფლების ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური დანაწილების მოდელის მომწესრიგებელ კონსტიტუციურ დებულებებში. არ უნდა დაგვაინწყდეს, რომ კონსტიტუციური წარდგინება არა მხოლოდ ადამიანის ძირითადი უფლებების, არამედ, ზოგადად, კონსტიტუ-

შეფასებულიყო სადავო ნორმა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დამძლე ნორმატიულ აქტად. იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 სექტემბრის №3/771, 775, 776, 777, 786, 787, 788 განჩინება საქმეზე „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლის იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობის თაობაზე, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას ნარკოტიკული საშუალება მარიხუანის მოხმარებისთვის“, სამოტივაციო ნაწილი, პარ. 3-10.

ციის უზენაესობის დაცვის ინსტრუმენტი. გამოსაყენებელი კანონის წინააღმდეგობა პირდაპირ კონსტიტუციურ გადაწყვეტებთან, ნამდვილად წარმოშობს საფუძვლიან ვარაუდს შესაბამისი ნორმის არაკონსტიტუციურობის შესახებ.

7.3.4. არაკონსტიტუციურობის საფუძვლიანი ვარაუდი: ავტორიტეტული საერთაშორისო სასამართლოების პრაქტიკა

ზოგადად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებებში იშვიათად შევხვდებით მითითებებს რომელიმე საერთაშორისო სასამართლოს განმარტებებზე. აღნიშნული განპირობებული არის იმით, რომ საკონსტიტუციო სასამართლოსთვის შეფასების მასშტაბს აყალიბებს საქართველოს კონსტიტუცია.⁶⁶ ეს არ ნიშნავს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო უგულებელყოფს ავტორიტეტული საერთაშორისო სასამართლოების პრეცედენტულ სამართალს.

სახელმწიფოს ძირითად კანონში 78-ე მუხლის დამატების შემდგომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც კონსტიტუციურ ორგანოს, ევალუბა: „მიიღოს ყველა ზომა ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსა-

⁶⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შემოწმება. მაგალითად, სათანადო სუბიექტის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის შემთხვევაში, იგი უფლებამოსილია გადაწყვეტოს „აღამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ ევროპული კონვენციის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხი.

ყოფად“. ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის ხელშეწყობის საკონსტიტუციო სასამართლოს ხელთ არსებული უმნიშვნელოვანესი მექანიზმი სამართლებრივი ინტეგრაციის ხელშეწყობაა. შესაბამისად, გარკვეულწილად, საკონსტიტუციო სასამართლოს ძირითადმა კანონმა დააკისრა ვალდებულება, კონსტიტუციური ნორმების ინტერპრეტაციისას მხედველობაში მიიღოს ის სამართლებრივი პრინციპები, რომლებსაც ევროპის კავშირის სამართალი ეფუძნება. ამ პრინციპების განმარტება-გამოყენების თვალსაზრისით კი უმნიშვნელოვანეს როლს მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო ასრულებს.

ამავე დროს, საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: „სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს... კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობს კონსტიტუციის პრინციპებიდან“. აღნიშნული ჩანაწერი ყურადღებას ამახვილებს ადამიანის ძირითადი უფლებების ბუნებით სამართლებრივ კონცეფციასა და მათ უნივერსალურ ხასიათზე. მსოფლიოში ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის არაერთი ავტორიტეტული საერთაშორისო ინსტრუმენტი ფუნქციონირებს. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებები „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის“ გამოყენების თაობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამი-

ანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების ჩამოყალიბებაზე.

ბუნებრივია, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციით აღიარებული ძირითადი უფლებების ინტერპრეტაციისას უყურადღებოდ არ ტოვებს შესაბამის უფლების თაობაზე ავტორიტეტული საერთაშორისო ინსტიტუტების (მაგალითად, ECJ ან ECHR) მიერ გაკეთებულ განმარტებებს. ამდენად, გამოსაყენებელი ნორმატიული აქტის წინააღმდეგობა მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს (ECJ) ან ავტორიტეტული საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ დამკვიდრებულ ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტებთან, შესაძლოა, კარგად მიანიშნებდეს შესაბამისი ნორმატიული აქტის კონსტიტუციასთან თავსებადობის პრობლემის არსებობაზე.⁶⁷

7.3.5. არაკონსტიტუციურობის საფუძვლიანი ვარაუდი: სხვა სამართლებრივი გარემოებები

რიგ შემთხვევებში, საქმის განხილვისას მხარემ ან მხარის წარმომადგენელმა შესაძლოა იშუამდგომლოს ან სხვაგვარად წამოჭრას საკითხი სასამართლოს მიერ კონსტიტუციური წარდგინების გამოყენების თაობაზე. მოსამართლეს არაფერი ავალდებულებს, გაითვალისწინოს მესამე პირის მოსაზრება კონსტიტუციური წარდგინების ინსტრუმენტის გამოყენების შესახებ. თუმცა მხარის ან სასამართლოს მეგობრის მოსაზრება გამო-

⁶⁷ საქმის საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებაზე, როგორც უშუალოდ მოქმედ სამართალზე დაყრდნობით გადაწყვეტის თაობაზე იხილეთ ნაწილი 7.4.

საყენებელი კანონის კონსტიტუციურობის თაობაზე, შესაძლოა, მართლაც შეიცავდეს მნიშვნელოვან სამართლებრივ არგუმენტებს, რომლებიც დაეხმარება მოსამართლეს საკუთარი პოზიციის ჩამოყალიბებაში.

აღსანიშნავია, რომ ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის თაობაზე დისკუსია ხშირად წარმოდგენილია როგორც სამართლებრივი სიკეთეების აბსტრაქტულ-ფილოსოფიური ანალიზი, რომელშიც სწორი პოზიცია მხოლოდ შემფასებლის პიროვნულ შეხედულებებზეა დამოკიდებული. კონსტიტუციური კონტროლის განხორციელების ამგვარად წარმოჩენა ხშირად გაზვიადებულია. გაზვიადებულია. საქმის გადაწყვეტისას საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც წესი, მიყვება დავის კონსტიტუციურობის შეფასებისთვის მსოფლიოში ყველაზე ფართოდ გამოყენებულ ფორმულას, თანაზომიერების პრინციპს. თანაზომიერების პრინციპი, თავის მხრივ, ანალიტიკურ მოქმედებათა ერთობლიობაა და თუ შესაფასებელმა საკითხმა ვინრო პროპორციულობის ეტაპს არ მიაღწია, შემფასებლის პიროვნული ღირებულებების ინკორპორირებისათვის დიდი ადგილი არ რჩება. შემფასებლის თავისუფლება იზრდება თანაზომიერების პრინციპის საბოლოო, ვინრო პროპორციულობის, ეტაპზე, თუმცა იგი ბოლომდე თავისუფალი არც აქაა.

საქმის განმხილველ მოსამართლეს არაფერი უკრძალავს, განაზოგადოს და გამოიყენოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკა და გააკეთოს შესაბამისი დასკვნები. მეტიც, უფლებამოსილების კონსტიტუციის შესაბამისად განხორციელება მოსამართლისგან მოითხოვს ყველა იმ სამართლებრივი ბერკეტის გამოყენების ვალდებულებას, რომლებიც აქვს მას ძირითადი კანონის უზენაესობის დასაცავად.

შესაბამისად, მოსამართლე, ზედა პარაგრაფებში მითითებული არგუმენტების გარეშეც, ყოველთვის უნდა დაფიქრდეს, ხომ არ ქმნის მის მიერ გამოსაყენებელი ნორმატიული აქტი კონსტიტუციის დამრღვევი გადაწყვეტილების მიღების რისკს.

7.3.6. განმარტება საფუძვლიანი ვარაუდის ხარისხობრივ მოთხოვნებთან დაკავშირებით

არსებობს სხვადასხვა მოსაზრება, როგორი ხარისხით უნდა იყოს მოსამართლე დარწმუნებული გამოსაყენებელი კანონის არაკონსტიტუციურობაში. ბუნებრივია, შეუძლებელია ამ ხარისხის ციფრებში ასახვა, მაგრამ, ჩვენი მოსაზრებით, „საფუძვლიანი ვარაუდის სტანდარტი“ არ მოითხოვს აღნიშნულში 100%-იან დარწმუნებას. ამგვარმა მიდგომამ შესაძლოა სრულად გამორიცხოს კონსტიტუციური წარდგინების ინსტიტუტის გამოყენება და იგი დაიყვანოს მხოლოდ იმგვარ შემთხვევებამდე, როდესაც წარდგინებით მიმართვა ხდება ე.წ. „დამძლევი ნორმებთან“ მიმართებით. კონსტიტუციური წარდგინების ინსტრუმენტი არ არის შექმნილი მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების შემდგომ კანონმდებლობაში დარჩენილი დამძლევი ნორმების ძალდაკარგულად გამოსაცხადებლად და აშკარა საკანონმდებლო ხარვეზების გასასწორებლად.

კონსტიტუციური წარდგინების უმთავრესი მიზანია მართლმსაჯულებისა და კონსტიტუციური კონტროლის დეცენტრალიზებული მოდელიდან მომდინარე არსებითი რისკების შემცირება და მართლმსაჯულების კონსტიტუციურობის უზრუნველყოფა. ჩვენი მოსაზრებით, საქმის განმხილველმა სასამართლომ კონსტიტუციური

წარდგინების ინსტრუმენტი არ უნდა გამოიყენოს მხოლოდ ამკარად არაკონსტიტუციურ ნორმატიულ აქტებთან მიმართებით.

საერთო სასამართლოს 100%-ით ვერ განჭვრეტს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას. მთავარია, მოსამართლეს გააჩნდეს მყარი სამართლებრივი არგუმენტაცია. არგუმენტებად შეიძლება გამოყენებულ იქნეს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა, განსხვავებული თუ თანმხვედრი აზრები, ავტორიტეტული საერთაშორისო სასამართლოების განმარტები ან საკუთარი პოზიციები კონსტიტუციის ინტერპრეტაციის თაობაზე. მოსამართლემ ამ ინსტრუმენტით უნდა ისარგებლოს ყველა სხვა შემთხვევაში, როდესაც გამოსაყენებელ კანონზე არსებობს მყარი სამართლებრივი არგუმენტ(ებ)ი, რომლებიც გამოსაყენებელი ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურობაზე მიუთითებს.

7.4. ტერმინის – „ნორმატიული აქტი, რომელიც უნდა გამოიყენოს სასამართლომ“ – შინაარსი

მოსამართლეს მოეთხოვება როგორც დავის, ისე საქმის განხილვისას წამოჭრილი თითოეული საკითხის კანონის საფუძველზე გადაწყვეტა. უზოგადესი განმარტებით, გამოსაყენებელი ნორმატიული აქტი იქნება ნებისმიერი საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის ნორმა, რომელზეც აფუძნებს მოსამართლე შესაბამის სამართლებრივ გადაწყვეტას.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელი კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად

გამოიყენება ყველაზე უფრო მსგავსი ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლის ნორმა (კანონის ანალოგია). საჯაროსამართლებრივ ურთიერთობებში კანონის ანალოგია გამოიყენება მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით“. ციტირებული ნორმა მოსამართლეს აძლევს შესაძლებლობას, გამოიყენოს კანონის ანალოგია. აღსანიშნავია, რომ გამოსაყენებელი ნორმატიული აქტის ცნების ქვეშ მოექცევა ნებისმიერი ნორმატიული აქტი, რომელიც გამოყენებული უნდა იყოს საქმის განხილვისას წამოჭრილი საკითხის გადასაწყვეტად, მიუხედავად იმისა, ეს ნორმა პირდაპირ აწესრიგებს განსახილველ სამართლებრივ ურთიერთობას, თუ იგი კანონის ანალოგიის საფუძველზე გამოიყენება. კონსტიტუციური წარდგინების მიზნებისთვის „გამოსაყენებელი კანონის ცნების“ განსაზღვრისას ამოსავალი პრინციპია, რომ საქმის განმხილველ სასამართლოს შესაბამისი ნორმა მიაჩნდეს საქმის გადანყვეტისთვის გამოსაყენებელ ნორმატიულ აქტად.

როგორც აღვნიშნეთ, კონსტიტუციური წარდგინების ინსტრუმენტი არის ინდივიდუალური საქმის განხილვისას ადამიანის ძირითადი უფლებებისა და კონსტიტუციის უზენაესობის დაცვის გარანტი. ამავ დროს, იგი არ წარმოადგენს რიგით საპროცესო მექანიზმს, მისი გამოყენება უკავშირდება არაერთ სამართლებრივ შედეგს და ამ ინსტრუმენტის აუცილებლობის გარეშე გამოყენებამ შეიძლება მნიშვნელოვნად დააზარალოს მართლმსაჯულების დროულად განხორციელების ინტერესები და, პარალელურად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადატვირთვა გამოიწვიოს.

საერთო სასამართლოს აქვს რამდენიმე სამართლებ-

რივი მექანიზმი, რომლებზე დაყრდნობითაც შეუძლია თავიდან აიცილოს სავარაუდოდ არაკონსტიტუციური ნორმის გამოყენება. ერთ-ერთი ამგვარი მექანიზმია ნორმატიულ აქტებს შორის კოლიზია, ანუ, როდესაც ქვემდგომი ნორმატიული აქტი ეწინააღმდეგება როგორც ზემდგომ ნორმატიულ აქტს, ასევე შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციასაც. მაგალითად, საერთო სასამართლომ შესაძლოა არ გამოიყენოს ნორმატიული აქტი, თუ იგი ეწინააღმდეგება ზემდგომი ნორმატიული აქტის მოთხოვნებს. იმავე პრინციპით, საერთო სასამართლოს მოსამართლე უფლებამოსილია, დავა გადაწყვიტოს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებაზე, როგორც უშუალოდ მოქმედ სამართალზე, დაყრდნობით. აღნიშნული არ აბრკოლებს მოსამართლის შესაძლებლობას, გამოიყენოს კონსტიტუციური წარდგინების ინსტრუმენტი.

როგორც აღვნიშნეთ, საერთო სასამართლო უარს ვერ იტყვის ნორმატიული აქტის გამოყენებაზე საქართველოს კონსტიტუციასთან ან კონსტიტუციურ კანონთან კოლიზიის გამო. სახელდობრ, საქართველოს კონსტიტუციასთან გამოსაყენებელი კანონის კოლიზიის/წინააღმდეგობის შეფასება სხვა არაფერია, თუ არა კონსტიტუციური კონტროლის განხორციელება, რაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ექსკლუზიურ კომპეტენციას წარმოადგენს. ამასთან, საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილებები და მათი განხორციელების წესი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციური კანონებით, რომლებიც საქართველოს კონსტიტუციის განუყოფელი ნაწი-

ლია“. საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკით, როგორც ავტონომიურ რესპუბლიკებთან დაკავშირებული, ისე კონსტიტუციაში ცვლილების შემტანი კონსტიტუციური კანონები არის საქართველოს კონსტიტუციის ნაწილი: „კონსტიტუციური კანონი, როგორც კონსტიტუციის განუყოფელი და ორგანული ნაწილი, თავად ქმნის კონსტიტუციურ-სამართლებრივ წესრიგს, შესაბამისად, მას ისეთივე იურიდიული ძალა გააჩნია, როგორც ძირითადი კანონის სხვა ნორმებს“.⁶⁸

აქედან გამომდინარე, სამართლებრივი კოლიზიის დადგენისას საერთო სასამართლოს მოსამართლეს აქვს შესაძლებლობა, თავიდან აირიდოს სავარაუდოდ არაკონსტიტუციური ნორმის გამოყენება. თუმცა მას აგრეთვე აქვს შესაძლებლობა, გამოიყენოს კონსტიტუციური წარდგინების ინსტრუმენტი, თუ ეს სუბსიდიარობის პრობლემას⁶⁹ არ წარმოშობს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტექსტობრივად ერთ სამართლებრივ ნორმას შეიძლება რამდენიმე ნორმატიული შინაარსი ჰქონდეს. წარდგინების ინსტრუმენტის გამოყენება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ნორმატიული წესრიგის კონსტიტუციურობის უზრუნველყოფას,

⁶⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 თებერვლის №1/1/549 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ირმა ინაშვილი, დავით თარხან-მოურავი და იოსებ მანჯავიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, სამოტივაციო ნაწილი, პარ. 9. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 სექტემბრის №3/4/641 გადაწყვეტილება საქმეზე „ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე“, სამოტივაციო ნაწილი, პარ. 16.

⁶⁹ ე.წ. სუბსიდიარობის მოთხოვნების თაობაზე იხ. ნაწილი 20.

თუმცა ამ ინსტიტუტის უპირველესი მიზანი არ არის აბსტრაქტული კონსტიტუციური კონტროლის განხორციელება. იგი კონკრეტულ საქმის კონსტიტუციურად გადანყვეტის გარანტიაა. ამდენად, თუ მოსამართლე არ დგას ნორმის პრობლემური ნორმატიული შინაარსის გამოყენების საჭიროების წინაშე, მას არ ევალება კონსტიტუციური წარდგინების ინსტრუმენტის გამოყენება. მაგალითად, სამართლის ნორმა, რომელიც პირთა სხვადასხვა ჯგუფისთვის ერთნაირ მოთხოვნას აწესებს, შესაძლოა, საფუძვლიანი ვარაუდით, არაკონსტიტუციურობის პრობლემას წარმოშობდეს სამართლის სუბიექტთა მხოლოდ ერთი ჯგუფისთვის. თუ საქმის განხილვაში სწორედ ამ ჯგუფის წარმომადგენლები არ მონაწილეობენ ან ამ სასამართლოს გადანყვეტილება განსახილველი ჯგუფის უფლებრივ მდგომარეობაზე ირიბ გავლენას არ ახდენს, სასამართლო უფლებამოსილია, გადანყვეტოს დავა განსახილველ ნორმაზე დაყრდნობით. ამ თვალსაზრისით, ამოსავალი პრინციპია, მოსამართლემ არ გამოიყენოს კანონის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც საფუძვლიანი ვარაუდის სტანდარტით, კონსტიტუციურობის პრობლემას წარმოშობს.

8. კონსტიტუციური წარდგინების გამოყენება: საქმის განმხილველი მოსამართლის უფლება თუ ვალდებულება

ექვყვარეშეა, რომ იმ სამართლებრივი გარემოებების, მათ შორის, შესაძლო არაკონსტიტუციურობის საფუძვლების, შეფასება, რომლებიც კონსტიტუციური წარდგინების გამოყენების წინაპირობაა, არის მოსამართლის პროფესიული დამოუკიდებლობის ნაწილი. მათი

შეფასებისას მოსამართლე თავისუფალია და იგი მხოლოდ კონსტიტუციითა და კანონითაა შეზღუდული. თუმცა, თუ შესაბამისი სამართლებრივი გარემოებების ანალიზის შემდგომ საქმის განმხილველი მოსამართლე „საფუძვლიანი ვარაუდის“ ხარისხით დაასკვნის, რომ „გამოსაყენებელი ნორმატიული აქტი შეიძლება მიჩნეულ იქნეს არაკონსტიტუციურად“, იგი ვალდებულია, გამოიყენოს კონსტიტუციური ნარდგინების ინსტრუმენტი.

სახელდობრ, საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია“. კონსტიტუცია გამოხატავს ხალხის უზენაეს ნებას, კონსენსუსს საზოგადოებისათვის უმნიშვნელოვანეს სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ კულტურულ საკითხებზე და წარმოადგენს შემდგომი კანონმემოქმედებითი საქმიანობის წყაროს, საფუძველსა და ძირითადი მიმართულებების უმთავრეს ჩარჩოს.⁷⁰ კონსტიტუციის უზენაესობის იდეა არ არის დეკლარაციული ხასიათის და მისი პრაქტიკული შინაარსი ყველა სხვა სამართლებრივი აქტის, სასამართლოს გადაწყვეტილების ჩათვლით, ძირითად კანონთან თავსებადობის ვალდებულებას მოიცავს. სწორედ ამიტომ, საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტი მოითხოვს, მოსამართლე დაემორჩილოს კონსტიტუციისა და კანონის მოთხოვნებს, რომლებიც მოსამართლეს, მათ შორის, სათანადო პირობების არსებობისას, კონსტიტუციური ნარდგინებით სარგებლობას ავალდებულებს.

ზოგადად, ნორმატიულ აქტებთან მიმართებით მოქმედებს მათი კონსტიტუციურობის პრეზუმფცია. თუმ-

⁷⁰ Breyer S., *Making Our Democracy Work* (New York: Alfred A. Knope, 2010), 7.

ცა მოსამართლის, როგორც მართლმსაჯულების განმახორციელებელი პირის, საფუძვლიანი ვარაუდი ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურობის თაობაზე არსებითად ამცირებს კონსტიტუციურობის პრეზუმფციის ხარისხს. კონსტიტუციური წარდგინება არის მოსამართლის ხელთ არსებული ერთადერთი ინსტრუმენტი, რომლითაც მას გამოსაყენებელი ნორმის არაკონსტიტუციურობის თაობაზე არსებული ბუნდოვანების გაფანტვა და არაკონსტიტუციური გადაწყვეტილების მიღების რისკის დაზღვევა შეუძლია. დასაბუთებული ვარაუდით არაკონსტიტუციურ ნორმებზე დაყრდნობით მართლმსაჯულების განხორციელების დაშვება არსებით საფრთხეს შეუქმნის სამართლებრივი სახელმწიფოს იდეას. ეჭვქვეშ დადგება ადამიანის ძირითადი უფლებებისა და კონსტიტუციის უზენაესობის დაცვა. მეტიც, ამგვარი დაშვება მნიშვნელოვნად შეამცირებს სახელმწიფოში განხორციელებული მართლმსაჯულების მატერიალური კონსტიტუციურობის ნაგულისხმევ ლეგიტიმაციას.

კონსტიტუციური წარდგინების გამოყენების ვალდებულებისგან გათავისუფლების ერთადერთი სამართლებრივ გზაა სავარაუდოდ არაკონსტიტუციური ნორმატიული აქტის გამოყენებაზე უარის თქმა. კონსტიტუციური წარდგინების ინსტრუმენტის გამოყენება არ არის თვითმიზანი და თუ კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმები მოსამართლეს აძლევს შესაძლებლობას, თავი აარიდოს პრობლემური ნორმატიული აქტის გამოყენებას, მას აქვს უფლება, არ გამოიყენოს კონსტიტუციური წარდგინების ინსტრუმენტი.

სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომ-

დინარე, მართლმსაჯულების განხორციელების ფარგლებში მიღებული სამართლებრივი აქტები, ისევე, როგორც ყველა სხვა ინდივიდუალური თუ ნორმატიული სამართლებრივი დოკუმენტები, უნდა აკმაყოფილებდეს კონსტიტუციის მოთხოვნებს. ამასთან, საერთო სასამართლო არ არის კონსტიტუციური კონტროლის განმახორციელებელი ორგანო და უარს ვერ იტყვის კანონის გამოყენებაზე მისი (სავარაუდო) არაკონსტიტუციურობის მოტივით. შესაბამისად, როდესაც გარდაუვალია დავის სავარაუდოდ არაკონსტიტუციური ნორმის საფუძველზე გადაწყვეტა, სასამართლომ ყოველთვის უნდა გამოიყენოს კონსტიტუციური წარდგინების ინსტრუმენტი, რათა ეჭვქვეშ არ დააყენოს კონსტიტუციის უზენაესობა და მართლმსაჯულების კონსტიტუციური ლეგიტიმაციის მაღალი ხარისხი.

9. საქართველოს კონსტიტუციის პირდაპირი მოქმედება v. კონსტიტუციური წარდგინება

კონსტიტუციური კონტროლის კონცენტრირებული მოდელის არსებობა არ გულისხმობს, რომ საერთო სასამართლოს მოსამართლეს კონსტიტუციის გამოყენება ეკრძალება და ამის ექსკლუზიურ კომპეტენცია საკონსტიტუციო სასამართლოს გააჩნია. საერთო სასამართლოს არა მხოლოდ უფლება აქვს, არამედ ვალდებულიცაა, გამოიყენოს საქართველოს კონსტიტუცია და დავა კონსტიტუციის შესაბამისად გადაწყვიტოს. ეს არ უნდა გავიგოთ იმგვარად, რომ საერთო სასამართლო ვალდებულია, დეტალურად დაასაბუთოს თითოეული გადაწყვეტილების კონსტიტუციასთან შესაბამისობა. ნებისმიერი საკანონმდებლო მონესრიგება იქმნება კონსტიტუციის მიზ-

ნებისა და მისი მოთხოვნების იმპლემენტაციის მიზნით. ამდენად, ამ ნორმატიული აქტების მიმართ მოქმედებს კონსტიტუციურობის პრეზუმფცია. კანონის მოთხოვნათა შესაბამისად დავის გადაწყვეტა თავისთავად გულისხმობს დავის გადაწყვეტას საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად.

სახელმწიფოს ძირითადი კანონით დამკვიდრებული კონსტიტუციური ჩარჩო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ანიჭებს არა კონსტიტუციის გამოყენების, არამედ კონსტიტუციური კონტროლის ექსკლუზიურ კომპეტენციას. სხვაგვარად, სასამართლო ხელისუფლების ფარგლებში ნორმატიულ აქტებზე კონსტიტუციური კონტროლის განხორციელების უფლებამოსილება მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს აქვს. ამ უფლებამოსილებიდანვე გამომდინარეობს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებებს კონსტიტუციის კონკრეტული დებულების შინაარსთან დაკავშირებით ავტორიტეტული სამართლებრივი მნიშვნელობა გააჩნია. ამდენად, უნდა შეფასდეს, რა შემთხვევებში და როგორ უნდა გადაწყდეს დავა საქართველოს კონსტიტუციაზე დაყრდნობით და როდის უნდა იქნეს გამოყენებული კონსტიტუციური ნარდგინების ინსტრუმენტი.

„საქართველოს კონსტიტუციის“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: „სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც ნარეულ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით. კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თა-

ვისუფლებებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობს კონსტიტუციის პრინციპებიდან“. კონსტიტუციის აღნიშნული დებულება საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ მასში მოაზრებულ ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს ანიჭებს პირდაპირი მოქმედების ძალას. ის გარემოება, რომ ესა თუ ის კონსტიტუციური უფლება შესაბამისი ქვემდგომი ნორმატიული აქტებით შეიძლება არ იყოს დეტალურად რეგლამენტირებული, ვერ გახდება პირის კონსტიტუციური უფლებით სარგებლობაზე უარის თქმის საფუძველი. ადამიანის უფლებების, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლის, დოქტრინა არ არის საქართველოს კონსტიტუციის ნოვაცია. ეს კონსტიტუციური ნორმა-პრინციპი ძირითად უფლებათა ბუნებითი სამართლის კონცეფციიდან და სამართლებრივი სახელმწიფოს იდეიდან გამომდინარეობს.

ადამიანის უფლებების, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლის, სტატუსი აღიარებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკითაც. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „კონსტიტუცია არა მხოლოდ აღიარებს და იცავს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, არამედ განსაზღვრავს მათ შინაარსსა და მოცულობას. შესაბამისად, კონსტიტუციური უფლება არსებობს კანონის მიერ მისი აღიარების, დეკლარირების გარეშეც, ის არსებობასა და მოქმედებას განაგრძობს მაშინაც, როდესაც კანონმდებლობით ამ უფლების რეალიზაციის საფუძვლები არ არის განსაზღვრული. კონსტიტუციური უფლების შეზღუდვასთან მხოლოდ იმ შემთხვევაში გვექნება საქმე, როდესაც ამის შესაძლებლობას მოქმედი საკანონმდებლო აქტი ითვალისწინებს. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამო-

სილია იმსჯელოს და შეაფასოს კონსტიტუციური უფლების დარღვევის რისკი მხოლოდ უფლების შემზღვეველი ნორმის არსებობის შემთხვევაში, როდესაც კონსტიტუციური უფლებების განხორციელებისას ადამიანის თავისუფალი მოქმედების ფარგლების შემცირება ნორმატიული აქტით არის განპირობებული“.⁷¹

კონსტიტუციური წარდგინების ინსტრუმენტის გამოყენების საჭიროება დგას მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ გამოსაყენებელი საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნებს. თუ გამოსაყენებელი ნორმატიული აქტი არ არსებობს, ანუ გადასაწყვეტი საკითხი საერთოდ არ არის მონესრიგებული კანონმდებლობით, მოსამართლე ვერ გამოიყენებს კონსტიტუციური წარდგინების ინსტრუმენტს, ვინაიდან ამგვარი ნორმატიული აქტის არსებობა წარდგინების ინსტიტუტის განუყოფელი ელემენტია. მეტი სიცხადისთვის, კონსტიტუციური კონტროლი არის ნეგატიური სამართალშემოქმედებითი საქმიანობა⁷², რომელიც ვერ განხორციელდება და კონსტიტუციური წარდგინების ინსტრუმენტის გამოყენება შეუძლებელი

⁷¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 დეკემბრის №1/494 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ვლადიმერ ვახანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, სამოტივაციო ნაწილი, პარ. 11.

⁷² კონსტიტუციური კონტროლი კლასიკური გაგებით არის ნეგატიური სამართალშემოქმედებითი საქმიანობა. რაც გულისხმობს, რომ კონსტიტუციური კონტროლის განმახორციელებელი სასამართლო ხელისუფლების ორგანოს უფლებამოსილება ამოიწურება სამართლებრივი აქტის გაუქმებით. სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა, ყოველთვის ცვლის ნორმატიულ სივრცეს, თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური კონტროლის გზით ვერ მიიღებს ახალ საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს.

ხდება, თუ არ არსებობს პრობლემური სამართლებრივი მონესრიგება, კონკრეტული ნორმა. საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე ნორმატიული რეგულაციების არარსებობა ვერ შეაფერხებს კონსტიტუციის მოთხოვნათა იმპლემენტაციას. ამდენად, როდესაც კანონმდებლობაში არ მოიპოვება კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის მომნესრიგებელი ნორმატიული აქტი და ვერც კანონის ანალოგიის გზით ხერხდება გამოსაყენებელი ნორმის იდენტიფიცირება, საერთო სასამართლომ დავა უნდა გადაწყვიტოს კონსტიტუციაზე, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლის წყაროზე, დაყრდნობით.

მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციაზე დაყრდნობით საქმის კონსტიტუციურად გადასაწყვეტად არსებითად მნიშვნელოვანია კონსტიტუციის შესაბამისი ნორმების სწორად განმარტება. ამავე დროს, როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აქვს კონსტიტუციის ნორმების ავტორიტეტული განმარტების უფლებამოსილება. ამდენად, მის მიერ დამკვიდრებულ პრაქტიკას კონსტიტუციის შესაბამისი ნორმის განმარტებისა და გამოყენების თაობაზე არსებითი მნიშვნელობა ექნება საერთო სასამართლოს მიერ დავის კონსტიტუციურად გადაწყვეტისთვის.

საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის კონკრეტული კონსტიტუციური ნორმის განსამარტად მიმართვის სამართლებრივ საფუძველს. ამდენად, დავის უშუალოდ კონსტიტუციაზე დაყრდნობით გადაწყვეტისას მოსამართლეს მართებს განსაკუთრებული ყურადღება, რათა მის მიერ კონსტიტუციის თაობაზე გაკეთებული განმარტებები თავსებადი იყოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკასთან.

10. განმარტებები კონსტიტუციური წარდგინების შედეგად საქმის განხილვის შეჩერების თაობაზე

საერთო სასამართლოს მიერ კონსტიტუციური წარდგინების ინსტრუმენტის გამოყენების გარდაუვალ სასამართლებრივ შედეგს წარმოადგენს განსახილველი საქმის შეჩერება. აღნიშნული მოთხოვნა გვხვდება როგორც „საერთო სასამართლოების შესახებ“, ისე „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონებში. ამ ნაწილში ჩვენ მიმოვიხილავთ კონსტიტუციურ წარდგინების ინსტრუმენტის საფუძველზე საქმის განხილვის შეჩერების ინსტიტუტს და მასთან დაკავშირებულ სამართლებრივ პრობლემებს, აგრეთვე ამ პრობლემათა გადაწყვეტის შესაძლო გზებს.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: „თუ საერთო სასამართლოში კონკრეტული საქმის განხილვისას სასამართლო დაასკვნის, რომ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რათა ის ნორმატიული აქტი, რომელიც სასამართლომ ამ საქმის გადაწყვეტისას უნდა გამოიყენოს, მთლიანად ან ნაწილობრივ მიჩნეულ იქნეს კონსტიტუციის შეუსაბამოდ, იგი შეაჩერებს საქმის განხილვას და მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს. საქმის განხილვა განახლდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ საკითხის გადაწყვეტის შემდეგ“.

აღნიშნული ნორმა რამდენიმე მნიშვნელოვან სამართლებრივ პრობლემას წარმოშობს და მისი გრამატიკული ანალიზი პასუხს ვერ სცემს ამ კითხვებს. ქვემოთ ჩვენ წარმოვადგენთ მოსაზრებებს ამ ნორმის სისტემურ-

ტელეოლოგიურ ინტერპრეტაციას, რომელიც სრულად შეესაბამება საქმის განხილვის შეჩერების ინსტიტუტის მიზნებს და არც ამ ნორმის სიტყვასიტყვით, გრამატიკულ განმარტებას ეწინააღმდეგება.

10.1. საქმის განხილვის შეჩერების საფუძველი და შეჩერების ვადის დასასრული

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი, აგრეთვე „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19-ე მუხლის მე-2 პუნქტი ნათლად მიუთითებს, რომ საერთო სასამართლოს მიერ საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური წარდგინების შეტანა გარდაუვლად იწვევს საერთო სასამართლოში შესაბამისი საქმის განხილვის შეჩერებას. მეტიც, კანონმდებლობა მოითხოვს, რომ კონსტიტუციურ წარდგინებას დაერთოს საერთო სასამართლოს აქტი შესაბამისი საქმის განხილვის შეჩერების შესახებ.⁷³ ამ თვალსაზრისით, საქმის განხილვის შეჩერება კონსტიტუციური წარდგინების ინსტრუმენტის გამოყენების წინაპირობაა.

მიზანშეწონილია, აღინიშნოს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული შუალედური აქტებით (მაგალითად, „საოქმო ჩანაწერით“) არ წყდება კონსტიტუციურობასთან დაკავშირებული საკითხები. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შემაჯამებელი აქტის მიღებამდე საქმის განმხილველ სასამართლოს არ გააჩ-

⁷³ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31¹ მუხლის, მე-14 პუნქტი.

ნია პასუხი მის მიერ დასმულ სამართლებრივ პრობლემაზე.

აქვე გვსურს, გავაკეთოთ რამდენიმე განმარტება საქმის განხილვის შეჩერების ვადების თაობაზე. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი, ისევე, როგორც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის ბოლო წინადადება სრულდება სიტყვებით: „საქმის განხილვა განახლდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ საკითხის გადაწყვეტის შემდეგ“. სამართალწარმოების განახლების დროის აღსანიშნავად კანონი იყენებს ტერმინს, „**ამ საკითხის გადაწყვეტის შემდგომ**“. გრამატიკული თვალსაზრისით, „საკითხის გადაწყვეტაში“ უნდა მოვიზაროთ გამოსაყენებელი ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის იმ პრობლემაზე პასუხის გაცემა, რომელიც მოსამართლემ კონსტიტუციური წარდგინებას დაუდო საფუძვლად. თუმცა, თუ ტერმინს („ამ საკითხის“) ასე განვმარტავთ, შეიძლება გვექონდეს შემთხვევები, როდესაც საერთო სასამართლოში სამართალწარმოების განახლების საფუძველი საერთოდ არ წარმოიშვას. მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლომ შეიძლება ისე დაასრულოს კონსტიტუციური წარდგინების განხილვა, რომ საერთოდ არ უპასუხოს საერთო სასამართლოს მიერ დასმულ სამართლებრივ პრობლემას.⁷⁴

აქედან გამომდინარე, შეჩერებული საქმის განხილვის განახლება უნდა დაუკავშირდეს საკონსტიტუციო სასა-

⁷⁴ მაგალითად, კონსტიტუციური წარდგინება ვერ აკმაყოფილებს კანონით დადგენილ, რომელიმე ფორმალურ მოთხოვნას.

მართლოს მიერ საერთო სასამართლოს შესაბამის წარდგინებაზე შემაჯამებელი აქტის მიღებას. შემაჯამებელ აქტში ვგულისხმობთ საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინებას ან გადანყვეტილებას, რომლითაც დასრულდება საკონსტიტუციო სამართალწარმოება შესაბამის კონსტიტუციურ წარდგინებასთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, გადანყვეტა თუ არა საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციურ წარდგინებაში მოსამართლის მიერ დასმული სამართლებრივი პრობლემა.

10.2. საქმის განხილვის შეჩერების ინსტიტუტის მიზანი

საქმის განხილვის განახლების საფუძვლის მსგავსად, ტელეოლოგიურ ინტერპრეტაციას მოითხოვს ტერმინი – „საქმის განხილვის შეჩერება“. ამისთვის კი აუცილებელია, კონსტიტუციური წარდგინებით მიმართვის პარალელურად, საფუძვლიანად გაანალიზდეს საქმის განხილვის შეჩერების მიზნები.

საკონსტიტუციო სასამართლოსთვის კონსტიტუციური წარდგინების მიმართვისას საქმის განხილვის შეჩერება სუსპენზიური ეფექტის მქონე საპროცესო ინსტრუმენტია. ყველა ამგვარი ინსტრუმენტის მთავარი დანიშნულება, გარკვეული დროის განმავლობაში კონკრეტული სამართლებრივი მდგომარეობების კონსერვაცია, სტატუსკვოს შენარჩუნებაა. კანონმდებლობა კონსტიტუციური წარდგინების გამოყენების შესაძლებლობას იძლევა მაშინ, როდესაც არსებობს საერთო სასამართლოს მოსამართლის მიერ გამოსაყენებელი ნორმატიული აქტის კონსტიტუციასთან შეუსაბამობის საფუძვლიანი ვარაუდი. საქმის განხილვის შეჩერების,

როგორც წარდგინების ინსტრუმენტის განუყოფელი ელემენტის, მიზანი სწორედ სავარაუდოდ არაკონსტიტუციურ ნორმაზე დაყრდნობით საქმის განხილვისა და გადაწყვეტის თავიდან აცილებაა.

აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სამართალწარმოების მომწესრიგებელი კანონმდებლობა იცნობს საქმის განხილვის შეჩერების მსგავს მექანიზმს, „ნორმატიული აქტის მოქმედების შეჩერების ინსტრუმენტს“. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, კანონით განსაზღვრული შესაბამისი საფუძვლების არსებობისას, შეაჩეროს სადავო ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის მოქმედება.⁷⁵ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმის მოქმედების შეჩერებას აქვს ფართოდ მიმართული სამართლებრივი შედეგი და მისი ეფექტი ვრცელდება შეჩერებული ნორმატიული აქტით მონესრიგებულ ნებისმიერ ურთიერთობაზე. საპირისპიროდ, კონსტიტუციური წარდგინებით მიმართვის დროს, საქმის განხილვის შეჩერების ინსტიტუტი მიმართულია და მკაცრად არის დაკავშირებული კონკრეტულ საქმესთან. უფრო კონკრეტულად, კონსტიტუციური წარდგინების შეტანისას, საქმის განხილვის შეჩერების ინსტრუმენტის მიზნები არ და ვერ სცილდება სავარაუდოდ არაკონსტიტუციური ნორმის კონკრეტულ განსახილველ საქმეში გამოყენების თავიდან არიდების ლეგიტიმურ მიზანს.

წარმოდგენილი არგუმენტებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონებით

⁷⁵ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

გათვალისწინებული საქმის განხილვის შეჩერების ინსტრუმენტის ერთადერთი მიზანია, კონკრეტულ განსახილველ საქმეში არ მოხდეს სავარაუდოდ არაკონსტიტუციური ნორმის გამოყენება.

10.3. საქმის განხილვის შეჩერება და შეჩერებული საქმის განხილვის შესაძლებლობა

საქმის განხილვის შეჩერების შემდგომ, შესაძლოა გამოიკვეთოს საკითხები, რომლებიც სასამართლოს რეაგირებას საჭიროებს, არ ახდენს გავლენას საქმის საბოლოოდ გადაწყვეტაზე და არ მოითხოვს იმ ნორმატიული აქტის გამოყენებას, რომლის კონსტიტუციურობის საკითხის შემონმებასაც ითხოვს სასამართლო კონსტიტუციური წარდგინებით. შესაბამისად, ჩნდება კითხვა, რამდენად არის უფლებამოსილი სასამართლო განიხილოს ამგვარი საკითხი მაშინ, როდესაც საქმის განხილვა არის შეჩერებული საკონსტიტუციო სასამართლოს შემაჯამებელი აქტის მიღებამდე.

საქართველოს კანონმდებლობა დეტალურად არ განმარტავს კონსტიტუციური წარდგინებით მიმართვის დროს საქმის განხილვის შეჩერების შინაარსს და ფარგლებს. ჩვენი აზრით, საქმის განხილვის შეჩერება არ უნდა გავიგოთ, როგორც შესაბამის საქმესთან დაკავშირებით საერთო სასამართლოში ყოველგვარი აქტივობის განხორციელების აკრძალვა. კერძოდ, საქმის განხილვის შეჩერება ემსახურება მკაფიოდ განსაზღვრულ მიზანს – შეჩერებული საქმის სავარაუდოდ არაკონსტიტუციური ნორმის გამოყენებით გადაწყვეტის პრევენციას. საქმის განხილვის შეჩერების ინსტრუმენტს, როგორც აღვნიშ-

ნეთ, სხვა მიზანი არ გააჩნია. საქმის განხილვის შეჩერების შინაარსის იმაზე ფართოდ გაგება, ვიდრე ეს საჭიროა ზემოაღნიშნული მიზნის მისაღწევად და მისი გავრცელება საქმისწარმოების ისეთ საკითხებზე, რომლებიც გასაჩივრებული ნორმატიული აქტის გამოყენებას არ მოითხოვს, რიგ შემთხვევებში უმიზნოდ/თვითმიზნურად შეზღუდავს მართლმსაჯულების განხორციელების კონსტიტუციურ ინტერესს.

ჩვენი მოსაზრებით, შეჩერებული საქმის ფარგლებში, სასამართლო უფლებამოსილია, განიხილოს და გადანყვიტოს იმგვარი საკითხები, რომლებიც არ მოითხოვს სავარაუდოდ არაკონსტიტუციური ნორმატიული აქტის გამოყენებას. უფრო კონკრეტულად, საკითხები, რომლებიც არც პირდაპირ და არც ირიბად არ უკავშირდება საკონსტიტუციო სასამართლოში სადავოდ გამხდარ ნორმატიულ აქტს და ვერ წარმოშობს კონსტიტუციის მოთხოვნების სანინააღმდეგო სამართლებრივი შედეგის დადგომის საფრთხეს. მაგალითად, წარმოვიდგინოთ შემთხვევა, როდესაც სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში საქმის განმხილველმა სასამართლომ მიიჩნია, რომ დანაშაულის შემადგენლობის განმსაზღვრელი მატერიალური ნორმა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას იმდენად, რამდენადაც ადგენს არაპროპორციულად მაღალ სასჯელს. კონსტიტუციური წარდგინებით მიმართვის შემთხვევაში, საქმის განხილვის შეჩერების მიზანი მიღწეული იქნება, თუ მოსამართლე სავარაუდოდ არაკონსტიტუციური ნორმის საფუძველზე არ გამოიტანს განაჩენს. ამავე დროს, საქმის განხილვის შეჩერების მიზანი არ დაზარალებს, თუ განსახილველ საქმესთან დაკავშირებით სხვადასხვა საპროცესო მოქმედება განხორციელდება. მაგალითად, მოხდება

აღკვეთის ღონისძიების საკითხზე მსჯელობა, მტკიცებულებების გამოკვლევა ან სხვა.

მეტიც, როდესაც საქმის განხილვის მიმდინარეობისას სამართლებრივი ან ფაქტობრივი გარემოებები არსებითად იცვლება და კონსტიტუციური წარდგინებით გასაჩივრებული ნორმა აღარ არის საქმეში გამოსაყენებელი კანონი, მოსამართლეს უფლება აქვს, დაასრულოს შეჩერებული საქმის განხილვა ისე, რომ არ დაელოდოს საკონსტიტუციო სასამართლოს შემაჯამებელ გადაწყვეტილებას. მაგალითად, შეგვიძლია გავაგრძელოთ ზემოთ მოყვანილი ჰიპოთეტური მაგალითი. თუ წარდგინებით სადავოდ გამხდარ სისხლის სამართლის კოდექსის ნორმას საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებამდე საქართველოს პარლამენტი საკუთარი ინიციატივით გააუქმებს (რაც შესაძლოა არ გახდეს საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგინების განხილვის შეწყვეტის საფუძველი) და დანაშაულის დეკრიმინალიზაციას მოახდენს, მოსამართლე არა მხოლოდ უფლებამოსილია, არამედ ვალდებულია, დაასრულოს შესაბამისი საქმის განხილვა.

მეორე მხრივ, საქმის განხილვის შესაჩერებლად ინსტიტუტისთვის იმაზე ფართო შინაარსის მინიჭებამ, ვიდრე ეს აღნიშული ინსტიტუტის მიზნის მიღწევას ემსახურება, შესაძლოა, კონსტიტუციური წარდგინების ინსტრუმენტის ეფექტურობა შეამციროს იმდენად, რამდენადაც, რიგ შემთხვევებში, თავად ეს ინსტრუმენტი შექმნის საქმის განხილვის უმიზნოდ გაჭიანურების და სამართალწარმოების მონაწილეთა უფლებების დარღვევის საფრთხეს.

ამდენად, მიგვაჩნია, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის

მე-3 პუნქტი, ისევე, როგორც „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის მეორე პუნქტი განმარტებულ უნდა იქნეს ტელეოლოგიურად, კონსტიტუციური წარდგინებით მიმართვისას საქმის განხილვის შეჩერების მიზანთან კავშირში. ნორმის ამგვარი განმარტება საქმის განმხილველ მოსამართლეს მისცემს საშუალებას, შეჩერებულ საქმესთან დაკავშირებით განახორციელოს ისეთი საპროცესო მოქმედებები, რომლებიც არ საჭიროებს გასაჩივრებული ნორმატიული აქტის გამოყენებას. მეტიც, თუ სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებები არსებითად იცვლება და გასაჩივრებული კანონი აღარ არის საქმეში გამოსაყენებელი ნორმა, მოსამართლე უფლებამოსილია, დაასრულოს შესაბამისი საქმის განხილვა.

11. საერთო სასამართლოს მიერ წარდგენილ კონსტიტუციურ წარდგინებაზე უარის თქმა

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად: „საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური წარდგინების შემტანი საერთო სასამართლო ან/და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ არის უფლებამოსილი, უარი თქვას კონსტიტუციური წარდგინების განხილვაზე და მოითხოვოს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტა“.

სხვაგვარად, როცა საერთო სასამართლოს მოსამართლე შეიტანს კონსტიტუციურ წარდგინებას, მას არ გააჩნია წარდგინებაზე უარის თქმის უფლებამოსილება. საკონსტიტუციო სასამართლოს მოუწევს კონსტიტუციურ წარდგინებაზე შემაჯამებელი აქტის მიღება.

როგორც აღვნიშნეთ, სათანადო წინაპირობების არსებობისას კანონმდებლობა იძლევა შეჩერებულ საქმესთან დაკავშირებით იმგვარი საპროცესო მოქმედებების განხორციელების შესაძლებლობას, რომლებიც არ მოითხოვს წარდგინებით გასაჩივრებული ნორმატიული აქტის გამოყენებას. სამართლებრივი ან ფაქტობრივი გარემოებების შეცვლის შემთხვევაში, როცა შესაბამის საქმეში საერთოდ აღარ დგას სავარაუდოდ არაკონსტიტუციური ნორმის გამოყენების საჭიროება, მოსამართლე უფლებამოსილია, დაასრულოს შეჩერებული საქმის განხილვა. ეს არ უნდა გავიგოთ, როგორც კონსტიტუციურ წარდგინებაზე უარის თქმა. განსხვავებით საქმის განხილვის შეჩერების მექანიზმისგან, კონსტიტუციურ წარდგინებაზე უარის თქმის აკრძალვა უკავშირდება იმ ინდივიდუალურ საქმეს, რომელსაც საერთო სასამართლო განიხილავს.

საკონსტიტუციო სასამართლო ვალდებულია, რეგისტრირებულ კონსტიტუციურ წარდგინებასთან დაკავშირებით გააგრძელოს სამართალწარმოება და მოსამართლის მიერ იდენტიფიცირებულ სამართლებრივ პრობლემას გასცეს შესაბამისი პასუხი.

12. საქმის განხილვის შემჭიდროვებული ვადები და კონსტიტუციური წარდგინების გამოყენება

რამდენადაც ეფექტური არ უნდა იყოს საკონსტიტუციო სასამართლო და რაოდენ შემჭიდროვებულ ვადებშიც არ უნდა განიხილოს კონსტიტუციური წარდგინება, საერთო სასამართლო, მოსამართლე საქმის განხილვის მკაცრად განსაზღვრული ვადებიდან გამომდინარე, შე-

საძლოა დადგეს დილემის წინაშე, როდესაც მოუწევს მძიმე არჩევანის გაკეთება, გამოიყენოს კონსტიტუციური წარდგინება, თუ გადაწყვიტოს საკითხი სავარაუდოდ არაკონსტიტუციური ნორმის საფუძველზე. აქ მოიაზრება ისეთი შემთხვევები, როდესაც კონსტიტუცია, საქმის განხილვის კონკრეტული ასპექტის გადასაწყვეტად, უკიდურესად შემჭიდროვებულ ვადებს განსაზღვრავს. მაგალითად, მოსამართლეს შესაძლოა არაკონსტიტუციურად მიაჩნდეს პირის დაკავების რომელიმე საფუძველი. დაკავების საკითხის გადასაწყვეტად კონსტიტუციითა და კანონმდებლობით განსაზღვრული ვადის ამონურვამდე, არათუ წარდგინების განხილვა და გადაწყვეტა, არამედ მისი საკონსტიტუციო სასამართლოში ფიზიკურად წარდგენაც კი შეიძლება ვერ მოესწროს.

სასამართლო ხელისუფლების კონსტიტუციურ მოდელთან შეუთავსებელია საერთო სასამართლოს მიერ კანონის გამოყენებაზე უარის თქმა მისი სავარაუდო არაკონსტიტუციურობის მოტივით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩნდება კითხვა, როგორ უნდა მოიქცეს საერთო სასამართლოს მოსამართლე, როდესაც იგი იძულებული ხდება, დააბალანსოს, ერთი მხრივ, მართლმსაჯულების დროულად განხორციელების მოთხოვნა და, მეორე მხრივ, დავა გადაწყვიტოს კონსტიტუციის შესაბამისად. როგორც აღვნიშნეთ, შესაბამისი პირობების არსებობისას მოსამართლე ვალდებულია, მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს სავარაუდოდ არაკონსტიტუციური ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის შემოწმების მოთხოვნით და შეაჩეროს საქმის განხილვა. ყოველივე მიუთითებს, რომ მართლმსაჯულების სწრაფად და ეფექტურად განხორციელებასა და დავის კონსტიტუციის შესაბამისად გადაწყვეტის ლეგიტიმურ

ინტერესებს შორის კონსტიტუცია და კანონმდებლობა უპირატესობას ამ უკანასკნელს ანიჭებს. ბუნებრივია, საქმის განხილვის შეჩერება თავისთავად გულისხმობს შესაბამისი საპროცესო მოქმედების შესასრულებლად გათვალისწინებული ვადების შეჩერებასაც. ამგვარი მონესრიგება ხსნის კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადების დაცვის საკითხს. თუმცა პრობლემას ქმნის არა კანონმდებლობით, არამედ კონსტიტუციით გათვალისწინებული ვადები. მაგალითად, პატიმრობისა და დაკავების ვადები.

ჩვენი მოსაზრებით, მოსამართლემ უნდა გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული ყველა შესაძლებლობა, რათა გვერდი აუაროს სავარაუდოდ არაკონსტიტუციური კანონის გამოყენებას. ეს შეიძლება იყოს კოლიზია ზემდგომ ან უფრო ახალ ნორმატიულ აქტთან. თუ საფუძვლიანი ვარაუდით არაკონსტიტუციური გამოსაყენებელი კანონის გვერდის ავლის სამართლებრივი მექანიზმი არ მოიპოვება, ვფიქრობთ, მოსამართლემ აუცილებლად უნდა გამოიყენოს კონსტიტუციური წარდგინების ინსტრუმენტი. სახელდობრ, მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესია მართლმსაჯულების სწრაფად და ეფექტურად განხორციელება, თუმცა ძირითადი კანონი უპირატეს მნიშვნელობას, მატერიალურ კრიტერიუმს, საქმის კონსტიტუციის შესაბამისად გადაწყვეტას ანიჭებს.

მართლმსაჯულების სწრაფად და ეფექტურად განხორციელების საჭიროება სხვადასხვა ხარისხით შეიძლება გამოვლინდეს. ეს დამოკიდებულია საერთო სასამართლოების მიერ განსახილველი საქმის ინდივიდუალურ გარემოებებზე. მნიშვნელოვანია, საქმის განმხილველმა მოსამართლემ მიიღოს ყველა ზომა საქმის გან-

ხილვის შეჩერების ხანგრძლივობით ან/და ეფექტებით გამოწვეული ნეგატიური სამართლებრივი შედეგების პრევენციისთვის/შემცირებისთვის,⁷⁶ თუმცა საკითხის სწრაფად გადაწყვეტის საჭიროება ვერ გადაწონის მისი კონსტიტუციის შესაბამისად გადაწყვეტის მოთხოვნას.

13. კონსტიტუციური წარდგინების პრიორიტეტულად განხილვის შესაძლებლობა

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად: „კონსტიტუციური წარდგინების განსახილველად მიღებიდან ამ წარდგინებასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დასკვნის ან გადაწყვეტილების გამოტანამდე“ ჩერდება ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კონსტიტუციური სარჩელისა და წარდგინების განხილვის საერთო ვადის დინება. ამავე კანონის 31² მუხლის მე-13 პუნქტის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლო რიგგარეშედ განიხილავს საერთო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებას. დასახელებული ნორმები კონსტიტუციური წარდგინების პრიორიტეტულ განხილვის აუცილებლობაზე მიუთითებს. ამავე დროს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 34-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად: „საკონსტიტუციო

⁷⁶ საქმის განხილვის შეჩერების ხანგრძლივობით ან/და ეფექტებით გამოწვეული ნეგატიური სამართლებრივი შედეგების პრევენციის/შემცირების სანიმუშო ზომები შეიძლება იყოს საკონსტიტუციო სასამართლოს ინფორმირებულობა საკითხის სწრაფად გადაწყვეტის საჭიროების თაობაზე. იხ. ნაწილი 13 და ნაწილი 21.7. ან შეჩერებული საქმის ფარგლებში ისეთი მოქმედებების განხორციელება რაც პრობლემური ნორმატიული აქტის გამოყენებას არ მოითხოვს. იხ. ნაწილი 10.

სასამართლოს პლენუმი/კოლეგია უფლებამოსილია, მიიღოს დასაბუთებული საოქმო ჩანაწერი საქმის სხვა საქმეებთან შედარებით პრიორიტეტულად განხილვა/გადაწყვეტის შესახებ. სასამართლო უფლებამოსილია, პრიორიტეტულად განიხილოს საქმეები, რომელთა გადაწყვეტაც ესაჭიროება მოსარჩელეს საკუთარი ფიზიკური თავისუფლების ხელშეუხებლობის, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლების დასაცავად ან/და რომელზეც არსებობს განსაკუთრებული გარემოებები, რომლებიც მიუთითებენ საქმის პრიორიტეტულად გადაწყვეტის საჭიროებაზე“.

აღნიშნული ნორმები წარდგინების ავტორს აძლევს საშუალებას, კონსტიტუციური წარდგინების სააპლიკაციო ფორმაში დააყენოს შესაბამისი შუამდგომლობა⁷⁷ კონსტიტუციური წარდგინების პრიორიტეტულად განხილვის თაობაზე. მოსამართლეს შეუძლია, აღნიშნოს მიზეზები, რომლებიც კონსტიტუციური წარდგინების გადაუდებლად გადაწყვეტის საჭიროებაზე მიუთითებენ. წარდგინების ავტორი უფლებამოსილია, დააზუსტოს და დაასაბუთოს წარდგინების კონკრეტულ თარიღამდე განხილვისა და გადაწყვეტის საჭიროება. მაგალითად, როდესაც იწურება საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული პატიმრობის 9 თვიანი ვადა ან/და არსებობს რაიმე სამართლებრივი გარემოება, რომელიც საკითხის სწრაფად გადაწყვეტის აუცილებლობაზე მიუთითებს. საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის პრიორიტეტულად განხილვის შესახებ შუამდგომლობის დაყენება დასაშვებია კონსტიტუციური წარდგინების განხილვისა და გადაწყვეტის ნებისმიერ ეტაპზე.

⁷⁷ იხ. ნაწილი 21.7.

ნაწილი IV:

კანონმდებლობის მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს კონსტიტუციური წარდგინება

საერთო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინების განხილვისა და გადაწყვეტის წესები განისაზღვრება „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონითა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტით. კონსტიტუციური წარდგინების განხილვასთან დაკავშირებული ძირითადი რეგულაციები საკონსტიტუციო სამართალწარმოების ზოგადი ნორმებიდან გამომდინარეობს, თუმცა დასახელებული ნორმატიული აქტები განსაზღვრავს რამდენიმე წესს, რომლებიც სპეციფიკურად საერთო სასამართლოს კონსტიტუციურ წარდგინებებს მიემართება.

საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური წარდგინება, როგორც განმწესრიგებელ, ისე არსებითი განხილვის ფორმატში, განხილება წარდგინების ავტორისა და იმ ორგანოს დაუსწრებლად, რომლის აქტივც გახდა დავის საგანი.⁷⁸ იმისათვის, რომ კონსტიტუციურმა წარდგინებამ წარმატებით გადალახოს განმწესრიგებელი სხდომის ეტაპი, აუცილებელია, იგი აკმაყოფილებდეს „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31³ მუხლის პირველ პუნქტში დასახელებულ 7 ძირითად მოთხოვნას.

⁷⁸ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადება.

14. კონსტიტუციური წარდგინების დასაბუთებულობის მოთხოვნა

„საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31³ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, კონსტიტუციური წარდგინება ფორმით და შინაარსით უნდა შეესაბამებოდეს 31¹ მუხლის მოთხოვნებს. კონსტიტუციური წარდგინების მიმართ წაყენებული ეს პირობა მიემართება „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31¹ მუხლის მე-13 და მე-14 პუნქტებს. ეს ნორმები ჩამოთვლის იმ ფორმალურ და მატერიალურ მოთხოვნებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს კონსტიტუციური წარდგინება. ფორმალურ მოთხოვნებს ჩვენ ქვემოთ, კონსტიტუციური წარდგინების სააპლიკაციო ფორმის პარალელურად, მიმოვიხილავთ. ამ ნაწილში განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობთ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31¹ მუხლის მე-13 პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ამ ნორმებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცულობის შემომწმება საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში „დასაბუთებულობის მოთხოვნის“ ტერმინითაა დამკვიდრებული.

14.1. კონსტიტუციური წარდგინების დასაბუთებულობის მოთხოვნა

საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის თანახმად: „კონსტიტუციური სარჩელის დასაბუთებულად მიჩნევისათვის აუცილებელია, რომ მასში მოცემული დასაბუთება შინაარსობრივად შეეხებოდეს სადავო ნორმას. ამასთან, კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებისათვის აუცილებელია, მასში გამოკვეთილი იყოს აშკარა და ცხადი შინაარსობრივი მიმართება სადავო ნორმასა და კონსტიტუციის იმ დებულებებს შორის, რომლებთან დაკავშირებითაც მოსარჩელე მოითხოვს სადავო ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, კონსტიტუციური სარჩელი მიიჩნევა დაუსაბუთებლად და, შესაბამისად, არ მიიღება არსებითად განსახილველად“.⁷⁹

კონსტიტუციური სარჩელის დასაბუთებულობის მოთხოვნაში ორი ძირითადი საკითხი უნდა გამოიყოს. პირველ რიგში, აუცილებელია, კონსტიტუციურ სარჩელში მოცემული იყოს სადავო ნორმის შინაარსის სწორი აღქმა. აგრეთვე მოითხოვება სადავო ნორმით დადგენილ უფლების შეზღუდვასა და საქართველოს კონსტიტუციის შესაბამის დებულებას შორის (რომელთან მიმართებითაცაა დაყენებული სადავო ნორმის კონსტიტუციურობის შეფასების საკითხი) ურთიერთმიმართების სწორი წარმოჩენა.

საერთო სასამართლოს კონსტიტუციურ წარდგინე-

⁷⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 30 აპრილის №1/4/1472 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „ნიკოლოზ ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, სამოტივაციო ნაწილი, პარ. 1.

ბებთან მიმართებით დასაბუთებულობის ორივე მოთხოვნა სპეციფიკურად გამოიყენება.

14.2. კონსტიტუციური წარდგინება და გამოსაყენებელი კანონის შინაარსის სწორად იდენტიფიცირება.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „საკონსტიტუციო სასამართლოს უფლება არა აქვს იმსჯელოს მთლიანად კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობაზე, თუ მოსარჩელე ან წარდგინების ავტორი ითხოვს კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის მხოლოდ რომელიმე ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას“. ეს ნორმა საკონსტიტუციო სასამართლოს უკრძალავს, გაცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს. ამდენად, არსებითად მნიშვნელოვანია, წარდგინების ავტორმა სწორად მოახდინოს სადავო ნორმის იდენტიფიკაცია. თუკი საქმის განხილვისას საკონსტიტუციო სასამართლო დაადგენს, რომ წარდგინებაში აღწერილი სამართლებრივი პრობლემა უკავშირდება არა წარდგინებაში მითითებულ სამართლის ნორმას, არამედ სხვა ნორმატიულ აქტს, იგი მოკლებული იქნება შესაძლებლობას, გაცდეს დავის ფარგლებს და შეამოწმოს იმ ნორმის კონსტიტუციურობა, რომელიც წარდგინებაში სადავო ნორმად არ არის მითითებული.⁸⁰

⁸⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 სექტემბრის №3/3/ 685, 686, 687, 688, 689, 736, 737, 758, 793, 794, 820 განჩინებით (საქმეზე „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (1998 წლის 20 თებერვლის კანონი) მე-10

აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მყარად დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, ნორმატიული აქტის შინაარსის შესახებ საერთო სასამართლოების მიერ გაკეთებულ განმარტებებს საკონსტიტუციო სასამართლო კანონის ავტორიტეტულ განმარტებად მიიჩნევს. სხვაგვარად, თუ საერთო სასამართლოები ნორმატიულ აქტს კონკრეტული შინაარსით იყენებს, საკონსტიტუციო სასამართლო გაიზიარებს ამ პრაქტიკას და სადავო ნორმის სწორედ ამ შინაარსის კონსტიტუციურობას შეაფასებს. „საერთო სასამართლოები, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, იღებენ საბოლოო გადაწყვეტილებას კანონის ნორმატიულ შინაარსთან, მის პრაქტიკულ გამოყენებასთან და, შესაბამისად, მის აღსრულებასთან დაკავშირებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საერთო სასამართლოების მიერ გაკეთებულ განმარტებას აქვს დიდი მნიშვნელობა კანონის რეალური შინაარსის განსაზღვრისას“.⁸¹ ამ განმარტების გაკეთების შემდგომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არცერთხელ არ დაუყენებია ეჭვქვეშ საერთო

მუხლის მე-3 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე“) საკონსტიტუციო სასამართლომ წარმოებაში არ მიიღო საქართველოს უზენაესის სასამართლოს წარდგინებები და მიუთითა, რომ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ეჭვქვეშ არ აყენებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესაძლებლობას, თავად განსაზღვროს კონკრეტული საქმის გადასაწყვეტად რომელი სამართლებრივი ნორმის გამოყენება სჭირდება მას. თუმცა, ამავე დროს, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, განსაზღვროს მისი კონსტიტუციითა და კანონით დადგენილი კომპეტენციის ფარგლები. მოცემულ შემთხვევაში წარდგინების ავტორი არ მიუთითებს, რომ სადავო ნორმა წარმოადგენს ისეთ კანონს, რომლის გამოყენებაც უზენაეს სასამართლოს საქმის გადაწყვეტისას სჭირდება“.

⁸¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 4 მარტის №1/2/552 გადაწყვეტილება საქმეზე „სს „ლიბერთი ბანკი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, სამოტივაციო ნაწილი, პარ. 16.

სასამართლოს მიერ კანონის შინაარსის თაობაზე გაკეთებული განმარტებების სისწორე. მეტიც, ეს ერთგვარ სამართლებრივ ფიქციად ჩამოყალიბდა და საერთო სასამართლოების მიერ დამკვიდრებული პრაქტიკა, ისევე, როგორც უზენაესი სასამართლოს განმარტებები, მიზნულ იქნა კანონის შინაარსის თაობაზე გაკეთებულ ავტორიტეტულ განმარტებებად.

ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლოს მიმდინარე პრაქტიკა მიუთითებს, რომ სავარაუდოდ, საკონსტიტუციო სასამართლო არ იმსჯელებს, ნამდვილად არის თუ არა სასამართლოს მიერ იდენტიფიცირებული ნორმა მის მიერვე განსახილველ საქმეში გამოსაყენებელი კანონი. მნიშვნელოვანია, რომ საერთო სასამართლოს საქმის განმხილველი მოსამართლის მიერ წარდგინებაში დასმული სამართლებრივი პრობლემა, რომლის წინაშეც იგი დგას, სწორედ მის მიერ იდენტიფიცირებული გამოსაყენებელი კანონიდან მომდინარეობდეს.

შესაბამისად, ნაკლებად სავარაუდოა, რომ კონსტიტუციურმა წარდგინებამ დასაბუთებულობის ზემოთაღნიშნული მოთხოვნა ვერ დააკმაყოფილოს. ეს, რა თქმა უნდა, არ ათავისუფლებს მოსამართლეს პასუხისმგებლობისგან, სწორად შეარჩიოს გამოსაყენებელი კანონი, რომელიც ქმნის დავის არაკონსტიტუციურად გადანყვეტის რისკს.

14.3. საქართველოს კონსტიტუციის დებულებების სწორად იდენტიფიცირება

მოსარჩელესა და წარდგინების ავტორებს მოეთხოვებათ, არა მხოლოდ სავარაუდოდ არაკონსტიტუციური ნორმატიული აქტების, არამედ კონსტიტუციის იმ დე-

ბულებების იდენტიფიცირება, რომლებთან მიმართებითაც ისინი სადავო ნორმის კონსტიტუციურობის შემომწმებას მოითხოვენ.

აღსანიშნავია, რომ საერთო სასამართლოების კონსტიტუციურ წარდგინებასთან მიმართებით საკონსტიტუციო სასამართლომ დაუშვა, საკუთარი ინიციატივით წარდგინებაში მითითებული კონსტიტუციის დებულების შეცვლის შესაძლებლობა – წარდგინებაში დაყენებული მოთხოვნის ერთგვარი ტრანსფორმაცია. №608 და №609 კონსტიტუციურ წარდგინებებთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ „არასწორად მითითებული კონსტიტუციური ნორმის გამო წარდგინების არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმა, არა მხოლოდ შეაფერხებს საერთო სასამართლოს მიერ საკითხის გადაწყვეტას, არამედ შესაძლოა წარდგინების ინსტიტუტი არსებითად არაეფექტური გახადოს“.⁸² უფრო კონკრეტულად, საკონსტიტუციო სასამართლომ დაუშვა შესაძლებლობა, საკუთარი ინიციატივით შეცვალოს კონსტიტუციის ის ნორმა, რომელთან მიმართებითაც მოსამართლე ითხოვს გამოსაყენებელი ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის შემომწმებას.

წარდგინების დაყენებული მოთხოვნის ტრანსფორმაციის შესაძლებლობა არ ნიშნავს, რომ წარდგინების ავტორს აღარ მოეთხოვება კონსტიტუციის იმ ნორმის/ნორმების იდენტიფიცირება, რომელსაც, მისი აზრით, არ შეესაბამება სადავო ნორმატიული აქტი. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ წარდგინების ტრანსფორმაციის შესაძლებლობა არ უნდა გავიგოთ იმგვარად, რომ საკონსტიტუციო სასამართლო საკუთარი ინიციატივით

⁸² იქვე. სამოტივაციო ნაწილი. პარ. 7

სადავო ნორმატიულ აქტს კონსტიტუციის ყველა ნორმასთან შეაფასებს. საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ „საკმარისია, წარდგინებაში მკაფიოდ იკვეთებოდეს კონსტიტუციური პრობლემა, რომლის გადაწყვეტაც სურს კონსტიტუციური წარდგინების ავტორს. საკონსტიტუციო სასამართლო იხელმძღვანელებს წარდგინების ავტორის მოსაზრებით, თუ რა შინაარსობრივ შეუსაბამობას იწვევს კონსტიტუციასთან სადავო ნორმატიული აქტის გამოყენება. შესაბამისად, სადავო ნორმის/ნორმების კონსტიტუციურობა შეფასდება კონსტიტუციის იმ დებულებასთან, რომელიც პასუხს სცემს წარდგინების ავტორის მიერ იდენტიფიცირებულ სადავო საკითხს“.⁸³

სხვაგვარად, კონსტიტუციურ წარდგინებაში მკაფიოდ და ცხადად უნდა იკვეთებოდეს ის კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრობლემა, რომელსაც გამოსაყენებელი კანონი ქმნის. ასეთ შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლომ შეიძლება სადავო ნორმის შესაბამისობა კონსტიტუციის იმ დებულებასთან შეაფასოს, რომელსაც მიემართება წარდგინებაში აღწერილი კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრობლემა, მიუხედევად იმისა, რომ კონსტიტუციის აღნიშნული დებულება, როგორც შეფასების მასშტაბი, წარდგინებაში იდენტიფიცირებული არ იყო. თუ კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრობლემა წარდგინებაში ნათლად არ არის წარმოდგენილი, საკონსტიტუციო სასამართლო, საკუთარი ინიციატივით, გასაჩივრებულ ნორმატიულ აქტს კონსტიტუციის ყველა ნორმასთან არ შეაფასებს.⁸⁴

ამდენად, კონსტიტუციური ნორმების სწორად იდენ-

⁸³ იქვე. სამოტივაციო ნაწილი, პარ. 8.

⁸⁴ იხ. ნაწილი 17.

ტიფიცირების თვალსაზრისით, წარდგინების ავტორს მოეთხოვება, ნათლად და გარკვევით ჩამოაყალიბოს გამოსაყენებელი კანონის კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრობლემა და მიუთითოს კონსტიტუციის ის დებულებები, რომლებიც წარდგინების ავტორის აზრით, ირღვევა. თუ ნათელად ჩანს, წარდგინებაში აღწერილი სამართლებრივი პრობლემა კონსტიტუციის რომელ დებულებას მიემართება, მიუხედევად იმისა, რომ იგი არასწორადაა იდენტიფიცირებული, საკონსტიტუციო სასამართლომ შესაძლოა საკუთარი ინიციატივით მოახდინოს წარდგინებაში დაყენებული მოთხოვნის ტრანსფორმაცია.

14.4. კონსტიტუციის დებულებები, რომლებთანაც ფასდება წარდგინებაში იდენტიფიცირებული ნორმა

საერთო სასამართლოების მიერ შეტანილი ყველა კონსტიტუციური წარდგინება, გარდა ერთისა,⁸⁵ შეეხება ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებით სახალხო დამცველის, ფიზიკური და იურიდიული პირებისგან, საერთო სასამართლო არ არის შებოჭილი უფლებამოსილებით, წარდგინებით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით გარანტირებული ადამიანის ძირითადი უფლე-

⁸⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 სექტემბრის №3/4/641 გადაწყვეტილება საქმეზე „ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე“.

ბებისა და თავისუფლებების დარღვევის საკითხებზე.

როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, კონსტიტუციური წარდგინება არ ემსახურება მხოლოდ ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვას, იგი კონსტიტუციის უზენაესობის დაცვის უმნიშვნელოვანესი მექანიზმია. საქართველოს კონსტიტუცია და კანონმდებლობა საქმის განმხილველ სასამართლოს ანიჭებს უფლებამოსილებას, კანონით განსაზღვრული წინაპირობების არსებობისას მოითხოვოს გამოსაყენებელი ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის შემოწმება ძირითადი კანონის ნებისმიერი დებულების ფორმალურ თუ მატერიალურ მოთხოვნებთან მიმართებით. მეტიც, საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტით და, შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად⁸⁶, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილებებთან დაკავშირებით მიღებული კონსტიტუციური კანონები აღიარებულია კონსტიტუციის განუყოფელ ნაწილად.

ამდენად, საქართველო სასამართლო უფლებამოსილია, გამოსაყენებელი ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის გადამოწმება მოითხოვოს როგორც საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავში მოცემულ ადამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან, ისე საქართველოს კონსტიტუციის სხვა დებულებებთან, ასევე საქართველოში მოქმედ კონსტიტუციურ კანონებთან მიმართებით.

⁸⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 თებერვლის №1/1/549 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ირმა ინაშვილი, დავით თარხან-მოურავი და იოსებ მანჯავიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

15. კონსტიტუციური წარდგინება შეტანილი უნდა იყოს უფლებამოსილი სუბიექტის მიერ

საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი კონსტიტუციური წარდგინების შეტანის უფლებას შესაბამისი საქმის განმხილველ სასამართლოს ანიჭებს.

საერთო სასამართლოში საქმე შეიძლება განხილულ იქნეს ინდივიდუალური მოსამართლის ან მოსამართლეთა კოლეგიური შემადგენლობის მიერ. შესაბამისად, ჩნდება კითხვა, თუ როგორ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება კოლეგიურმა შემადგენლობამ კონსტიტუციური წარდგინების ინსტრუმენტის გამოყენების თაობაზე. სახელდობრ, რამდენად აქვს კოლეგიური შემადგენლობის ინდივიდუალურ წევრს⁸⁷ კონსტიტუციური წარდგინების ინსტრუმენტის გამოყენების შესაძლებლობა, როდესაც ამ გადაწყვეტილებას კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობა არ ეთანხმება. აღნიშნულ საკითხზე არსებობს ორი განსხვავებული პოზიცია.⁸⁸

⁸⁷ ვგულისხმობთ კოლეგიური შემადგენლობის ინდივიდუალურ მოსამართლეს ან მოსამართლეთა უმცირესობას, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ საქმის გადასაწყვეტად გამოსაყენებელი ნორმატიული აქტი საფუძვლიანი ვარაუდით არის არაკონსტიტუციური, თუმცა ამ პოზიციას არ ეთანხმება იმავე კოლეგიური შემადგენლობის მოსამართლეთა უმრავლესობა.

⁸⁸ კოლეგიური შემადგენლობის ერთი წევრის მიერ კონსტიტუციური წარდგინების ინსტრუმენტით გამოყენება/გამოყენების შეუძლებლობა არაერთ კომპლექსურ სამართლებრივ საკითხთანაა დაკავშირებული, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს არსებობის ისტორიაში არასდროს დამდგარა. მათი დეტალური გამოკვლევა სცილდება ამ პრაქტიკული სახელმძღვანელოს მიზნებს. ქვემოთ ჩვენ წარმოდგენთ ორივე პოზიციის შემავალებელ მიმოხილვას.

პირველი პოზიცია ეყრდნობა კონსტიტუციური წარდგინების ინსტრუმენტის სამართლებრივი საფუძვლების დამდგენი ნორმების ტექსტობრივ, გრამატიკულ, განმარტებას. ამ მოსაზრების თანახმად, როგორც საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი, ისე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი კონსტიტუციური წარდგინების გამოყენების უფლებამოსილებას ანიჭებს საერთო სასამართლოს. კოლეგიური შემადგენლობის მიერ საქმის განხილვისას სასამართლოს სახელით მოქმედებს არა ინდივიდუალური მოსამართლე, არამედ კოლეგიური შემადგენლობა, რომელიც, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-11 მუხლის თანახმად, გადანყვეტილებას იღებს ხმების უმრავლესობით. აქედან გამომდინარე, კონსტიტუციური წარდგინების გამოყენების თაობაზე გადანყვეტილება შეიძლება მიიღოს მხოლოდ კოლეგიურმა შემადგენლობამ და არა კოლეგიური შემადგენლობის ერთმა წევრმა. ასეთ შემთხვევაში, უმცირესობაში მყოფ მოსამართლეს აქვს შესაძლებლობა განსხვავებული აზრის ფორმით ჩამოაყალიბოს საკუთარი შეხედულება და დაურთოს იგი გადანყვეტილებას.

მეორე მოსაზრება ეფუძნება კონსტიტუციური წარდგინების ინსტრუმენტის სამართლებრივი საფუძვლების ტელეოლოგიურ ინტერპრეტაციას. ამ პოზიციის თანახმად, კონსტიტუციური წარდგინების უმთავრესი მიზანია სავარაუდოდ არაკონსტიტუციური კანონის საფუძველზე დავის გადანყვეტის პრევენცია. მოსამართლის, რო-

გორც მართლმსაჯულების განმახორციელებელი პირის საფუძვლიანი ვარაუდი გამოსაყენებელი ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურობის თაობაზე, თავისთავად მიუთითებს, რომ პრობლემური რეგულირება შეიძლება ნამდვილად ვერ პასუხობდეს კონსტიტუციის მოთხოვნებს. ხოლო გარემოება, რომ მოსამართლე არის კოლეგიური ორგანოს წევრი, არ აკნინებს (არ ასუსტებს) მის მიერ გამოსაყენებელი კანონის სავარაუდო არაკონსტიტუციურობის თაობაზე გაკეთებულ დასკვნას და არც ამ დასკვნის სამართლებრივ მნიშვნელობას. ამდენად, თუ კოლეგიური შემადგენლობა თანხმდება, რომ შესაბამისი ნორმა ნამდვილად წარმოადგენს საქმის გადასაწყვეტად გამოსაყენებელ ნორმატიულ აქტს, ერთ მოსამართლეს უნდა ჰქონდეს კონსტიტუციური წარდგინების გამოყენების შესაძლებლობა, თუნდაც უმრავლესობა არ ეთანხმებოდეს მის პოზიციას გამოსაყენებელი აქტის სავარაუდოდ არაკონსტიტუციური შინაარსის თაობაზე.

საქართველოს კანონმდებლობა საერთო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის მიერ კონსტიტუციური წარდგინების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების სპეციალურ წესს არ ადგენს. ამავდროს, საკონსტიტუციო სასამართლო არასდროს დამდგარა განხილული პრობლემური საკითხის გადაწყვეტის საჭიროების წინაშე. შესაბამისად, არ არსებობს ცალსახა პასუხი, რამდენად ჩაითვლება კოლეგიური შემადგენლობის ინდივიდუალური მოსამართლე კონსტიტუციური წარდგინების ინსტრუმენტის გამოყენებაზე უფლებამოსილ სუბიექტად საკონსტიტუციო სამართალწარმოების მიზნებისთვის.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი არა მხოლოდ

ადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციებს, არამედ განსაზღვრავს სუბიექტებს, რომლებსაც შესაბამისი კომპეტენციებით შეუძლიათ სარგებლობა. იმისთვის, რომ საერთო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება ჩაითვალოს უფლებამოსილი სუბიექტის მიერ შემოტანილ წარდგინებად, აუცილებელია, წარდგინება შემოტანილ იქნეს დასახელებული კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული კომპეტენციის ფარგლებში. ბუნებრივია, საერთო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინების დაკმაყოფილება შეიძლება ინვევდეს სხვა კონსტიტუციური კომპეტენციის თანმდევ ან მსგავს სამართლებრივ ეფექტებს, თუმცა ეს არ აბრკოლებს კონსტიტუციური წარდგინების გამოყენების შესაძლებლობას. მაგალითად, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლო „საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, საქართველოს მთავრობის, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, გენერალური პროკურორის, საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს, გენერალური აუდიტორის, საქართველოს სახალხო დამცველის ან ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ან აღმასრულებელი ორგანოს სარჩელის საფუძველზე – დავა შესაბამისი ორგანოს უფლებამოსილების შესახებ“. თუ საქმის განხილვისას საერთო სასამართლო მიიჩნევს, რომ გამოსაყენებელი ნორმატიული აქტი, რომელიც ციტირებულ ნორმაში ჩამოთვლილ ორგანოთა უფლებამოსილებებს განსაზღვრავს, ვერ პასუხობს საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნებს, მას აქვს უფლებამოსილება, მოითხოვს ამ ნორმის კონსტიტუციურობის შემოწ-

მება, თუმცა მხოლოდ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული კომპეტენციის ფარგლებში.

აქედან გამომდინარე, თუ მოსამართლეს ან საქმის განმხილველ მოსამართლეთა კოლეგიურ შემადგენლობას საკონსტიტუციო სასამართლოში შეაქვთ კონსტიტუციური წარდგინება მათ მიერ განსახილველ საქმესთან დაკავშირებით და მიუთითებენ, რომ სადავო ნორმა არის ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც უნდა გადაწყდეს დავა, „უფლებამოსილი სუბიექტის“ მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ჩაითვლება.

16. მითითებული საკითხები არ არის საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი

საქართველოს კონსტიტუცია ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის შემოწმებას საკონსტიტუციო სასამართლოს ექსკლუზიურ კომპეტენციად განსაზღვრავს. მნიშვნელოვანია, წარდგინებაში სწორად და ნათლად იყოს იდენტიფიცირებული სამართლებრივი მოთხოვნა. წარდგინებაში მითითებული საკითხი არ იქნება საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი, თუ წარდგინების ავტორი პირდაპირ ან ირიბად მოითხოვს ისეთი სამართლებრივი პრობლემის გადაწყვეტას, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციას არ განეკუთვნება. უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში რეგისტრირებულ კონსტიტუციურ წარდგინებებთან მიმართებით განსჯადობის პრობლემა არცერთხელ არ დამდგარა. თუმცა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი

ნის მე-19 მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ფარგლებში შემოტანილ კონსტიტუციურ სარჩელებში ეს პრობლემა არცთუ ისე იშვითად გვხვდება. საკითხის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, გვსურს, განვიხილოთ რამდენიმე შემთხვევა, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლომ შესაძლოა სადავო საკითხი არ განიხილოს საკუთარ განსჯადობას მიკუთვნებულ საკითხად. აღნიშნული შემთხვევები წარდგინების ავტორებმაც უნდა გაითვალისწინონ:

ა) სამართლებრივი მოთხოვნა იმგვარადაა ჩამოყალიბებული, რომ მისი დაკმაყოფილებით საკონსტიტუციო სასამართლო გასცდება უფლებამოსილების ფარგლებს. აღნიშნულის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს, ნორმატიული აქტის კონკრეტული სიტყვების იმგვარად გასაჩივრება, რომ ამ სიტყვების გაუქმებით მოქმედი ნორმის შინაარსი სრულიად განსხვავებულად ჩამოყალიბდება.

აგრეთვე ის შემთხვევები, როდესაც მოსარჩელე ითხოვს სადავო ნორმის გარკვეული ნორმატიული შინაარსის გაუქმებას იმგვარად, რომ ცხადად გამოსჭვივის მოსარჩელის მიზანი – შექმნას ახალი ნორმა. ეს, ბუნებრივია, საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც ნეგატიური კანონმდებლის, როლს სცილდება. საკონსტიტუციო სასამართლომ შეიძლება გააუქმოს უფლების შემზღუდველი ნორმატიული აქტი (მისი ნაწილი, უფლებამზღუდველი ნორმატიული შინაარსი), მაგრამ იგი ვერ შექმნის ახალ ნორმას. ახალი ნორმატიული რეგულაციების შექმნა, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, სცდება საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციას და ხელისუფლების სხვა შტოების უფლებამოსილებადაა განსაზღვრული.

ზოგადად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადან-

ყვეტილება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ნორმატიულ სივრცეზე, ქმნის ახალ სამართლებრივ რეალობას და ხშირად მოითხოვს, მათ შორის, კანონმდებლის მიერ ახალი ნორმატიული აქტების მიღებას. ბუნებრივია, ეს კონსტიტუციური კონტროლის განუყოფელი ელემენტია და კონსტიტუციური სარჩელებისა თუ წარდგინებების მთავარი მიზანიც ესაა. თუმცა სადავო ნორმები არ უნდა გასაჩივრდეს იმგვარად, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს არ შეეძლოს მათში უფლების შემზღვეველი სავალდებულო ქცევის წესის ამოკითხვა და მოთხოვნის დაკმაყოფილება პოზიტიური კანონმდებლის ფუნქციას გაუტოლდეს.⁸⁹ ეს მოთხოვნა, განსაკუთრებით ყურადსაღებია თანასწორობის უფლებაზე დავისას.

ბ) პირი ითხოვს ნორმატიული აქტის საერთაშორისო ხელშეკრულებებთან შესაბამისობის შემოწმებას. ამ თვალსაზრისით, ხშირია, პირდაპირ ან ირიბად, სადავო ნორმის შესაბამისობის დადგენის მოთხოვნა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციასთან მიმართებით. პირდაპირი შემთხვევაა, როდესაც ნორმატიული აქტის საერთაშორისო ხელშეკრულებასთან შესაბამისობის დადგენა არის სასარჩელო მოთხოვნის ნაწილი. ირიბ შემთხვევებში სასარჩელო მოთხოვნაში პირი ახდენს საქართველოს კონსტიტუციის ნორმების იდენტიფიცირებას, თუმცა დასაბუთებაში საქართველოს კონსტიტუციასთან შეუსაბამობის არგუმენტები საერთოდ არაა წარმოდგენილი და მხოლოდ რომელიმე საერთაშორისო ხელშეკრულებასთან შეუსაბამლობა დასაბუთებული.

⁸⁹ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 21 მარტის №2/4/1308 განჩინება საქმეზე „მელს ბდოიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

ბუნებრივია, წარდგინების ავტორი უფლებამოსილია დასასაბუთებლად გამოიყენოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ან სხვა ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანოების თუ უცხო ქვეყნის სასამართლოების პრაქტიკა. პირიქით, ამგვარი პრაქტიკის რელევანტურად გამოყენება საჭირო და მისასაღმებელია. თუმცა შინაარსობრივი დასაბუთების სულისკვეთება არ უნდა იყოს იმგვარი, რომ „სადავო ნორმა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას ვინაიდან, იგი არ აკმაყოფილებს საერთაშორისო ხელშეკრულების/შეთანხმების მოთხოვნებს“.⁹⁰ წარდგინებაში მთავარი არგუმენტაცია უნდა იყოს ის, თუ რატომ არ შეესაბამება სადავო აქტი საქართველოს კონსტიტუციას, ვინაიდან საკონსტიტუციო სასამართლოსთვის შეფასების მასშტაბს სწორედ საქართველოს კონსტიტუცია წარმოადგენს.

გ) გასაჩივრებული აქტი, როგორც ფორმით, ისე შინაარსით, ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტია. საკონსტიტუციო სასამართლო ნებისმიერ შემთხვევაში მსჯელობს, გასაჩივრებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ აქტს მატერიალურად ნორმატიული ბუნება გააჩნია თუ არა. თუ დაასკვნის, რომ გასაჩივრებული აქტი, როგორც ფორმით, ისე შინაარსით, არის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, სასამართლოს უარს იტყვის მის არსებითად განსახილველად

⁹⁰ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 30 აპრილის №1/4/1416 განჩინება საქმეზე „შპს სვეტი დეველოპმენტი“, „შპს სვეტი ჯგუფი“, „შპს სვეტი“, „შპს სვეტი ნუცუბიძე“, გივი ჯიბლაძე, თორნიკე ჯანელიძე და გიორგი კამლაძე საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. აგრეთვე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 20 დეკემბრის №1/6/557 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ვალერიან გელბახიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

მიღებაზე, ვინაიდან ამგვარი აქტების კონსტიტუციურობის შემოწმება მხოლოდ კონსტიტუციითა და კანონით განსაზღვრულ სპეციალური კომპეტენციების ფარგლებშია შესაძლებელი.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად: „თუ საქმის განმხილველი სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს კონსტიტუციას არ შეესაბამება ნორმატიული აქტი, რომლის შემოწმებაც არ განეკუთვნება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციას, სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად“. უნდა აღინიშნოს, რომ არსებულ სამართლებრივ წესრიგში არ არსებობს ნორმატიული აქტი, რომელიც შეიძლება საერთო სასამართლომ გამოიყენოს დავის გადასაწყვეტად და რომლის კონსტიტუციურობის შემოწმება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციას არ განეკუთვნება. ამდენად, საერთო სასამართლო უფლებამოსილია, მოითხოვოს ნებისმიერი გამოსაყენებელი ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის შემოწმება.

17. საკითხი გადაწყვეტილია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ

უპირველესად, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ კონსტიტუციური წარდგინების არსებითად განსახილველად მიუღებლობის ეს საფუძველი არ მიემართება საკონსტიტუციო სასამართლოს წინა გადაწყვეტილებებით უკვე არაკონსტიტუციურად ცნობილ, ე.წ. დამძლე ნორმებს. დამძლევი ნორმების საკითხთან დაკავშირებით შეტანილი კონსტიტუციური წარდგინების გა-

დანყვეტის სამართლებრივ საფუძველს აყალიბებს „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის 4¹ პუნქტი, რომლის თანახმად: „თუ საკონსტიტუციო სასამართლო განმწესრიგებელ სხდომაზე დაადგენს, რომ სადავო ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი შეიცავს იმავე შინაარსის ნორმებს, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლომ უკვე ცნო არაკონსტიტუციურად... მას გამოაქვს განჩინება საქმის არსებითად განსახილველად მიუღებლობისა და სადავო აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ“.⁹¹ შესაბამისად, თუ საკონსტიტუციო სასამართლომ წარსულში იმსჯელა წარდგინებით სადავოდ გამხდარი ნორმის მსგავსი/იდენტური შინაარსის ნორმის კონსტიტუციურობაზე და იგი არაკონსტიტუციურად მიიჩნია, ასეთ შემთხვევაში არ იარსებებს წარდგინების განსახილველად მიუღებლობის საფუძველი – საკითხი უკვე გადაწყვეტილია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ. მართალია, საკონსტიტუციო სასამართლო ასეთ შემთხვევაშიც არ მიიღებს წარდგინებას არსებითად განსახილველად, მაგრამ იგი განმწესრიგებელი სხდომის შემაჯამებელი დოკუმენტით (განჩინება) დააყენებს იმავე სამართლებრივ შედეგს, რომელიც ჩვეულებრივ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს საქმის შემაჯამებელი დოკუმენტით, გადაწყვეტილებით, მიიღ-

⁹¹ სანიმუშოდ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის №3/1/855 განჩინება საქმეზე „ბოლნისის რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობის თაობაზე, რომელიც ითვალისწინებს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას ნარკოტიკული საშუალება „ნედლი მარიხუანის“ პირადი მოხმარების მიზნებისთვის შექმნისა და შენახვის გამო“.

ნევა. საკონსტიტუციო სასამართლო საქმის არსებითი განხილვის გარეშე ცნობს წარდგინებით სადავოდ გამხდარ ნორმას ძალადაკარგულად.

ამავე დროს, თუ წარდგინებით გასაჩივრებულ ნორმას (ტექნიკურად, იგივე მუხლი, პუნქტი ან ქვეპუნქტი) საკონსტიტუციო სასამართლო წარდგინების განხილვა/გადაწყვეტამდე არაკონსტიტუციურად ცნობს, სხვა სარჩელის/წარდგინების განხილვის შედეგად „შესაბამისი კონსტიტუციურ წარდგინებაზე სამართალწარმოება შეწყდება „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, და არა იმის გამო, რომ ეს საკითხი საკონსტიტუციო სასამართლოს უკვე აქვს გადაწყვეტილი.“⁹²

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31³ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კონსტიტუციური წარდგინების განსახილველად მიუღებლობის საფუძველი, საკითხი უკვე გადაწყვეტილია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, მიემართება იმ შემთხვევებს,

⁹² სანიმუშოდ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 ოქტომბრის №3/12/785 განჩინება საქმეზე „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლის იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობაზე, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას „ტეტრაპიდროკანაბინოლის“ შემცველი ნარკოტიკული საშუალების („მარიხუანის“) მოხმარებისთვის“. დაზუსტება: ამ განჩინებაში სამართალწარმოების შეწყვეტის სამართლებრივ საფუძველად მითითებულია „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტი. ეს კანონი სრულად არის გაუქმებული და იდენტიფიცირებული ნორმის შემცველ რეგულირებას წარმოადგენს „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს წარსულში უკვე აქვს ნამსჯელი წარდგინებაში მითითებული ნორმის კონსტიტუციურობის თაობაზე და გაკეთებული აქვს დასკვნა, რომ სადავო ნორმა კონსტიტუციას შეესაბამება. აქვე მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება იმაზე, წარსულში სადავო ნორმის კონსტიტუციასთან შესაბამისობის შესახებ რა მოცულობით იმსჯელა საკონსტიტუციო სასამართლომ. თავისთავად ის გარემოება, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ წარსულში იმსჯელა რომელიმე ნორმის კონსტიტუციურობაზე და შესაბამისი კონსტიტუციური სარჩელი/წარდგინება არ დააკმაყოფილა, არ ნიშნავს, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ შეაფასა ნორმის კონსტიტუციასთან შეუსაბამისობის ყველა შესაძლო ასპექტი. იმისათვის, რომ გაირკვეს, კონსტიტუციურ წარდგინებაში მითითებული სამართლებრივი პრობლემა წარსულში რამდენადაა გადამწყვეტილი საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს 3 საკითხს:

ა) საკონსტიტუციო სასამართლო შებოჭილია სასარჩელო მოთხოვნით და კონსტიტუციურ სარჩელს/წარდგინებას იხილავს მათი ავტორების მიერ დასმული სამართლებრივი პრობლემის ფარგლებში. საკონსტიტუციო სასამართლო არ მსჯელობს სადავო ნორმიდან მომდინარე უფლების ყველა შესაძლო შეზღუდვის კონსტიტუციურობის თაობაზე. ერთი ნორმა შესაძლოა იწვევდეს პირის რამდენიმე უფლების შეზღუდვას. ასეთ შემთხვევებში საკონსტიტუციო სასამართლო იმსჯელებს მხოლოდ სარჩელში/წარდგინებაში მითითებული სამართლებრივი პრობლემის კონტექსტში. ამდენად, პირველ რიგში, უნდა შეფასდეს, საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე იდგა თუ არა და მან გადამწყვიტა თუ

არა იდენტიური კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრობლემა, რომლის იდენტიფიცირებასაც ახდენს წარდგინების ავტორი. თუ წარდგინების ავტორი პრობლემას ხედავს ნორმის სხვა, იმ ნორმატიულ შინაარსში, რომელიც არ ყოფილა საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასების საგანი, ან თუ იმავე ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობის შეფასებას ითხოვს ძირითადი კანონის სხვა დებულებებთან, „ეს არ ჩაითვლება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ უკვე გადანყვეტილ საკითხად“.

ბ) როგორც აღვნიშნეთ, საკონსტიტუციო სასამართლო ვერ გაცდება წარდგინებაში იდენტიფიცირებულ ნორმატიულ აქტის შეფასების საკითხს, თუმცა საკონსტიტუციო სასამართლომ საკუთარი ინიციატივით შეიძლება გააკეთოს წარდგინების ტრანსფორმაცია და სადავო აქტის თავსებადობა შეაფასოს კონსტიტუციის იმ ნორმებთან მიმართებით, რომლებთან შეფასებაც წარდგინების ავტორს არ მოუთხოვია. თუმცა ეს არ უნდა გავიგოთ იმგვარად, რომ წარდგინების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში სადავო ნორმა კონსტიტუციური იქნება ძირითადი კანონის ყველა დებულებასთან მიმართებით და ამ ნორმის კონსტიტუციურობის თაობაზე ყველა სამართლებრივი პრობლემა გადანყვეტილია. საკონსტიტუციო სასამართლო წარდგინების ტრანსფორმაციას აკეთებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ცხადად ჩანს, რომ იდენტიფიცირებული კონკრეტული სამართლებრივი პრობლემა, რომლის გადანყვეტაც წარდგინების ავტორი მოითხოვს, უკავშირდება არა წარდგინებაში მითითებულ კონსტიტუციის დებულებას, არამედ სხვას.

აქედან გამომდინარე, თუ საკონსტიტუციო სასამართლოს საერთო სასამართლოს წარდგინების ფარგლებ-

ში უკვე აქვს ნამსჯელი ამა თუ იმ ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის თაობაზე, ეს არ გულისხმობს, რომ ნორმის ყველა ნორმატიული შინაარსი კონსტიტუციის ყველა დებულებასთანაა შეფასებული. თუ წარდგინებით მოხდება ახალი სამართლებრივი პრობლემის იდენტიფიცირება ან იმავე სამართლებრივი პრობლემის განსხვავებულად წარმოდგენა, იგი განიხილება საერთო წესით და საკონსტიტუციო სასამართლო არ გამოიყენებს წარდგინების არსებითად განსახილველად მიუღებლობის „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31³ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საფუძველს.

გ) საკონსტიტუციო სასამართლოში დავა შესაძლებელია დასრულდეს სხვადასხვა მიზეზით, მათ შორის, ისე, რომ სასამართლოს საერთოდ არ მოუწიოს კონსტიტუციურ სარჩელში დასმული საკითხის მატერიალურად გადანყვება. მაგალითად, შესაძლებელია შეწყდეს სამართალწარმოება. თუ საკონსტიტუციო სამართალწარმოება სრულდება და სასამართლოს არ უნევს წარდგინებით/სარჩელით დასმულ სამართლებრივი პრობლემის მატერიალურ შინაარსზე მსჯელობა, ეს არ ჩაითვლება საკითხის გადანყვებად. წინა საქმეზე სამართალწარმოების შეწყვეტის მიზეზების აღმოფხვრის შემთხვევაში მიმდინარე კონსტიტუციური წარდგინება განიხილება საერთო წესით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კითხვას – „კონსტიტუციურ წარდგინებაში მითითებული სამართლებრივი პრობლემა რამდენადაა გადანყვეტილი საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ?“ – პასუხი უნდა გაეცეს, წინა კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების და მათზე სა-

კონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული აქტების ანალიზის შედეგად.⁹³ კონსტიტუციური წარდგინების არსებითად განსახილველად მიუღებლობის ეს საფუძველი ხშირად არ გამოიყენება. უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში საკონსტიტუციო სასამართლოში რეგისტრირებულ კონსტიტუციურ სარჩელებთან თუ წარდგინებებთან მიმართებით იგი მხოლოდ 10-ჯერ იქნა გამოყენებული.⁹⁴

18. საკითხი არ არის გადაწყვეტილი საქართველოს კონსტიტუციით

უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური სარჩელისა და წარდგინების განსახილველად მიუღებლობის ეს საფუძველი არცერთხელ არ გამოუყენებია. საქართველოს კონსტიტუცია თითოეული ნორმატიული აქტის ლეგიტიმაციისა და მართლზომიერების განმაპირობებელი დოკუმენტია და არსებითად რთულია წარმოვიდგინოთ სამართლებრივი კონტექსტი, როდესაც შეიძლება ჩაითვალოს, რომ აღნიშნულ საკითხს არ წყვეტს კონსტიტუცია.

ამდენად, სავარაუდოა, რომ საერთო სასამართლოს კონსტიტუციურ წარდგინებას, რომლითაც კონკრეტუ-

⁹³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე განთავსებულია, როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული ყველა აქტი ისე შესაბამისი კონსტიტუციური სარჩელები და წარდგინებები.

⁹⁴ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი აქტების სანახავად მიჰყევით ამ ბმულს: <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?quantity=10&fullsearch=&nameing=&number=&intext=&dateFrom=01-01-2010&dateTo=&isenglish=&result%5B%5D=1823&different=&preceding=>

ლი საქმის გადასაწყვეტად გამოსაყენებელ ნორმატიული აქტი საჩივრდება, არსებითად განსახილველად მიღების ეს პრობლემა რომელიმე ეტაპზე შეექმნას.

19. კონსტიტუციური წარდგინების შეტანის ვადების დარღვევა

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციას მიკუთვნებულ ზოგიერთ დავასთან დაკავშირებით ადგენს სარჩელის/წარდგინების შეტანის სპეციალურ ვადებს. საერთო სასამართლოს კონსტიტუციურ წარდგინებასთან დაკავშირებით ამგვარი ვადები დადგენილი არ არის.

20. ე.წ. სუბსიდიურობის დაცვის მოთხოვნა

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31³ მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციურ სარჩელს არ მიიღებს არსებითად განსახილველად, თუ „სადავო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობაზე სრულფასოვანი მსჯელობა შეუძლებელია ნორმატიული აქტების იერარქიაში მასზე მაღლა მდგომი იმ ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობაზე მსჯელობის გარეშე, რომელიც კონსტიტუციური სარჩელით გასაჩივრებული არ არის“. მართალია, ერთი შეხედვით, ციტირებულ ქვეპუნქტი მიემართება მხოლოდ კონსტიტუციურ სარჩელს, თუმცა უშუალოდ 31³ მუხლის პირველი პუნქტი შეეხება როგორც კონსტიტუციური სარჩელის,

ისე წარდგინების არსებითად განსახილველად მიუღებლობის შემთხვევებს. ამავე დროს, საკონსტიტუციო სასამართლოს არცერთხელ არ გამოურიცხავს განსახილველი ქვეპუნქტის კონსტიტუციურ წარდგინებებზე გავრცელების შესაძლებლობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ „სუბსიდიარობის“ სახელით დამკვიდრებული აღნიშნული მოთხოვნა, მათ შორის, საერთო სასამართლოს კონსტიტუციურ წარდგინებასაც მიემართება.

სუბსიდიარობის მოთხოვნის მთავარი მიზანია საკონსტიტუციო სამართალწარმოების ეფექტურობის ამაღლება და პრობლემის საფუძველშივე გადაწყვეტა. კერძოდ, როდესაც კანონის შინაარსს იმეორებს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, მხოლოდ ამ უკანასკნელის არაკონსტიტუციურად ცნობას მოსარჩელის სამართლებრივ მდგომარეობაზე ეფექტი ვერ ექნება, ვინაიდან არაკონსტიტუციური რეგულირება კანონში კვლავ დარჩება. ამავე დროს, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის კანონიერების შემოწმება საერთო სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება და მათ მარტივად შეუძლიათ თავიდან აირიდონ სავარაუდოდ არაკონსტიტუციური კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის საქმის გადასაწყვეტად გამოყენება, თუ იგი საკანონმდებლო აქტის მოთხოვნებს ეწინააღმდეგება.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ე.წ. „სუბსიდიარობის“ მოთხოვნა მიემართება მხოლოდ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს და არა საკანონმდებლო აქტებს. სუბსიდიარობის პრობლემა წამოიჭრება მაშინ, როდესაც კონსტიტუციური სარჩელით/წარდგინებით გასაჩივრებულია კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომლის კონსტიტუციურობის შეფასება ირიბად საკანონმდებ-

ლო ნორმატიული აქტის რომელიმე მოთხოვნის კონსტიტუციურობის შეფასებასაც გულისხმობს. აღნიშნულის პრაქტიკული შემთხვევებია, როდესაც პრობლემური კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის ნორმა იმეორებს კანონის შინაარსს.⁹⁵

აღსანიშნავია, რომ საერთო სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება „კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის“ კანონიერების შემოწმება. თუ საქმის განმხილველი მოსამართლე მიიჩნევს, რომ საკითხის გადასაწყვეტად მას მოეთხოვება პრობლემური კანონქვემდებარე აქტის გამოყენება, იგი უნდა დარწმუნდეს, რომ საკანონმდებლო აქტი არ შეიცავს იმგვარ ნორმებს, რომლებმაც სუბსიდიარობის პრობლემა შეიძლება წარმოშვას.

21. კონსტიტუციური წარდგინების ფორმალური მოთხოვნები და პრაქტიკული რჩევები

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31-ე მუხლის თანახმად, იმისთვის, რომ დაიწყოს საკონსტიტუციო სამართალწარმოება, საჭიროა კონსტიტუციური წარდგინების წერილობითი შეტანა. ამასთან, შესაბამისი სარჩელი/წარდგინება შეტანილ უნდა იქნეს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის მიერ დამტკიცებული სააპლიკაციო ფორმით.⁹⁶

⁹⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 19 ოქტომბერის №1/8/1275 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ალექსანდრე მძინარაშვილი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ“, სამოტივაციო ნაწილი, პარ. 19-23.

⁹⁶ საერთო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინების მოქმედი სააპლიკაციო ფორმა დამტკიცებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2019 წლის 17 დეკემბრის დადგე-

კონსტიტუციური წარდგინება შეტანილ უნდა იქნეს ფორმალური მოთხოვნების დაცვით, რასაც არსებითად ამარტივებს, კონსტიტუციური წარდგინების სააპლიკაციო ფორმა და, ამ თვალსაზრისით, არსებითი პრობლემები არ გამოკვეთილა. თუმცა ჩვენ მოკლედ მიმოვიხილავთ კონსტიტუციური წარდგინების მიმართ არსებული ფორმალური მოთხოვნების დაცვის წესებს და წარმოვადგენთ პრაქტიკულ რჩევებს.

21.1. რაიონული/საქალაქო, სააპელაციო ან უზენაესი სასამართლოს იდენტიფიკაცია

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31¹ მუხლის მე-13 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი მოითხოვს წარდგინების შემომტანი სასამართლოს და მოსამართლეთა იდენტიფიკაციას. კონსტიტუციური წარდგინების ავტორი არის არა სასამართლო, არამედ საქმის განმხილველი მოსამართლე. თუმცა წარდგინების შემომტან პირს/პირებს, საკუთარ საიდენტიფიკაციო მონაცემების წარმოდგენასთან ერთად, მოეთხოვებათ იმ სასამართლოს იდენტიფიკაცია, რომელშიც ახორციელებენ საკუთარ უფლებამოსილებას.

პრაქტიკული რჩევები

საერთო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება განიხილება დაუსწრებლად. თუმცა ეს არ უკრძალავს საკონსტიტუციო სასამართლოს კომუნიკაცია

ნილებით. სააპლიკაციო ფორმა განთავსებულია საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე „სააპლიკაციო ფორმების“ განყოფილებაში. კონსტიტუციური წარდგინების ჩამოსატვირთად მიჰყევით ამ ბმულს: <https://constcourt.ge/ka/court/app-forms>.

დამყაროს წარდგინების ავტორებთან და მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია. ამგვარი კომუნიკაციის ეფექტურობის გასაზრდელად საქმის განმხილველი მოსამართლის/მოსამართლეების საკონტაქტო ინფორმაციის შეყვანისას სასურველია, მიეთითოს ელექტრონული ფოსტა, რომელიც რეგულარულად მონმდება.

სააპლიკაციო ფორმის პირველ პარაგრაფში მითითებული საკონტაქტო ინფორმაციის საფუძველზე, მოსამართლე უფლებამოსილია, მოითხოვოს საკონსტიტუციო სამართალწარმოების ელექტრონული პორტალის გააქტიურება. პორტალის საშუალებით იგი შეძლებს კონსტიტუციური სარჩელის საქმის მასალების გაცნობას, დამატებითი მასალების ელექტრონულად წარდგენას.⁹⁷

21.2. გასაჩივრებული ნორმატიული აქტის იდენტიფიკაცია

სააპლიკაციო ფორმის ფორმალური ნაწილის მე-2 პუნქტი მოითხოვს იმ ნორმატიული აქტის იდენტიფიკაციას, რომელიც სადავო ნორმატიულ აქტებს შეიცავს. ამ ნაწილის უპირველესი მიზანია ნორმატიული აქტის მიმღების და არა სადავო ნორმის იდენტიფიკაცია. შესაბამისად, ამ ველში არ მოითხოვება კონკრეტული სადავო ნორმების მითითება. თუ მოსამართლე სადავოდ ხდის ერთობლივ ნორმატიულ აქტს, აქტის მიმღების დასახელებაში მითითება ნორმატიული აქტის მიმღები ყველა ორგანო/თანამდებობის პირი.

⁹⁷ საკონსტიტუციო სამართალწარმოების ელექტრონული პორტალის სახელმძღვანელოს სანახავად მიჰყევით ამ ბმულს: <https://constcourt.ge/ka/ccog-litigation/intranet-ccog> .

პრაქტიკული რჩევები

საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად,⁹⁸ სადავო აქტს წარმოადგენს შესაბამისი ნორმატიული აქტის კოდიფიცირებული, კონსოლიდირებული ვერსია და არა ცვლილებების შეტანის შესახებ გამოცემული აქტის პროექტი. ეს უკანასკნელი სადავოდ შეიძლება იქნეს მიჩნეული, თუ პრობლემას წარმოშობს ნორმა, რომლის ინკორპორირება შესაბამისი აქტის კონსოლიდირებულ ვერსიაში არ მომხდარა (მაგალითად, ცვლილების შემტანი აქტის გარდამავალი დებულებები) ან კონსტიტუციურობის პრობლემა იმდენადაა დაკავშირებული ცვლილების შემტან ნორმატიულ აქტთან, რომ ამ პრობლემაზე კოდიფიცირებული ნორმატიული აქტის კონტექსტში მსჯელობა ვერ წარიმართება.

აქედან გამომდინარე, თუ კონსტიტუციურობის პრობლემა უშუალოდ ცვლილების შემტან ნორმატი-

⁹⁸ „ცვლილებებისა და დამატებების შესახებ კანონში მოცემული რეგულირებები სამართლებრივ სივრცეში ცვლილებებს იწვევს კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან, რა დროიდანაც იგი განიხილება ძირითადი კანონის შემადგენელ ნაწილად. შეუძლებელია ცვლილებებისა და დამატებების შესახებ კანონში მოცემული რეგულირებების შინაარსის დამოუკიდებლად, ძირითად კანონში არსებული ნორმებისაგან იზოლირებულად განხილვა. მასში მოცემული რეგულირებები განხილულ უნდა იქნეს მხოლოდ ძირითად კანონში ინტეგრირებულად, სისტემურად და სხვა ნორმებთან კონტექსტში. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს შინაარსობრივი მსჯელობის საგანი შეიძლება იყოს არა ცვლილებებისა და დამატებების შესახებ კანონის ესა თუ ის ნორმა, არამედ ძირითადი (კოდიფიცირებული) კანონის იმ ნორმის მოქმედი რედაქცია, რომელიც ჩამოყალიბდა განხორციელებული ცვლილების შედეგად“. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 დეკემბრის №1/494 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ვლადიმერ ვახანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, სამოტივაციო ნაწილი, პარ. 7.

ულ აქტში დამოუკიდებლად არ განაგრძობს არსებობას, სადავო ნორმატიულ აქტში უნდა მიეთითოს კოდიფიცირებული ვერსიის დასახელება და კოდიფიცირებული აქტის მიღების თარიღი.

21.3. სადავო ნორმ(ებ)ისა და საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისი დებულებების იდენტიფიკაცია

სააპლიკაციო ფორმის ფორმალური ნაწილის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ეს მოთხოვნა არსებითი მნიშვნელობის მატარებელია კონსტიტუციური წარდგინების დასაბუთებულობისთვის.

წარდგინების ავტორს მოეთხოვება სადავო ნორმატიული აქტის კონკრეტული ნორმის, მუხლის, პუნქტის, ქვეპუნქტის, წინადადების იდენტიფიცირება, რომელიც მან საქმის გადანყვეტისას უნდა გამოიყენოს. ამავდროს, მის გასწვრივ უნდა მიუთითოს კონსტიტუციის ის დებულება ან დებულებები, რომლებსაც, მისი აზრით, გასაჩივრებული ნორმა ეწინააღმდეგება.

პრაქტიკული რჩევები

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში შეინიშნება ტენდენცია, რომ სამართალწარმოების ინიციატორი პირები ასაჩივრებენ ნორმატიული აქტის კონკრეტული დებულების სიტყვებს, ნორმატიულ შინაარსს ან სიტყვების ნორმატიულ შინაარსს. სამართლებრივად მათ ამის უფლება გააჩნიათ, თუმცა სასარჩელო მოთხოვნის მსგავსი ფორმით ჩამოყალიბება ზრდის საქმის არსებითად განსახილველად მიუღებლობის რისკებს. სახელდობრ, შეიძლება შეიქმნას პრობლემა როგორც დასაბუთებულობის, ისე საკონ-

სტიტუციო სასამართლოს განსჯადობის თვალსაზრისით.

კონსტიტუციური სამართალწარმოების ინიციატორის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, უმჯობესია, გასაჩივრდეს შესაბამისი მუხლი, პუნქტი ან/და წინადადება, ხოლო სააპლიკაციო ფორმის შესაბამის ნაწილში დასაბუთდეს ის სამართლებრივი პრობლემა, რომელიც გასაჩივრებულ ნორმასთან მიმართებით არსებობს. თუ საკონსტიტუციო სასამართლო საჭიროდ ჩათვლის, იგი თავად გააკეთებს პრობლემური ნორმატიული შინაარსის თუ სიტყვების იდენტიფიკაციას.

21.4. კონსტიტუციური წარდგინების სამართლებრივი საფუძვლები

სააპლიკაციო ფორმის ფორმალური ნაწილის მე-4 პუნქტი მოითხოვს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის სამართლებრივი საფუძვლების იდენტიფიკაციას. არსებული სამართლებრივი მდგომარეობით, საერთო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინების სამართლებრივ საფუძვლებს აყალიბებს: საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი.

პრაქტიკული რჩევა

კონსტიტუციური წარდგინების შემოტანამდე ყოველთვის უნდა გადამოწმდეს სამართლებრივი სა-

ფუძვლები. არასწორი სამართლებრივი საფუძვლის მითითებამ, თუნდაც ეს ტექნიკური შეცდომით იყოს გამოწვეული, შესაძლებელია გამოიწვიოს კონსტიტუციური წარდგინების სრულად ან ნაწილობრივ არსებითად განსახილველად მიუღებლობა.

21.5. განმარტებები კონსტიტუციური წარდგინების არსებითად განსახილველად მიღებასთან დაკავშირებით

სააპლიკაციო ფორმის II.1 ნაწილი კონსტიტუციური წარდგინების შინაარსობრივ მოთხოვნებს მიემართება. აღნიშნულ პარაგრაფში უნდა დასაბუთდეს, რომ არსებობს კონსტიტუციური წარდგინების არსებითად განსახილველად მიუღებლობის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული რომელიმე საფუძველი.

პრაქტიკული რჩევა

წარდგინების ავტორს არ მოეთხოვება კონსტიტუციური წარდგინების არსებითად განსახილველად მიუღებლობის თითოეული ნაწილის თაობაზე ვრცელი არგუმენტაციის წარმოდგენა, ზოგადი მითითება საქმის, გარემოებების, გამოსაყენებელი კანონის პრობლემური შინაარსის თაობაზე სრულად საკმარისია სააპლიკაციო ფორმის განსახილველი ნაწილის მიზნების დასაკმაყოფილებლად. ვრცელი და დეტალური არგუმენტაციის წარმოდგენა, რეკომენდებული იქნება, თუ საეჭვოა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31³ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაკმაყოფილების საკითხი და

წარდგინების ავტორი მიიჩნევს, რომ აღნიშნულ საკითხზე დამატებითი არგუმენტებია წარმოსადგენი. სააპლიკაციო ფორმის II.1 ნაწილის ჩამოყალიბებისას, უმეტეს შემთხვევაში, შესაძლებელია შემდეგი შინაარსობრივი სტრუქტურის გამოყენება:

1. ინფორმაცია განსახილველი საქმის შესახებ (საქმის ზოგადი აღწერილობა, რომელთან დაკავშირებითაც კონსტიტუციური წარდგინებაა შემოტანილი);
2. ინფორმაცია გამოსაყენებელი ნორმის თაობაზე (საქმის გადასაწყვეტად გამოსაყენებელი სადავო ნორმა და მისი შინაარსი);
3. მითითება საქართველოს კონსტიტუციის იმ დებულებებზე, რომლებთანაც მოთხოვნილია სადავო ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის შემოწმება;
4. არგუმენტები კონსტიტუციური წარდგინების არსებითად განსახილველად მიუღებლობის რომელიმე საფუძველთან დაკავშირებით (თუ ამგვარ ვრცლად დასაბუთებას წარდგინების ავტორი საჭიროდ მიიჩნევს);
5. შემაჯამებელი პარაგრაფი არსებითად განსახილველად მიუღებლობის საფუძველების არარსებობის შესახებ, მაგალითად: „არ არსებობს კონსტიტუციური წარდგინების არსებითად განსახილველად მიუღებლობის „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31³ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე საფუძველი“.

ხშირად კონსტიტუციური წარდგინების ავტორს მოჰყავს არგუმენტები, რომ გასაჩივრებული ნორმა არის საკონსტიტუციო სასამართლოს უკვე მიღებული გა-

დაწყვეტილების დამძლევი ნორმა. ბუნებრივია, წარდგინების ავტორს აქვს უფლება, გამოიყენოს ამგვარი არგუმენტაცია, თუმცა, უმჯობესია, ეს გაკეთდეს სააპლიკაციო ფორმის შემდეგ (II.2) ნაწილში.

21.6. სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინების არსი და დასაბუთება

კონსტიტუციური წარდგინების სააპლიკაციო ფორმის ამ ნაწილში უნდა ჩამოყალიბდეს წარდგინების ავტორის არგუმენტები, რომელთა საფუძველზეც მიაჩნია, რომ გამოსაყენებელი ნორმა, საფუძვლიანი ვარაუდით, არაკონსტიტუციურად უნდა იქნეს ცნობილი. წარდგინების ავტორი უფლებამოსილია, თავად განსაზღვროს სადავო ნორმის არაკონსტიტუციურობის განმაპირობებელი არგუმენტები. ამ თვალსაზრისით, კანონმდებლობა მოსამართლეს სრულ თავისუფლებას ანიჭებს.

პრაქტიკული რჩევები

ა) სააპლიკაციო ფორმის განსახილველი ნაწილი, ხშირად არის მოცულობითი. წარდგინების შინაარსის სიცხადისთვის სასურველია, გამოყენებულ იქნეს სტრუქტურული იერარქია (სათაურები, ქვესათაურები და ა.შ.).

ბ) თუ კონსტიტუციური წარდგინებით, გამოსაყენებელი ნორმა/ნორმები ძირითადი კანონის ერთზე მეტ დებულებასთანაა გასაჩივრებული, სასურველია, წარმოდგენილ იქნეს არგუმენტაცია კონსტიტუციის თითოეულ ნორმასთან მიმართებით. აღსანიშნავია, რომ ამ ინსტრუქციაზე თავად სააპლიკაციო ფორმაც მიუთითებს.

გ) თუ წარდგინებაში, რომელიმე სამართლებრივი პოზიციის გასამყარებლად, გამოყენებულია ეროვნული, საერთაშორისო, სხვა ქვეყნების სასამართლოების პრაქტიკა ან მეორადი წყაროები, მნიშვნელოვანია, გაკეთდეს ცხადი მითითება (თავის, ქვეთავის, პარაგრაფის ან გვერდის სიზუსტით). თუ ეს წყარო მოიპოვება ელექტრონულად, სააპლიკაციო ფორმა იძლევა მასში ელექტრონული ბმულის, ე.წ. ლინკის, ინკორპორირების საშუალებას.

დ) „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 28-ე მუხლის თანახმად, სამართალწარმოების ენაა ქართული. თუმცა, დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, მითითება შეიძლება გაკეთდეს წყაროებზე, რომელიც ქართულ ენაზე არ არის ნათარგმნი. მაგალითად, გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს რომელიმე გადაწყვეტილებაზე.

ე) სამართლებრივი მოსაზრებები გასამყარებლად, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს საერთაშორისო სასამართლოების პრაქტიკა, თუმცა კონსტიტუციური წარდგინების სულისკვეთება არ უნდა იყოს სადავო ნორმის თავსებადობის შემოწმება რომელიმე საერთაშორისო/ხელშეკრულებასთან შეთანხმებასთან მიმართებით.

ვ) წარდგინების ავტორმა ცხადად უნდა წარმოაჩინოს მის მიერ დანახული სამართლებრივი პრობლემა. საკონსტიტუციო სასამართლო თავისი ინიციატივით იკვლევს წარდგინებებში დასმული სამართლებრივი პრობლემის სხვადასხვა ასპექტს. საჭიროების შემთხვევაში ატარებს სამართლებრივ კვლევებს და არ იბოჭება მხოლოდ მხარეთა სამართლებრივი პოზიცი-

ებით. თუმცა კონსტიტუციური წარდგინებიდან ცხადად უნდა იკვეთებოდეს წარდგინების ავტორის მიერ დასმული სამართლებრივი დილემის/პრობლემის არსი. ზ) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 31-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საერთო სასამართლომ დამატებითი მტკიცების გარეშე, შეუძლია დაეყრდნოს ფაქტებს, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებითაა დადასტურებული. მაგალითად, დასაბუთებაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ რომელიმე გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში დადასტურებული ექსპერტული შეხედულებები ნარკოტიკული საშუალების კონკრეტული სახის ქიმიური ეფექტების შესახებ.

21.7. კონსტიტუციური წარდგინების შუამდგომლობები

კონსტიტუციური წარდგინების სააპლიკაციო ფორმის III ნაწილი წარდგინების ავტორს აძლევს შუამდგომლობების დაყენების საშუალებას. წარდგინების ავტორებმა შეიძლება დააყენონ ნებისმიერი სახის შუამდგომლობა, რომელიც კონსტიტუციური წარდგინების განხილვასა და გადაწყვეტას უკავშირდება.

პრაქტიკული რჩევები:

წარდგინების ავტორებს შეუძლიათ გამოიყენონ შუამდგომლობების განყოფილება და დაასაბუთონ, რომ წარდგინებაში დასმული სამართლებრივი პრობლემის გადაწყვეტა დროულ რეაგირებას საჭიროებს. მაგალითად, გამოყენებულია საქმეში გამოყენებულია

თავისუფლების აღკვეთა და ინურება პატიმრობის ვადა.

საკონსტიტუციო სამართალწარმოება გამჭვირვალობის მაღალი ხარისხით გამოირჩევა. სამართალწარმოების ფარგლებში მიღებული არაერთი აქტი, მათ შორის, წარდგინებები ქვეყნდება საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე. თუ წარდგინების სააპელიკაციო ფორმაში, მჟღავნდება საქმის განხილვის მონაწილის პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული განსაკუთრებით სენსიტიური ინფორმაცია (მაგალითად, განსახილველი საქმე შეეხება გაუპატიურების საკითხს და სააპელიკაციო ფორმაში იდენტიფიცირებულია დაზარალებული) წარდგინების ავტორი უფლებამოსილია იშუამდგომლოს აღნიშნული მონაცემის დაფარვის თაობაზე.

დასკვნა

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ საქართველოს კონსტიტუციით დამკვიდრებულ სასამართლოს ხელისუფლების ინსტიტუციურ მოდელში კონსტიტუციური წარდგინების არსებობა მნიშვნელოვნად ზრდის სახელმწიფოში განხორციელებული მართლმსაჯულების მატერიალურ-კონსტიტუციური ლეგიტიმაციის ხარისხს. იგი არის მოსამართლის ხელთ არსებული ერთადერთი მექანიზმი, რომლითაც მას გამოსაყენებელი ნორმის არაკონსტიტუციურობის თაობაზე არსებული ბუნდოვანების გაფანტვა და არაკონსტიტუციური გადაწყვეტილების მიღების რისკის დაზღვევა შეუძლია. ამ თვალსაზრისით, საერთო სასამართლოს წარდგინება საქართველოს კონსტიტუციის უზენაესობისა და ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია.

საერთო სასამართლოების მიერ კონსტიტუციური წარდგინების გამოყენების პრაქტიკა ერთმნიშვნელოვნად მიუთითობს, რომ შესაძლებელია აღნიშნული ინსტრუმენტის გააქტიურება და ამ გზით მართლმსაჯულების კონსტიტუციურობის ხარისხის ამაღლება. ამავე დროს, კვლევამ გამოავლინა არაერთი პრაქტიკული და სამართლებრივი პრობლემა, რომლებიც წარდგინების ინსტრუმენტის გამოყენებას აფერხებს.

სახელმძღვანელოს ძირითად ნაწილში ჩვენ მიმოვიხილეთ კონსტიტუციური წარდგინების გამოყენებასთან ასოცირებული ყველა ძირითადი სამართლებრივი პრობლემა და წარმოვადგინეთ ამ პრობლემათა გადაწყვეტის ჩვენეული ხედვა, რომელიც უმეტესწილად საქართველოს კანონმდებლობის ინტერპრეტაციას და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მყარად დამ-

კვიდრებულ პრაქტიკას ეყრდნობა. ამასთან, აღნიშნულ ინსტრუმენტთან გაუცხოებით გამონვეული პრობლემების დასაძლევად, მოკლედ მიმოვიხილეთ კონსტიტუციური წარდგინების განხილვისა და გადაწყვეტის რელევანტური წესები.

სახელმძღვანელო დაეხმარება მოსამართლეებს წარდგინების ინსტრუმენტის გამოყენების საჭიროების იდენტიფიცირებასა და დასაბუთებული წარდგინების მომზადებაში.

გიორგი დავითური

გიორგი დავითური არის ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრი. მას აქვს საჯარო, სამოქალაქო და აკადემიურ სექტორში მუშაობის 8 წლიანი გამოცდილება. იგი არის არაერთი ანალიტიკური და აკადემიური ნაშრომის ავტორი. 2020 წლის ოქტომბრამდე იკავებდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მთავარი სამართლებრივი მრჩევლის – მრჩეველთა ხელმძღვანელის თანამდებობას. ამჟამად არის ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინტიტუტის პროექტის მენეჯერი.

გიორგი დავითაშვილი

გიორგი დავითაშვილი არის სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრი. გიორგი დავითაშვილი 10 წელზე მეტია მუშაობს საერთო სასამართლოების სისტემაში. იგი ამჟამად არის თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მთავარი კონსულტანტი – მოსამართლის თანაშემწე.

რედაქტორი – თეიმურაზ ტულუში

თეიმურაზ ტულუშს გააჩნია ხანგრძლივი სამუშაო გამოცდილება, რომელიც მოიცავს პროფესიული და აკადემიური საქმიანობის 20 წელს. 2016 წლიდან იგი იკავებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის და საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის თავმჯდომარის თანამდებობას. სახელმძღვანელოში გამოხატული სამართლებრივი პოზიციები არ შეიძლება ჩაითვალოს რედაქტორის მოსაზრებად ან მის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს განსახილველი ნორმატიული აქტების საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის თაობაზე კონსულტაციის განწევად.



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიბოჟსკაიას №4.

☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30

E-mail: universal505@ymail.com;

gamomcemlobauniversali@gmail.com

"საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს
უზენაესი კანონია"

ISBN 978-9941-26-933-2



9 789941 269332